# სარბიელი

სპორტული გაზეთი   გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან   შაბათი, 10 ოქტომბერი 1998 №183 (718)   ფასი 50 თეთრი

## ან გამარჯვება, ან...
## გუცაევი: უნდა მოვიგოთ!



კობა ინასარიძე რიგიდან

დათქმულ დროს, დათქმულ ადგილას — სასტუმრო „რადისონში“, მცირე საპრესკონფერენციო დარბაზში, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი მხოლოდ ქართველ ჟურნალისტებს გამოგვეცხადა. თუმცა არც იყო გასაკვირი. ჩვენებურთა მწვრთნელი ხომ დღეში ორჯერ, დილა-საღამოს, ვარჯიშის მერე აქაურ კოლეგათა კითხვებს ვერ აუდიოდა, ინტერვიუს ინტერვიუზე იძლეოდა. არავისთვის უწყენინებია, უარი არავისთვის უთქვამს, ჩვენ კი გუშინდლამდე გუცაევი არ შეგვიწუხებია, საქმე ისედაც თავსაყრელად ჰქონდა. ლატვიის ნაკრებთან მატჩის წინ ვლადიმერ გუცაევი ამბობს:

— ლატვიას აუცილებლად უნდა მოვუგოთ. სხვა შედეგის გაგონებაც არ მინდა. მხოლოდ გამარჯვება დამაკმაყოფილებს. ინფორმაციის სიმწირეს არ ვუჩივით. ყველა ჩვენს თანაჯგუფელზე მეტი ლატვიელებზე ვიცით. გვაქვს მათი რამდენიმე თამაშის ფირი, მალტაზე პირისპირაც შევხვედრივართ. აქ მოთამაშე ქართველი ფეხბურთელების აზრსაც ვითვალისწინებთ. ნორვეგიელთა შეცდომა არ უნდა გავიმეოროთ. ხვალ მაქსიმალურად მობილიზებულნი ვიქნებით, თავს დავდებთ და გავიმარჯვებთ. ლატვიის გუნდში პახარსი, შტოლცერსი, ბაბიჩევი და ბლეიდელისი გამოირჩევიან. სწორედ მათზეა აწყობილი მთელი თამაში, დანარჩენები შეტევაში ჩართვას ერიდებიან. შვიდი ფეხბურთელი თავს იცავს, და როგორც კი შესაძლებლობა მიეცემა, ბურთს მათკენ გზავნის. კონტრშეტევაა მათი ხერხი. თითქმის დარწმუნებული ვარ, ხვალაც ასე ითამაშებენ. მათთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს, შინ თამაშობენ, თუ სტუმრად. ჩვენ რაციონალურად ვითამაშებთ, ისევ ორი თავდამსხმელით, ოთხი ნახევარმცველითა და ამდენივე მცველით. უკან მოუხედავად არავითარ შემთხვევაში არ შევუტევთ, დაცვასაც დიდ ყურადღებას მივაქცევთ.

იხილეთ მეოთხე გვერდი

## ღმერთების მიწამდე ღმერთმა დაგვიფარა

### საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა სტუმრად პირველად მოიგო

### ლატვია 1:2 საქართველო



გუშინ რიგაში: ლატვია — საქართველო.
ჩვენმა ახალგაზრდებმა როგორც იქნა სტუმრად იმარჯვეს

კობა ინასარიძის რიგული რეპორტაჟი იხილეთ მეორე გვერდზე

## ჯიქია წავა, სხვა მოვა

პარადოქსია, აბა რა, ქუთაისის „ტორპედო“, კლუბი, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატს ლიდერობს და ერთი შეხედვით შინაური საქმეებიც სხვებზე მეტად მაინც უნდა ჰქონდეს აწყობილი, აგერ უკვე მესამე კვირაა, გაურკვეველ მდგომარეობაშია: „ტოპედოში“ შექმნილ აჟიოტაჟზე ახლახან ვწერდით. ამიტომაც ნათქვამს არ გავიმეორებთ, ხოლო დღე-დღეზე მოსალოდნელ ამბებს წინ არ გავუსწრებთ და ამჯერად მოკლედ გეტყვით.

ქუთაისის საქალაქო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის, თორნიკე კენჭაძის ნაამბობს თუ ვენდობით, დღეს, 10 ოქტომბერს, ქალაქის მერია ოფიციალურად გააუქმებს ამ წლინახევრის წინ კომერციულ ბანკ „სიგმა ბანკთან“ და მის პარტნიორ შპს „იმერეთ იმპექსთან“ დადებულ ხელშეკრულებას ს.კ. ქუთაისის „ტორპედოს“ დაფუძნების თაობაზე და ზეგვე, 12 ოქტომბერს, მერია ახალ თანადამფუძნებელთან დაიჭერს საქმეს. ვინ იქნება ქუთაისური კლუბის ახალი სპონსორი? კენჭაძემ, ნუ აჩქარდებით, ორ დღეში ყველაფერს გაიგებთო. ერთს კი გეტყვით, თუ ეს საქმე მოგვარდა, დარწმუნებული იყავით, „ტორპედოს“ ფინანსური პრობლემები საერთოდ მოეხსნებაო.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს იქნება ერთ-ერთი ცნობილი მსხვილი კორპორაცია, რომელსაც საქმის დაწყება კლუბის აწ უკვე ყოფილი მეპატრონის, ბესიკ ჯიქიას ვალების გასტუმრებით მოუწევს. თანხა არცთუ მცირეა, იგი დაახლოებით 150 000 ლარს შეადგენს: ესაა გაუცემელი ხელფასები და საკონტრაქტოები, ფეხბურთელებზე რიცხული, მაგრამ გაუფორმებელი, ავტომანქანების ღირებულება, ზაფხულში სტადიონის მშენებლობაზე გაწეული სამუშაოების ანაზღაურება და...

დანარჩენი, ახალი მეპატრონე ძველის დავთარს რომ გადაიბარებს, მაშინ გამოჩნდება.

დიახ, ასეა, ვერ გაუძლო ბესიკ ჯიქიამ „ტორპედოს“ მეპატრონის მძიმე ტვირთს. ძალა (ფული) არ ეყო. რას იქმს მისი მემკვიდრე, ამასაც ვნახავთ. მოარული ხმებით, „ტორპედოს“ ახალ პრეზიდენტში ორი ჯიქია გამოიჭრება.

იუზა ქაციტაძე ქუთაისიდან

## კანდელაკს მეტოქე ეღირსა

### ისიც ბულგარელია, ოღონდ ტრენაფილოვი



ხვალინდელი სანახაობის მონაწილენი: გიორგი კანდელაკი, ზაზა ტყეშელაშვილი, ამირან ბიწაძე და ჰანს ნეიმანი

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

## ჩინეთს ხომ მაინც მოვუგეთ

გუშინ ელისტის საჭადრაკო ოლიმპიადაზე ქალთა შორის დიდი დაპირისპირება შედგა — საქართველო-ჩინეთი. ცენტრალური პარტია გათამაშდა პირველ დაფაზე ძველ „მოსისხლეებს“ ჩიბურდანიძესა და სიე ჟუნს შორის და ჩვენებურმა მეტოქე დაჩაგრა. ყაიმით დასრულდა იოსელიან-ჯუ ჩენისა და არახამია-ვანგის პარტიები და საბოლოო ანგარიში ჩვენს სასარგებლოდ დაფიქსირდა 2:1. ცნობა, ცხადია, სასიხარულოა, მაგრამ პრაქტიკული ღირებულება აკლია. ერთი რომ, ჩინელები მაინც 2 ქულით გვისწრებენ, მეორეც, რუსეთის პირველმა ნაკრებმა ჩვენზე უკეთესი ანგარიშით, 3:0 გაიმარჯვა და დაგვეწია კიდეც. ოლიმპიადის დასრულებამდე 3 ტურით ადრე ჩინელებს 23 ქულა აქვთ, რუსებსა და ქართველებს 21-21. უახლოესი მდევრები, იუგოსლავიელები, უკრაინელები და რუმინელები ჩვენებს იმდენივეთი ჩამორჩებიან, რამდენითაც ქართველები ჩინელებს.

გაიმარჯვეს ჩვენმა მამაკაცებმა და დამაჯერებლადაც. მათ კანადელებს 3:1 სძლიეს. სასიამოვნოა, რომ არც ერთ ქართველს არ წაუგია. მეტოქეებს დაუზავდნენ აზმაიფარაშვილი და გიორგაძე, ხოლო სტურუამ და ბალათუროვმა გაიმარჯვეს. ვაჟთა სატურნირო ცხრილის სათავეებში კი სერიოზული ცვლილებებია: რუსეთის პირველმა ნაკრებმა, როგორც იქნა, გადალახა ამერიკული ბარიერი და 27 ქულით პირველ პოზიციაზეა. თუმცა ამერიკის ნაკრები მეტოქეს კვალდაკვალ მისდევს და სულ 0,5 ქულით ჩამორჩება. რუსები მაინც მხნედ არიან, რადგან ზურგში მაშველად ეგულებაც თავიანთი მეორე ნაკრები, რომელიც ასევე 0,5 ქულით ჩამორჩება ოკეანისგაღმელებს. 0,5 ქულითვე ნაკლები დააგროვეს ინგლისელებმა და სომხებმა. აქამდე მეორე პოზიციაზე მყოფმა ბულგარელებმა მე-10 ტურში უხიეროდ ითამაშეს და ცხრილის სიღრმისკენ გადაინაცვლეს. დღეს მე-11 ტურია.

დავით გულუა

## ქართველები დაიფრინეს

### ერთმა მსაჯმა, ბურთი თხუთმეტი სანტიმეტრით შიგნით იყო და მაინც „აუტი“ ვიყვირეო

ბათუმის ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირმა პარასკევს დაკარგული აინაზღაურა: ხუთშაბათის წვიმის გამო გადადებულ მერვედფინალებთან ერთად მეოთხედფინალებიც ჩატარდა, ნაშუადღევს კი წყვილებმაც გამართეს პირველი წრის შეხვედრები. ჩვენთვის მთავარი — ქართველთა ამბავი სათაურშივე გაუწყეთ: ერთეულთა ნახევარფინალები და წყვილთა მეოთხედფინალები უჩვენებოდ ჩატარდება. მათ გუშინ ყველა შეხვედრა დათმეს ერთის გარდა. ლუარსაბიშვილმა მერვედფინალში თბილისში ჩახნაშვილის მომგები ფრანგი კაროლინა იაგინიაკი დაამარცხა (თუმცა როგორ, ამაზე ქვემოთ), თუმცა მერე რუს მისკინასთან წააგო. შემდეგ ლუარსაბიშვილ-ზაპოროჟანოვას წყვილს ჩინელებმა ლიმ და იანგმა მოუგეს, დღეს უკანასკნელ მატჩში კი ჩახნაშვილ-მანაგაძის დუეტი ლატვიელ კრუტკოსა და რუს კორნიენკოსთან დამარცხდა.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

## ინგლისი

პირველი დივიზიონი

XIII ტური

**ბრედფორდი 3:0 ბერი**

1:0 ბლეიკი (15), 2:0 მაკკოლი (55), 3:0 ბიგრი (67)

**სვინდონი 3:0 ჰადერსფილდი**

1:0 ონურა (1), 2:0 უოლტერსი (14), 3:0 ბალოკი (38)

## შევარდენმა, რა თქმა უნდა, მეორედაც წააგო

როგორც მოსალოდნელი იყო, სტუ-„შევარდენის“ ხელბურთელმა ვაჟებმა „ბარსელონასთან“ მეორე შეხვედრაც დათმეს, ამჯერად კატალონიელებმა 30:16 იმარჯვეს, ქართველთაგან ყველაზე შედეგიანი დათუკიშვილი იყო, მან შვიდჯერ გაუტანა ესპანელებს. „შევარდენმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ერაძე (თევზაძე), ორჯონიკიძე (2), დათუკიშვილი (7), კეკელიძე (2), მეიფარიანი, ქობულაშვილი (1), გელაშვილი (1), გვაზავა (2), ანდრიაშვილი (1), ყიფიანი, აბჟანდაძე.

# ღმერთების მიწამდე ღმერთმა დაგვიფარა

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. მეორე შესარჩევი ჯგუფი. მეორე ტური
9 ოქტომბერი. რიგა. უნივერსიტეტი. 1000 მაყურებელი

## ლატვია 1:2 საქართველო

1:0 ვერპაკოვსკი (15), 1:1 ალექსიძე (76), 1:2 აშვეთია (88)

კობა ინასარიძე

რიგიდან



გუშინ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ნავსი გატეხა. თავისი არსებობის განმავლობაში სტუმრად ოფიციალური თამაში პირველად მოიგო. აქამდე ჩვენს ჭაბუკებს საქართველოს გარდა არსად მოუპოვებიათ სამი ქულა. ეს რიგაში მოხდა. თანაც როგორ? კიდევ ერთი სასიამოვნო დეტალი: ხომ გახსოვთ ქართველთათვის ესოდენ ყბადაღებული ფრაზა — პირველი გოლის ფაქტორმა იმოქმედაო. გუშინ კი ჩვენებმა იბრძოლეს, მოინდომეს და მეტოქის პირველად გატანილ გოლს თამაშის მიწურულს ორით უპასუხეს.

ეს იყო ნაღდ ახალგაზრდათა მატჩი. შეცდომებითა და ჟინით აღსავსე. ჩვენებმა კი უფრო იყოჩაღეს. რიგის სტუდენტური სტადიონი სანახევროდაც არ გაივსო. ახალგაზრდების თამაშს ძალიან ცოტა მაყურებელი ესწრებოდა, ამათ ნახევარს კი, მგონი, ფეხბურთი სულაც არ აინტერესებდა, უფრო დროის მოსაკლავად ისხდნენ ტრიბუნაზე.

ზოგიერთს კი, შიგადაშიგ ისიც ავიწყდებოდა, ლატვიელთა მეტოქე რომელი ქვეყნიდან იყო. რომ შეახსენებდნენ, საქართველოდანო, იმათ ჩვენები ვერასდროს მოუგებენო, ამბობდნენ. თუმცა თამაშმა საპირისპირო დაგვანახა.

სულ ადვილი შესაძლებელი გახლდათ, ჩვენს ახალგაზრდებს ზედიზედ მეორე შესარჩევი მატჩი წაეგოთ, წაეგოთ უსახელო და უაზრო, ფეხბურთის უცოდინარ გუნდთან. საქართველოს ნაკრებს ბედი არ სწყალობდა, თუმცა სულ ასეც არ ითქმის, რადგანაც ორ-სამჯერ ღმერთმა ჩვენც გადმოგვხედა. მაგრამ ერთიცაა, იღბალი ხომ ძლიერთ ულიმითხოლმე. ქართველი ახალგაზრდები ლატვიელებზე გაცილებით ჭკვიანები, მოქნილები, ეფექტურები, მოაზროვნენი რომ არიან, ცხადზე ცხადია. ერთი, რაშიც ჩვენებს აშკარად არ ჰქონდათ უპირატესობა, ათლეტიზმი იყო, ისიც ბოლომდე არ გაგრძელებულა, ლატვიელები თამაშის მიწურულს დაიღალნენ და ძალამაც უმტყუნათ, თითქმის ყველა ძალისმიერი ეპიზოდი ქართველის გამარჯვების მთავრდებოდა. ტექნიკაზე საერთოდ აღარაფერს ვამბობ, ისე აბითურებდნენ ჩვენები მასპინძლებს, ლატვიელთა ხილვა მართლაც საცოდაობა იყო. მარტო ალექსიძე ავიღოთ, კვაშნინს მთელი მატჩის განმავლობაში თავს რეტი დაასხა, ფლანგზე ისე ნავარდობდა, რომ ბურთთან მისი ყოველი შეხება, სახიფათო მომენტით მთავრდებოდა. შუაში მუჯირი დასეირნობდა, მოთხილამურესავით მიძვრებოდა წინ ალმართულ „ძელებს" შორის, ხოლო მარჯვნივ მოთამაშე ჩომახიძემ თავი მაინცდამაინც ვერ გამოიჩინა, გიგლა იმნაძემ ამიტომაც გამოცვალა იგი ყიფიანით, რომელმაც თამაშიც ნაწილობრივ დაალაგა, ილოვაისკისიც დაჯაბნა და დიდი წილიც დაიდო სტუმრების გამარჯვებაში.

საქართველოს ნაკრებში ყველაზე სუსტად დაცვის რგოლი გამოიყურებოდა. წერეთელი და რევაზიშვილი ასე თუ ისე თავის საქმეს აკეთებდნენ, აი, ჭანკოტაძეს და კვარაცხელიას კი კაცი ვერ იცნობდა. ისეთ ელემენტარულ სიტუაციაში ცდებოდნენ, უცხო იფიქრებდა, პირველად თამაშობენო. უამრავი პოზიციური და ტექნიკური შეცდომა დაუშვეს და ღმერთს მადლობა ვუთხრათ, ლატვიელები რომ უკლასონი იყვნენ. დაცვის ასეთი თამაშით კი საბერძნეთში რა გვეშველება, ძნელად სათქმელია.

ზემოთ მიწერია, ჩვენებმა მეტოქე დაჯაბნეს-მეთქი, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ლატვიის ნაკრებს მოკლე სკამის გამო გუშინ არცერთი ცვლილება გაუკეთებია, თანაც რამდენიმე ტრავმირებულიც თამაშობდა. არა, ასე არ გამოვა, ასეთი თამაშით ბერძნები შავ დღეს გვაყრიან.

ჰო, ჩვენების ერთი მინუსიც — ზედმეტი ინდივიდუალიზმი, ბურთის განუწყვეტლივ ტარება. მომენტების უმრავლესობას სწორედ ამის გამო აცუდებდნენ. საჯარიმოს მიუახლოვდებოდნენ და, როგორც ყოველთვის, ხუთ კაცში ცდილობდნენ ბურთის გატარებას, მაშინ, როცა ორიოდ მეტრში პარტნიორი თავისუფალი იდგა.

მეორე ტაიმში ჩვენები ვა-ბანკზე წავიდნენ. გაუმართლათ. შეიძლებოდა, წაგვეგო, მაგრამ ხომ გითხარით, უცოდინარი მეტოქე გვყავდა-მეთქი, რომელიც მწვრთნელის დავალებას კი ასრულებდა, მაგრამ უიმპროვიზაციოდ.

ღმერთის მადლით გავიმარჯვეთ. მთავარი ესაა და არა ის, თუ რამდენჯერ დარჩა სოლოლაშვილთან პირისპირ პელცისი, ანაც მუჯირმა და დანარჩენებმა როგორ ვერ შეაგდეს ხელსაყრელი მომენტებიდან. არა, მთავარი ნამდვილად არაა, რაც ვთქვი, მაგრამ ყურადღების მიქცევა რომ გვმართებს, ესეც უეჭველია.



ავთანდილ ბურჯაკაშვილი რიგიდან

რატისგან რეტდასხმულ კვაშნინს ხელი არც ვიტალი დარასელიამ დააკლო

ლატვია

1. პავლოვი
3. ზირნისი
2. კვაშნინი — 6. ილოვაისკისი
5. ლიდაკსი — 4. რინკუსი
7. ნოვიკოვი
8. ნალივაიკო — 11. რებენისი
10. პელცისი — 11. ვერპაკოვსკისი

10. აშვეთია — 11. წიტაიშვილი
8. ალექსიძე — 5. მუჯირი — 6. ჩომახიძე
9. დარასელია
4. წერეთელი
7. კვარაცხელია — 2. რევაზიშვილი
3. ჭანკოტაძე
1. სოლოლაშვილი

საქართველო

შეცვლა: **ჩომახიძე — 14. ყიფიანი (61), წიტაიშვილი — 17. გ. შენგელია (78), ალექსიძე — 13. ჩხეტიანი (89)**

გაფრთხილება: **წიტაიშვილი, კვარაცხელია, ლიდაკსი, წერეთელი**

მთავარი მსაჯი: **ს. რადულოვიჩი (იუგოსლავია)**

### მატჩის შემდეგ

პრეს-კონფერენციაზე ჩვენი ნაკრებიდან *ოთარ გაბელია* გამოცხადდა:

— ფსიქოლოგიურად გვიჭირდა, ჩვენ ხომ პირველი მატჩი შინ ალბანეთთან წავაგეთ. მიუხედავად ამისა, მობილიზაცია გავაკეთეთ და საჭირო სამი ქულა მივითვალეთ. ორი, ცასა და დედამიწასავით, განსხვავებული ტაიმი ვითამაშეთ. პირველში ბევრი შეცდომა დავუშვით, მაგრამ შესვენებაზე გონს დროულად მოვეგეთ. საფიქრალია დაცვის ცუდი თამაში. ჭანკოტაძე ალბანელებთან საუკეთესო იყო, დღეს კი გამოცდილებამ უმტყუნა. მაგრამ მასზე უკეთესი ჯერჯერობით ქართულ ფეხბურთში არავინაა. საბერძნეთშიც ალბათ ის ითამაშებს. დღეს მეტოქემ მწვრთნელის დავალება უკეთ შეასრულა. ამიტომაც გაგვიჭირდა.

*იური ანდრეევსაც* სათქმელი ბევრი არაფერი ჰქონდა:

— მეორე ტაიმში ჩვენი თავდამსხმელები დაიღალნენ, მათი შემცვლელი კი არავინ იყო. შემადგენლობაშეთხელებულნი დავუხვდით ქართველთა ნაკრებს და კიდევ კარგად ვითამაშეთ.

ძალიან ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. ვიცოდით, მეორე ტაიმში სტუმრები შემოგვიტევდნენ, სწორი ტაქტიკაც ავირჩიეთ, მაგრამ რად გინდა. 1:0-ზე რომ ერთი გოლი მაინც გაგვეტანა, ალბათ, ქართველები ველარ მოიგებდნენ. ვულოცავ საქართველოს ნაკრებს გამარჯვებას და ათენშიც წარმატებას ვუსურვებ.

პრესკონფერენციის მერე კი ჩვენებურთა უკვე ნაღდი მწვრთნელი გიგლა იმნაძე მოვიხელთე. ნაღდი იმიტომ, რომ ტრიბუნიდანაც კარგად ჩანდა, მთავარი სწორედ ის იყო და არა რობერტო ლანდი, რომელიც ოდენ წყნარად საუბრობდა, მაგრამ აშკარად ნერვიულობდა.

— მგონი, დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ, თუმცა თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ. ასე არ უნდა გაგვჭირვებოდა. მეორე ტაიმში სხვა გზა აღარ გვქონდა, შეტევაზე უნდა გადავსულიყავით. რისკზე წავედით, გაგვიმართლა. საბერძნეთისათვის კი უკეთ მოვემზადებით, ისინიც ხომ თითქმის ჩვენნაირ ფეხბურთს თამაშობენ.

### მატჩის სტენოგრამა

7 წუთი. მუჯირმა მარცხენა ფეხით ძლიერად და სახიფათოდ დაურტყა მეკარეს. ბურთი კარს ოდნავ ასცდა.

13. ალექსიძის ახლოდან თავით დარტყმული პავლოვმა მოიგერია.

15. კვაშნინმა მარჯვნიდან ჩვენს საჯარიმოში ჩააწოდა. წინ გამოსულ სოლოლაშვილს სრულიად უვნებელ სიტუაციაში ბურთი ხელიდან გაუვარდა, იქვე მდგომმა ვერპაკოვსკისმა კი მეკარის შეცდომით ისარგებლა — 1:0.

25. ალექსიძემ ცენტრიდან წაიღო ბურთი, გზად ხუთი მასპინძელი მოატყუა, მაგრამ საჯარიმოში შესულს მიზანმა ოდნავ უმტყუნა.

45. ჭანკოტაძე უხეშად შეცდა. ბურთი რებენისმა მიიღო, მეკარის პირისპირ დარჩა, თუმცა ვერაფერი მოახერხა, თანაც სოლოლაშვილმა იყოჩაღა.

51. სახიფათო სიტუაციაში რებენისს ისევ მეკარემ აჯობა.

52. პავლოვს ბურთი ხელიდან გაუვარდა, მაგრამ წიტაიშვილმა ველარ მიუსწრო.

53. დარასელიამ მარჯვნიდან კუთხური მოაწოდა. წიტაიშვილის თავური — ხარიხა. ბურთი იქვე დაეცა კარის ხაზზე. მცველმა ფეხი მოიქნია, ბურთი სამიოდ მეტრში გადააგდო, მას მუჯირი დაეუფლა, დაარტყა, მაგრამ იმავე მცველმა კვლავ კარის ხაზიდან გამოიტანა. ბურთს ისევ მუჯირი დაეპატრონა, ორი მცველი მოატყუა, დაარტყა და მარცხენა ძელთან მდგომმა კვაშნინმა ცხვირით ბურთი კუთხურზე მოიგერია. ეს იყო სასწაული.

63. რებენისმა პელცისს მიაწოდა, თანაც ისე, რომ პარტნიორი მეკარესთან პირისპირ დატოვა. ბედად, სოლოლაშვილმა იმარჯვა.

76. ჭანკოტაძემ რატომღაც თავით პელცისს დაუგდო და ლატვიელი კვლავ ერთი-ერთზე დარჩა. სოლოლაშვილმა დუელი ისევ მოუგო.

76. ალექსიძემ მარცხენა ფლანგზე სამი მცველი ჩამოიშორა, საჯარიმოს კუთხეს მიუახლოვდა, ბურთი მარჯვენა ფეხზე გადაიტანა და შორეულ ცხრიანში ულამაზესი გოლი გაიტანა — 1:1.

88. ლატვიელები ცენტრს იქით ველარ გადადიან. მათ კართან შტურმია. ამ დროს მუჯირმა ბურთი აშვეთიას მისამართით გაგზავნა, ცოტა ძლიერად მოუვიდა. მიხოს პავლოვმა დაასწრო, მაგრამ ბურთი ხელიდან გაუვარდა, აშვეთიამაც იბრძოლა და მახვილი კუთხიდან არალოგიკური გოლი გაიტანა — 1:2.

### EURO 2000
### ჩვენი ჯგუფი

**ლატვია 1:2 საქართველო**
1:0 ვერპაკოვსკისი (15), 1:1 ალექსიძე (78), 1:2 აშვეთია (88)

**სლოვენია 1:3 ნორვეგია**
0:1, 0:2, 0:3 კარეუ (31, 64, 73), 1:3 ცეპი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ალბანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| საბერძნეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სლოვენია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ლატვია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩები. მეორე ტური

I ჯგუფი

**დანია 2:2 უელსი**
0:1 ჰავარტი (8), 1:1 რომედალი (16), 1:2 ტომასი (44), 2:2 მადსენი (63)

**იტალია 1:0 შვეიცარია**
1:0 პირლო (53)

III ჯგუფი

**ჩრდ. ირლანდია 1:1 ფინეთი**
1:0 კოტი (17), 1:1 ნიემი (30)

**თურქეთი 2:0 გერმანია**
1:0 გიოქთანი (7), 2:0 ბელოზოღლუ (56)

V ჯგუფი

**ინგლისი 1:0 ბულგარეთი**
1:0 ლამპარდი (62პ)

**პოლონეთი 5:0 ლუქსემბურგი**
1:0 იაკუბოვსკი (4), 2:0 გლოვაჩკი (19), 3:0 ვიშნიარიკი (40), 4:0 სობჩაკი (79), 5:0 ბიკოვსკი (83)

VI ჯგუფი

**კვიპროსი 2:1 ავსტრია**
1:0 ლამბრუ (20), 2:0 კონდოლეფტეროსი (62), 2:1 სალერი (75)

**ჰოლანდია 3:0 ისრაელი**
1:0 მუსამპა (50), 2:0 ვან ვენეპოორი (60), 3:0 დე იონგი (66)

VII ჯგუფი

**აზერბაიჯანი 2:1 უნგრეთი**
1:0 მუსაევი (47), 1:1 კაბატი (58), 2:1 ისმაილოვი (59)

**პორტუგალია 1:1 რუმინეთი**
1:0 საბროშა (21პ), 1:1 ლინკარი (37)

VIII ჯგუფი

**მალტა 0:3 ხორვატია**
0:1 ლაკო (47პ), 0:2 ბისკანი (70), 0:3 დარანია (84)

IX ჯგუფი

**ლიტვა 0:1 ბელგია**
0:1 ვან დე პაასი (40)

**ბოსნია 0:0 ჩეხეთი**

**შოტლანდია 2:0 ესტონეთი**
1:0 დარგო (6), 2:0 დალგლიში (74)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაგვეხმარეთ, ბიძიებო!

### „მილიონ ს ჩემტა“

ბატონმა ილია დათუნაშვილმა „სარ-ბიელში“ სტუმრობისას მანუჩარ მაჩაიძის ინიციატივაზე ბრძანა და არც საქებარი სიტყვები დაუშურებია. საქმე ისაა, რომ მაჩაიძე ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრისას თხოვნით — როგორმე ქართულ გუნდებს (I ჯგუფისებს) მილიონ ექვსასი ათასი ლარი გამოუყავით ბიუჯეტიდანო. თხოვნაზე პრეზიდენტს დადებითი რეზოლუცია წაუწერიაო — ისიც თქვა ბატონმა ილომ. ლხენა მოგეცეთ, მილიონ ექვსასი ათასი კარგა მოზრდილი ლუკმაა დაჯაგლაგებული ქართული ფეხბურთისთვის. მარტივი არითმეტიკის საქმე არ არის? მილიონ ექვსასი ათასი რომ პირველი ჯგუფის თექვსმეტ გუნდს თანაბრად გაუნაწილდეს, თითოს ას-ასი ათასი შეხვდება. ასი ათასით კი, თუ მთელს არა, ნახევარ სეზონს მაინც იცხოვრებენ ჩვენი, რომელიც გინდათ, კლუბი.

ეს ერთი, მაგრამ ახლა ისიც ვთქვათ, რამდენს კი ეს „მილიონ ს ჩემტა“ ჩვენს გაჭირვებას? ან კიდევ რამდენი „მილიონ ს ჩემტა“ იქნება საჭირო, რომ პირველი ჯგუფის გუნდები შევინარჩუნოთ? ზემოთ ხსენებული თანხა ისეთ კატეგორიებს განეკუთვნება (რაოდენობას ვგულისხმობ), უფრო პურის, ანაც ჯიბის ფულს რომ ეძახის სერიოზული ხალხი. ჯიბის ფულით კი დიდი საქმისთვის თავის მობმა ცოტა გაჭირდება. ... ხელგაშვერით ეშველება ქართულ ფეხბურთს რამე. უპრიანი ის იქნება, ჯიბიანი პატრონები გავიჩინოთ, ინტელიგენტი ხალხი, საქმეში ფულის ჩადება რომ შეუძლიათ და საქმიდან ფულის გათვლილად გამოღებაც.

ზემოთ ხსენებული „მილიონ ს ჩემტა“ როგორმე ერთ სეზონს გაგვაჩიქჩიკებს. გაჭირვებით, მეტს, უბრალოდ, ვერ ეყოფა. მეტია საჭირო... მავანი ქართულ ანდაზასაც გაიხსენებთ — მათხოვარი და წუნიაო? მაგრამ თუკი გვსურს, ქართული ფეხბურთი აღორძინდეს და თუკი მიგვაჩნია, რომ ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა, სწორედ დიდ ფულზე უნდა ვიფიქროთ. მილიონ ექვსასი ათასი წვეთია ზღვაში. ისევე, როგორც ერთი სეზონის გათრევა ნიშნავს არაფერს ქართული ფეხბურთის აღორძინების საქმეში.

„მილიონ ს ჩემტა“ მხოლოდ კარგი დასაწყისია დიდი საქმისა.

### რატომ გვიწუნებენ „ხვიზლარი“ კაპიტალისტები?

ეს ქვეთავი დაახლოებით ჩვენივე მსგავსი ქვეყნებისა და მათთან კავშირში მყოფი სპონსორების დამოკიდებულების ფონზე იწერება. აგერ, მაგალითად რუსეთი ავიღოთ (გულის გასახეთქადაც) — „სტიმოროლი“, „კოკა-კოლა“, „პეპსი-კოლა“, „სოტელი“ და ვინ იცის, რა მაგნატები არ აფინანსებენ რუსულ ლიგას. არც ისაა ძნელი დასანახი, რომ რუსები ძალიან-ძალიან ვერაფრით გვჯობიან ფეხბურთში, ტრადიცია და სახელიც ხომ არანაკლები გაგვაჩნია... და მაინც, იქაურ გუნდებს ბუზებივით ეხვევიან უცხოელი მაგნატები. აი, ჩვენთან კი ქუდიც რომ შემოუგდო ვინმეს, არ შემოვა. ფულის გამეტებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

მაშ, რაშია საქმე? რითი გვიწუნებენ?

არც ისე ძნელია, ფულიანი ხალხის წუნიანობას მიზეზი მოუძებნო, მით უმეტეს, ბიზნესი და ბიზნესმენები უკვე კარგა ხანია, გაკვალულ და გაშიფრულ გზას მიჰყვებიან. უბრალოდ, ფულიანი კაცი საქმეში ფულს არ ჩადებს, თუკი მას გარანტია არ მიეცი. გარანტია იმისა, რომ ამ ფულს არ დაკარგავს. ამ გარანტიას კი ვერავინ ვერავის მისცემს ჩვენს ფეხბურთში. ამადაცაა — გვიფრთხიან უცხოელები. შინაურები ხომ გვიფრთხიან და გვიფრთხიან. თვითონვე დავაფრთხეთ და იმიტომ. თუმცა ამაზე მომდევნო ქვეთავში...

### მარტოხელები და მონადირენი...

მოუნდომა ფოთის „კოლხეთს“ პატრონობა პრეზიდენტმა დავით კუპრეიშვილმა და გაკოტრდა...

მოინდომა კახეთში, კერძოდ, გურჯაანში მიხეილ ფურცელაძემ ძლიერი გუნდის შექმნა, მაგრამ ვერ მეორე ჯგუფში იხრჩვება ახლა „ალაზანი“.

ტარიელ ჩაჩუას საპრეზიდენტო ამბიციები და ქონება „სამტრედიის“ ვიცე-ჩემპიონობამ გადაიყოლა. მერე „სამტრედიაც“ დაიძირა.

ვასილ ხაჭაპურიძის „მარგვეთმა“ ერთი კი წაიფაფხურა, მაგრამ მალე ზესტაფონელებმა პრეზიდენტი დაუჭირეს და „მარგვეთიც“ სამტრედიელებივით გაცამტვერდა.

ბევრი სხვა მოხალისის გახსენებაც შეიძლება, ქართული კლუბების პრეზიდენტობა-მეპატრონეობაში რომ არ „ჩაუვიდათ ფეხი“. ზოგს ვალი დაედო, ზოგს სასჯელი, ზოგიც... თუმცა მიზეზს და სამხილს ვინ გამოლევს ქართულ ფეხბურთში. შედეგი კი „ერთწლიანი გუნდების“ ინსტიტუტი, დამფრთხალი ფულიანი ხალხი და დაღმავალი ქართული ფეხბურთია.

ახლა ის ვთქვათ, რატომ არ ულხინდათ ქართულ კლუბთა მეპატრონეთ?

პასუხი ერთია — მათ მარტოკებს უხდებოდათ ღელოს გატანა. მარტოკაცი კი არათუ ფეხბურთში, ჭამაშიც ბრალიაო, უთქვამთ.

ისიც სათქმელია, რომ ცალი მხრიდან არაფერს უნდა შეხედოს კაცმა — კი, შეიძლება ამ ხალხმა ყველაფერი ისე არ გააკეთა და გამოუვიდა, როგორც უნდა გაეკეთებინა და გამოსვლოდა, მაგრამ მანამ, სანამ ურემი არ გადაბრუნდა, კაციშვილი გვერდით არ დადგომია მათ. პირიქით, ხელსაც უშლიდნენ. მეტიც, ჩასაფრებულნი ელოდნენ: არიქა, ეგებ ფეხი გადაუბრუნდეთ, იქნებ რაიმე შეეშალოთო...

აჰა, ბოლო — ბესიკ ჯიქიას მარტოკაცობა და გასაჭირიც ხომ სახეზეა. ვინ ოხერი იტყვის, ქუთაისური „ტორპედოს“ ბოლო რვაწლიანი ისტორიის მანძილზე ვინმეს მასზე მეტი გაეკეთებინოს გუნდისთვის, არც დამხმარეებს მოუკლავთ თავი, მაინცდამაინც, გაუჭირდა, ხელი შეეშალა და დაფა-ზურნასაც შემოჰკრეს. ხელის შეშველება მართებდათ კი...

მაგრამ ამ ჩასაფრებით ქართულ ფეხბურთს რა ხეირი? ან როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?

საერთოდ, კაცი მტყუან-მართლობით იზომება, იმის მიხედვით, კარგი მეტი უკეთებია თუ ცუდი და იქნებ იმაზეც გვეფიქრა, რომ ზემოთ ნახსენები პიროვნებები (სხვებიც) კარგს უფრო მეტს აკეთებდნენ, ვიდრე ცუდს და მათთვის ხელის შეწყობა უფრო უპრიანი იყო, ვიდრე ხელის შეშლა ანაც სატუსაღოში გამომწყვდევა. სიტყვამ მოიტანა და ამ ფაქტებთან ერთად „დინამოს“ გადასახადებისგან განთავისუფლებაც გავიხსენოთ. ასე იყო თუ ისე, გუნდს „დინამოლა“ ჰგავდა და ჰგავს ჩვენს ეროვნულში. სხვებს კი, საცოდავებს, ვინ იცის, რამდენი ბარიერის დაძლევა მოუხდათ.

ახლა თურმე „დინამოს“ საქმეც სასამართლოსთვის გადაუციათ. მიზეზი: ისევ ფინანსური დარღვევები. ოცდარვა მილიონ ლარზეა ლაპარაკი — დალოცვილებო, აქამდე სად იყავით, ნუთუ ამასაც ჩასაფრებულნი ელოდით? სანამ ამდენი და ამხელა დარღვევა არ მოიყრიდა თავს, მანამდეც ხომ შეიძლებოდა რაიმეს გარკვეულწილად თქმა. ეს იმათ ეხებათ, ვინც ახლა ჩაიხედა „დინამოს“ სამზარეულოში და ვისაც აღრიც შეეძლო ამის გაკეთება. ახლა კი მორიგი სკანდალი და აურზაური ვერაფრით წაადგება ჩვენს ფეხბურთს. ის დრო დადგა, რაღაც-რაღაცეები თავიდანვე ამოიძირკვოს, სანამ დიდი მასშტაბი მიუღია. თორემ მერე ლხენა მოგეცეთ, როგორადაც სატკივრის დაამება გაჭირდეს.

ჰოდა, ამად ვამბობთ — ვენდოთ კიდეც, შევამოწმოთ კიდეც, ოღონდ ნუ ჩავუსაფრდებით ამ ხალხს. ამით მათაც ვლუპავთ, ქართულ ფეხბურთსაც და სხვებსაც ვაფრთხობთ, ვისაც კი ფეხბურთში ფულის ჩადება გადაუწყვეტია (თუ არსებობს ან თუ დარჩა ასეთი ხალხი).

### მძიმეა გვირგვინი მეფეთა

ერთი კაცის ქვეყანაა საქართველო. ერთი კაცი წყვეტდა, აკანონებდა და აგვარებდა ყველაფერს ჩვენში ოდითგან — შინაც, გარეც, ოჯახშიც, სუფრაზეც. ფეხბურთშიც ასე იყო აქამდე, სანამ ნოდარ ახალკაცი გარდაიცვლებოდა. გარდაიცვალა ცხონებული და... არა, სამდურავი და ვიშვიში მაშინაც ისმოდა საფეხბურთო საქართველოში, მაგრამ ის კაცი პასუხისმგებლობასაც თავის თავზე იღებდა ხოლმე (ისევე, როგორც გადაწყვეტილებებს). ახლა კი, რამდენიც უნდა იყვირო, ილანძღო და ითათბირო, თუ თვალში თითი არ ჩხრიკე ვინმეს, თავის თავზე არავინ არაფერს მიიღებს და ხელების დაბანაც იმგვარად ისწავლეს, პილატე მონაგონია.

ჰოდა, ძველებურად ერთი კაცის გადასაწყვეტ-მისათითებლად გაგვიხდა საქმე ფეხბურთშიც. ეს ის კაცია, ყველაფერს რომ ეკითხებიან და ვისაც მანუჩარ მაჩაიძემ მიაკითხა, თავისი პროექტით. სანამ პრეზიდენტი არ ჩარიეს საქმეში, მანამ ვერ შექმნეს „ქართული ფეხბურთის განვითარების პროგრამა“. პრეზიდენტის ხელდასმით კი ამ სიტყვებს „სახელმწიფოც“ დაემატა და აჰა, „ქართული ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამაც“ ხელთა გვაქვს.

ფურცელზე ყველაფერი ისე წერია, უკეთესს ვერ ინატრებ, მაგრამ შესრულება თქვი კაცმა... იმ ხალხის ხელში კი, ვინც ეს პროგრამა უნდა განახორციელოს, არა გვგონია, ხეირს ეწიოს საქმე და ქართული ფეხბურთი.

უეჭველია, ძველებურად ერთი კაცის ბიძგი და ქომუნჯი დაჭირდება საქმეს... დახმარებაც.

რას ვიზამთ, მძიმეა გვირგვინი მეფეთა... საქართველოში უმეტეს.

### და კიდევ...

საქმე წინ რომ წავიგდოთ, ქართული გუნდები გადასახადებისგან უნდა გავათავისუფლოთ. ყადაღა უნდა ავხსნათ მთლიანად ქართულ ფეხბურთს. ასევე უნდა მოვეფეროთ ქართულ ფეხბურთში მოღვაწე ბიზნესმენების ჯიბესაც, პირიქით, იქიც უნდა მივეხმაროთ მათ. ოღონდ უნდა შევამოწმოთ კიდეც. ახლა ფეხბურთში, ისევე, როგორც ქვეყანაში, ბევრი შემთხვევითი პირია, მდგომარეობაც ისეთია, ძაღლი პატრონს ვერ ცნობს და ნებაზე მიშვება არავისი შეიძლება.

მაშინ კი, როცა კაცი თავის ნაშოვარს ახარჯავს გუნდს, ზედმეტი კრიტიკა და ლრიჭინი არ არის საჭირო, ფულს სუნი არ უდის და თუ ფეხბურთში მოსვლამდე სუფთა იყო გუნდის მეპატრონე, მერე, უბრალოდ, არც უნდა მივცეთ გასვრის უფლება.

ხოლო ის ხალხი, ვისაც აქამდე ფული უშოვია და მისი საქმეში ჩადებაც განუზრახავს, გვერწმუნეთ, თუკი გადასახადები არ დაახრჩობს, უსაშველოს არაფერს იზამს.

ეს ბიზნესის კანონია და იმიტომ. ბევრ შავ ფულს ცოტა თეთრი სჯობს და იმიტომ.

ფეხბურთს ზღვა მოგება ისედაც მოაქვს და იმიტომ.

თან ძველი პრეზიდენტების მაგალითებიც ხომ სახეზეა.

### ახლა ბიძიებზეც...

ბიძიებში ჯიბესქელ საქმიან ხალხს ვგულისხმობთ. გარანტიას თუ მივცემთ ამ ხალხს, სახელმწიფოს თანადგომასაც შევპირდებით და ქართველი კაცის ფეხბურთისადმი სიყვარულსაც დავანახებთ, ბევრი მათგანი მოინდომებს ჩვენს ფეხბურთში ფულის ჩაძებას.

მერე არც რუსების შეგვშურდება და არც სხვების. ამჟამინდელი ჩვენი ფეხბურთის შემხედვარე კია ძნელი, მასში ფული ჩადოს კაცმა, მაგრამ რა გაეწყობა — სიტყვაზე უნდა გვენდონ „ბიძიები“.

ჰოდა, ფეხბურთი გვყავს ცუდად და დაგვეხმარეთ, ბიძიებო.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

---

## საქართველოს თასი

### მეთექვსმეტედფინალი

#### პირველი მატჩები

8 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| ლოკომოტივი | 4:0 | ივერია |
| თბილისი | | ხაშური |

9 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| ოდიში | 1:1 | ენგური |
| ზუგდიდი | | განმუხური |
| გურია | 0:3 | კოლეჯი |
| ლანჩხუთი | | ბათუმი |
| „გურია“ არ გამოცხადდა | | |
| იბერია | 1:1 | სამეგრელო |
| სამტრედია | | ჩხოროწყუ |
| სამგურალი | 1:0 | იბერია 2 |
| წყალტუბო | | სამტრედია |
| დილა | 4:0 | რიონი |
| გორი | | ქუთაისი |
| ვიტ ჯორჯია | 4:0 | მარგვეთი |
| თბილისი | | ზესტაფონი |
| არსენალი | 4:0 | იბერია |
| თბილისი | | ქარელი |
| მერანი | 8:1 | ზოოვეტი |
| თბილისი | | თბილისი |
| გორდა | 1:0 | ყვარელი |
| რუსთავი | | ყვარელი |
| სიონი | 3:1 | აკადემია |
| ბოლნისი | | თბილისი |
| თსუ | - | საუ |
| თბილისი | | თბილისი |
| გადაიდო | | |

საპასუხო მატჩები 13 ოქტომბერს

---

# დიდი სიხარული პატარა გულში



გორელთა იმედი ალეკო კაიდარაშვილი

როგორ მოახერხეს გორელებმა ყოველივე?! იმითი, რომ გორში ბავშვთა ფეხბურთს ალალი ხალხი უძღვება. საქმეს გულიანად აკეთებენ და ცდილობენ, პროფესიონალები გახდნენ.

გორში, ცენტრალური სტადიონის გადაღმა, პარკში, საფეხბურთო სკოლა „ორბი“ ზრდის პატარა ფეხბურთელებს. იქ 400 სხვადასხვა ასაკის მოზარდი ეუფლება ფეხბრთის საიდუმლოს.

ქალაქის განაპირას კიდევ ერთი სკოლაა. ტინისხიდში დამატებით 150 ფეხბურთელი იზრდება, რომელთაც ჰოლანდიურ „აიტაქსისა“ და „ბრედაში“ მოთამაშე ტყუპები, ეროვნული გუნდის წევრები, არჩილ და შოთა არველაძეები უწევენ შეფობას. ამას წინათ მათ, არაერთ სხვა სიკეთესთან ერთად, ჰოლანდიიდან ჩამოუვიდათ სავარჯიშოდ თუ სათამაშოდ აუცილებელი ინვენტარი. გახარებულ ბავშვებს შინ ვერ ვისტუმრებთ, ბურთს ვერ ვაცილებთო, გვითხრა სკოლის ერთ-ერთმა მწვრთნელმა.

გორის თითქმის ყველა მახლობელ სოფელში საფეხბრთო სკოლა იხსნება, სადაც სულ ცოტა, 80 ბავშვი ივლის.

ახლა ყველა ერთად შევკრიბოთ და ვნახავთ, რომ ფეხბურთში დაკავებული ბავშვების რაოდენობა 2000 მიაღწევს.

ღმერთმა ინებოს, ყველა ფეხბრთელი დადგეს, მაგრამ ორი ათასიდან ფეხბურთის ფხა და ნიჭი ასში ერთს რომ აღმოაჩნდეს, თავი ქუდში ჰქონიათ გორელებს და ეგ არის.

როგორ გგონიათ, გორელებს ფული მოსჭარბებიათ, თუ ციდან ცვივა უშრომლად. ის კი არა, ფაქტობრივად შიშველ ენთუზიაზმზე აკეთებენ საქვეყნო საქმეს.

არც „დილაა“ განებივრებული მაინცდამაინც, ხშირად ფეხბურთელები თვეობით ვერ იღებენ კუთვნილ ჯამაგირს, მაგრამ ერთხელაც არ წამოსცდენიათ, სათამაშოდ არ გავალთო.

ბევრს უკვირს, რატომო. იმიტომ, რომ ყველა ადგილობრივი ფეხბურთელია, შინაურმა კი თავისი ქალაქის ცოდვა-მადლი სხვაზე მეტად უწყის და თავმოყვარეობაც აწუხებს. გორელებს, სხვათაგან განსხვავებით, განსაკუთრებული ჯიგარიც გააჩნიათ და საქმეც აწყობლია.

ჩვენში დიდი თუ პატარა, პროფესიონალი თუ მოყვარული, ყველა ბავშვთა ფეხბურთის აღორძინებაზე ბჭობს. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატებს ხომ თითზე დაუხვევიათ ეს თემა. ქართული ფეხბურთის ჯერაც პოტენციური მესაჭენი თავიანთ საარჩევნო პროგრამებში ბავშვთა ფეხბურთის განდიდებაზე მოგვითხრობენ.

უკვე მიცვალებული ქართული ფეხბურთის გრძნობაზე მოყვანას ბავშვთა ფეხბურთის გამოცოცხლებით ვაპირებთ. სად ვიყავით აქამდე?! ვინ გვიშლიდა ხელს, საფეხბურთო სკოლებისთვის მიგვეხედა.

ერთი შეხვედით ვერც ვერავინ შეგვეცილებოდა, მაგრამ მავანთ საკუთარი კეთილდღეობის გარდა არაფერი გახსენებიათ. დარდიმანდობამ კი ყველაფერი დააქცია.

უფულობაზე წუწუნი კარგი იციან, კი გვსურს ბავშვთა ფეხბურთი ავაღორძნოთ, მივხედოთ, მაგრამ სახსრები არ გაგვაჩნიაო.

ჩვენში მსგავსს ანკესს უკვე არავინ წამოეგება. ხალხმა ქარს გატანებულ თანხებზეც იცის და კიდევ ბევრ რამეზეც. მთავარია, მონდომება და საქმის სუფთა ხელებით კეთება, თორემ მიზნის მიღწევა არცთუ საძნელო უნდა იყოს.

საქართველოში თითქმის ყველგან წუწუნებენ, აქაოდა, კლუბებში ღირსეული ცვლა არ მოდის, ვეტერანები დღე-დღეზე თამაშს თავს ანებებენ და ისღა დაგვრჩენია, სათამაშოდ მწვრთნელები გავიდეთო.

სპორტის კანონია ასეთი, ვეტერანი უნდა წავიდეს, მაგრამ ჭკვიანმა მწვრთნელმა ისე უნდა მოახერხოს, რომ მისი შემცვლელი დროზე შეიგულოს.

თითქოს გასაკვირიც არაფერია, მაგრამ თუ ბავშვთა ფეხბურთზე და საიმედო ცვლაზე ვისაუბრებთ, მაშინ გორის საფეხბურთო სკოლებს გვერდს ვერ ავუვლით.

გორელები წლების მანძილზე ახერხებდნენ იმას, რაც ბევრ თავმომწონეს ვერ გაუკეთებია და ოცნებადაც გადაქცევია.

გასული ჩემპიონატის შემდეგ გორის „დილამ“ არაერთი წამყვანი ფეხბურთელი მოისკალისა — როინ მარღიშვილი, ვაჟა თარხნიშვილი, გიორგი ბალაშვილი, ზურაბ ხორგუაშვილი, მახარე მინდიაშვილი, გიორგი რევაზიშვილი გიორგი ლომიძე, ამათ მივუმატოთ „დილადან“ ადრე წასულები — ნუკრი მინდიაშვილი და რამაზ სოლოლაშვილი. არაფერს ვამბობთ ისეთ ვეტერანებზე, როგორებიც შალვა ტაბატაძე და ჯამბულ გაგნიძე არიან. გიორგი წკრიალაშვილმა, როგორც ვიცით, ნაადრევად მიატოვა ფეხბურთი.

ახლა კარგად დავფიქრდეთ და ვთქვათ, რომელი გუნდი მოახერხებდა წელში გასწორებას, ერთბაშად 12 ფეხბურთელს რომ გამოთხოვებოდა. ფაქტობრივად ვერც ერთი, მხოლოდ გორის „დილამ“ მოახდინა სასწაული.

ეროვნულ ჩემპიონატში ცხრა ტური გაილია. კარგად ჩავხედოთ გათამაშების ცხრილს. საყურადღებოს იმას დავინახავთ, რომ „დილა“ მესამე საფეხურზე მომაგრებულა და ჩემპიონატში ისე თავგანწირვით და მონდომებით იბრძვის, უკან დახევას სულაც არ აპირებს.

ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაშიც მატულობს გორელების რიცხვი. სოლოლაშვილი ჯერჯერობით უცვლელი მეკარეა, მარჯვენა ფრთაზე რევაზიშვილი დაფუძნდა. ახლა ალეკო კაიდარაშვილიც ვიკითხოთ... „დილას“ შეტევების ლიდერი წარმოუდგენლად სწრაფად დაკაცდა. საფეხბურთო სკოლიდან „დილას“ ლიდერობა იოლი არ გეგონოთ. მიუხედავად კონკურენციისა, ვფიქრობთ, აშვეთიას მეწყვილე ცოტა ხანში ის იქნება.

ერთი თავდამსხმელით მოთამაშე „დილას“ აღმასვლაც მისი დამსახურებაა. თავით კარგად მოთაამშეს, არც დრიბლინგი აკლია და ვერც გოლის ალღოს დავუწუნებთ. თუმცა დამამთავრებელ ფაზაში მოიკოჭლებს და ამ მხრივ შრომა, თანაც ხანგრძლივი არ აწყენდა.

წინ ეულად მოთამაშემ 6 გოლის გატანა მაინც მოახერხა და თუ მის ახალგაზრდულ ასაკსაც გავითვალისწინებთ, მაშინ მისი იმედიც უნდა ვიქონიოთ.

აქვე სხვებიც გავიხსენოთ, კერძოდ, პაატა ფეზუაშვილი, უტეხი და უღლელი მცველი. ძმები — ჩიტაიები, რომელთაც შავი სამუშაოს შესრულებასთან ერთად შექმნაც ძალუძთ. ჯერაც ნორჩი გარემარბები თაყაძე და ახალკაციც იმედისმომცემები არიან.

მაშ, გამოდის, რომ პატარა გორი იმაზე დიდიც კია, როგორიც წარმოგვედგინა. ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ „დილას“ თავკაცებს ზოგიერთ მატჩში ვალიდოლები ბლომადა აქვთ მომარაგებული, მაგრამ გაივლის დრო, ახალგაზრდები დალვინდებიან და წამალიც აღარ იქნება საჭირო.

მერე გორელებმა იმაზე იფიქრონ დიდი სიხარული პატარა, მუჭისტოლა გულში როგორ დაიტიონ. ის დროც ხომ მოვა.

**მამუკა ქვანტალიანი**

# ან გამარჯვება, ან...

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

გუშინ გუნდის კრებაზე ფეხბურთელებს მეტოქეთა პლუსებზეც ვესაუბრე. პირველ რიგში ის ვუთხარი, რომ მათ ძლიერი, გამოცდილი მწვრთნელი ჰყავთ, რომელმაც ჩვენს შესახებ ბევრი იცის. თუმცა იქვე დავამატე, რომ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. თუ იომებენ, მოინდომებენ, გამარჯვებას წინ ვერაფერი დაუდგება. მწვრთნელს ძლიერი ფეხბურთელები სჭირდება. მე კი დარწმუნებული ვარ, ძოძუაშვილს ასეთები ჩვენზე ნაკლებად ჰყავს, ქართველი ფეხბურთელები გაცილებით სჯობიხართ-მეთქი. პრობლემა მხოლოდ ერთია — რომ გვეგონა, ლევან სილაგაძეს გადაბრუნებული ფეხი სწრაფად მოურჩებოდა, ასე არ მოხდა. კოჭი ისევ სტკივა, სიარულიც უჭირს, პრაქტიკულად გამორიცხულია მისი თამაში. ეგ კი არა, ალბათ, აქვე დავტოვებთ, საბერძნეთში სილაგაძის ნაცვლად რომელიმე თავდამსხმელს დავიმატებთ, რომელსაც ჯანაშია — აჩიკო არველაძე — იაშვილისგან ავარჩევთ. არჩილსაც და იაშვილსაც ვესაუბრე, მითხრეს, რომ მკურნალობის პროცესი კარგად მიმდინარეობს, შეიძლება ბერძნებთან შეხვედრამდე სრულად გამოჯანმრთელდნენ. ჯანაშია კი, მოსკოვში გავუშვით, „ლოკომოტივის" ექიმთან სამკურნალოდ. მას მარჯვენა მენისკი აწუხებდა, ორ დღეში ერთხელ სახსარში ნემსს იკეთებს. თუ საბერძნეთში ზაზა დაგვჭირდა, დავურეკავთ და მეორე დღესვე ათენში ჩამოვიყვანთ.

სასიამოვნოა, რომ ალბანეთთან მატჩამდელი პერიოდისგან განსხვავებით, ზოგმა ტრავმა მოიშუშა, რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა თავის კლუბში, ზოგმა პირადი პრობლემები მოაგვარა და სათამაშო პრაქტიკა მიიღო. ფაქტობრივად, სადარდო აღარაფერი გვაქვს. შოთა არველაძე ნორმალურად გამოიყურება. შელია დამძიმებული კია, მაგრამ მონდომებულია და მიხარია, რომ მისთვის ნაკრების ღირსების დაცვას ყველაზე მნიშვნელოვანია. ნემსაძე ათამაშდა. ყაველაშვილმა „გრასჰოპერსში" ადგილი დაიმკვიდრა. ქინქლაძელა დარჩა, თუმცა ამ ბიჭის პოტენციიდან გამომდინარე, მისი დიდი იმედი მაქვს.

ერთი სიტყვით, ლატვიაში ფეხბურთელთა მომზადების დონით ერთობ კმაყოფილი ვარ. ვატყობ, მათ შეიგნეს, რას ნიშნავს ეროვნულ ნაკრებში თამაში. თავდაუზოგავად ვარჯიშობდნენ. პრეტენზია არავისთან მაქვს. ჩვენი მუშაობა კი გუშინ საღამოს დამთავრდა. დღეს მსუბუქად წავივარჯიშებთ, „დაუგავას" სტადიონს მივეჩვევით.

შემადგენლობას მატჩის წინ დავასახელებ. ახლა კონკრეტულად ვერ გეტყვით, ვის შევარჩევ ძირითადისთვის. არაა გამორიცხული, ლიბეროდ ნემსაძე გავამწესოთ, რადგანაც ლატვიასთან მატჩში გამოცდილი ფეხბურთელი ძვირად ფასობს.

გუცაევმა ლაპარაკი ამით დაამთვრა და გვითხრა, ახლა ახალგაზრდულების მატჩზე წავიდეთ. ჟურნალისტების გამარჯვების ამბავი გავიგე, თქვენს დაწყებულს, დღეს ალბათ ჩვენი ახალგაზრდები გააგრძელებენ. ეროვნული გუნდი კი ქართველების სიხარულს გაასამებსო.



ვლადიმერ გუცაევს ქართველ ჟურნალისტებთან გასაუბრება არც რიგაში დავიწყნია

## EURO 2000
## ჩვენი ჯგუფი

კოსოვოში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ უეფა აიძულა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა ალბანეთსა და საბერძნეთს შორის უსაფრთხოების მოტივით გადაედო.

გადაწყვეტილება ევროპის ჩემპიონატის უეფასეულმა კომიტეტმა მიიღო. ამ კომიტეტს თავკაცობს გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი და უეფას ვიცე-პრეზიდენტი ეგიდიუს ბრაუნი. გადაწყდა, რომ მატჩი დღეის ნაცვლად 18 ნოემბერს, ოთხშაბათ დღეს გაიმართება.

გუშინ, 9 ოქტომბერს უნდა გამართულიყო ამავე ქვეყნების ახალგაზრდულ ნაკრებთა შეხვედრაც, რომელიც შესაბამისადვე მოგვიანებით შედგება.

ამ ნაბიჯით უეფამ ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციას საშუალება მისცა უკეთ მოემზადოს მატჩისთვის, სულ მცირე ის მაინც შეძლოს, რომ საბერძნეთის დელეგაციას უსაფრთხო პირობები შეუქმნას.

უეფა იმედოვნებს, რომ ალბანეთში პოლიტიკური სიტუაცია შუა ნოემბრისთვის მოწესრიგდება.

ბუნებრივია თამაშის ასე გადადებამ საბერძნეთის ეროვნულ გუნდს პრობლემები შეუქმნა. რადგან მისი ფეხბურთელებისთვის ნაკრების წინაშე მოვალეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ს...ა ზარბაზნებ... ქუხან...

ბის ერთბაშად მოხდა ოპტიმალური ... ნებოდა. საქმე ისაა, რომ მერე, ბერ... მოთამაშეებს ევროტურნირების შე... დრები ელით. განსაკუთრებით რთ... ვითარებაში ხვდებიან ლეგიონერები, ... გალითად ჰოლანდიაში მოთამაშე გ... ლასი, ესპანეთში მოთამაშე ცარტასი... ინგლისში დაბანაკებულნი ბორბო... ზაგორაკისი და დაბიზასი.

...ნატოს განცხადება საჰაერო თავ... სხმის შესახებ რეალობას უახლოვ... ბა, ამერიკის შეერთებული შტატებ... წარმომადგენელმა გააფრთხილა იუ... სლავიის პრეზიდენტი სლობოდან ... ლოშევიჩი, რომ იგი ეწინააღმდეგება ... სოვოს რეგიონში მშვიდობის დამყა... ბის გაეროსეულ მოთხოვნებს — კო... ვო სერბიის პროვინციაა, სერბია კი ... გოსლავიის უმთავრესი რესპუბლიკა. ... სოვოს 2 მილიონიანი მოსახლეობის ... პროცენტს ალბანელები წარმოადგე... რომლებიც თვითმმართველობას ით... ვენ.

**მანოს სტარამოპულო...**
**საგანგებოდ „სარბიელისთვ...**

## ვლაჟნიასაც გაუმართლ...

ალბანეთის პირველი დივიზიონის კლუბმა, კორჩეს „შკენდერბუმ" ოფიციალურად განაცხადა, რომ თუ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია მის მიმართ გამოტანილ განაჩენს არ შეცვლის, კლუბი ბოიკოტს გამოუცხადებს ქვეყნის პირველობას, მარტივი სიტყვებით რომ ვთქვათ, შეწყვეტს ალბანეთის ჩემპიონატში მონაწილეობას.

ამას წინათ „შკენდერბუმ" 3:2 დაამარცხა ჩვენთვის კარგად ცნობილი შკოდერის „ვლაჟნია", თუმცა მატჩის შემდგომ გულშემატკივრებს და ფეხბურთელებს შორის ატეხილი ჩხუბის გამო ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა მასპინძელ კორჩელებს მოგებისთვის განკუთვნილი სამი ქულა ჩამოართვა. 3:2 შეცვალა 0:2 სტუმართა სასარგებლოდ და „შკენდერბ... ერთ-ერთ ფეხბურთელი მსაჯის ფიზ... რი შეურაცხყოფის გამო, ექვსი თვით ... მოაშორა ფეხბურთს. გუნდს კი 700 დ... ლარი დაეკისრა ჯარიმად.

სადისციპლინო კომიტეტმა თავის ... რივ „ვლაჟნიაც" დასაჯა — 350 დოლ... გადაახდევინა, ერთ-ერთი დებიუტი... ფეხბურთიდან ოთხი თვით მოკვეთა.

სამი ქულის დაქვითვის შედეგად ... ცხრე ადგილზე მყოფი „შკენდერბუ"... ლო, მე-16 ადგილზე აღმოჩნდა.

შკოდერის „ვლაჟნია" კი, თბილისში ... ანაცხადო ფეხბურთელის თამაშისთ... 0:3 წაგებით რომ დაისაჯა და ეს ჩემ... ონთა თასის პირველი საკვალიფიკაც... ეტაპიდან გავარდნადაც დაუჯდა, ამ... რად ცხრილში დაწინაურდა.

# ეს ერთი და სხვა...

ბავშვობაში მჯეროდა, რომ ფეხბურთი საქართველოში დაიბადა. ანკი მაშინ სად გვეცალა ამაზე ბევრი ფიქრისთვის, ერთი სული გვქონდა, სასწრაფოდ გვესწავლა გაკვეთილები, როგორმე მშობლებს დავძვრენოდით და იწყებოდა...

ასე იყო მუდამ. საქართველოში ყოველთვის თამაშობდნენ დიდ ფეხბურთს. ამოიღებ ქართული თაიგულიდან ერთ ყვავილს და მის ადგილას სხვა ჩნდება. კომპოზიცია კი კვლავაც მომხიბლავია. ქართველებს ფეხბურთის სიყვარული გენეტიკურად მოგვდგამს, მაგრამ ამას თან ყოველთვის ჭკვიანური და გეგმაზომიერი მუშაობაც ერთვოდა.

ქართული საფეხბურთო სკოლის ნაყოფიერებაზე მიშა მესხის, სლავა მეტრეველის, ბასა ღოღობერიძის, დავით ყიფიანისა და სხვათა სახელები მეტყველებს.

დღეს მდგომარეობა შეიცვალა და ისევ და ისევ ჩვენი გაჭირვებული ყოფის გამო თუმც არის სხვა მიზეზიც — დღესაც არიან ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული ნორჩები, მაგრამ არა იმ რაოდენობით, როგორც თუნდაც ათი წლის წინ. მიზეზი კიდევ ბევრია, ახლა მათ ჩამოთვლას არ შევუდგებით, მხოლოდ ერთს ვიტყვით — მდგომარეობა გამოსასწორებელია, თანაც სასწრაფოდ.

ნოდარ ახალკაცის სახელობის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელები ჯერჯერობით მხოლოდ ერთ მოედანზე იზრდებიან. სკოლა ვაკეში, სტუდქალაქის გვერდით მდებარეობს და ფუნქციონირება 5 სექტემბერს დაიწყო. სამასამდე ბავშვი რამდენიმე გუნდად ასაკის მიხედვით არის დაყოფილი. უმცროსები 6 წლისანი არიან, უფროსები — 10-ის.

სკოლის შექმნის იდეა ფეხბურთზე შეყვარებულ ხალხს — ნიკუშა დოლიძეს, ნოდარ ანდღულაძესა და ყოფილ ფეხბურთელს, ყველასთვის კარგად ცნობილ გრიშა ცაავას ეკუთვნის. შემდეგ მათ სხვებიც შეუერთდნენ და ნელ-ნელა ამ იდეას ხორცი შეესხა. სკოლის საქმიანობას კი საერთაშორისო საზოგადოებრივი საქველმოქმედო ფონდი „ფეხბურთი ბავშვებს" კურირებს, რომლის დამფუძნებლები ზემოთ ჩამოთვლილ პიროვნებებთან ერთად ქართველი და უცხოელი პარტნიორებიც არიან. ფონდის ვიცე-პრეზიდენტები ლევან ყიფიანი და თავდაცვის ყოფილი მინისტრი გია ყარყარაშვილი არიან. სწორედ ამ უკანასკნელის უდიდესი დამსახურებაა, რომ დღესდღეობით ეს სკოლა არსებობს.

ჯერჯერობით ეს მხოლოდ მცირე კომპლექსია, უფრო ზუსტად, პატარა მოედანი შენობით. ბავშვებს, შეიძლება ითქვას, იდეალური პირობები აქვთ შექმნილი. აქ არის საშხაპეები, გასახდელები, სავარჯიშო დარბაზი, პატარა ბარი და, რაც მთავარია, ბავშვებს ჰყავთ ექიმი, რომელიც ყოველთვის აკონტროლებს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას.

ყოველგვარ იდეას განსახორციელებლად ფინანსები სჭირდება, მით უმეტეს, ასეთს. დღევანდელ პირობებში კი ვინმეს მხარდაჭერის გარეშე ეს საკმაოდ ძნელი გასაკეთებელია. სკოლის შექმნაში დამფუძნებლებთან ერთად ფეხბურთის ფედერაციამ დაიდო წილი, ასევე თბილისის „დინამომ" და საკმაოდ დიდიც. ბავშვთა ფეხბურთის განვითარების პროგრამა, რომელსაც უახლოეს მომავალში გამოაქვეყნებენ ფონდის ხელმძღვანელები, მერაბ ჟორდანიასთან ერთად არის შედგენილი, გარდა ამისა, „დინამოს" პრეზიდენტი მუდმივად მეურვეობს სკოლას და შეძლებისდაგვარად ეხმარება მას. სულ მალე „მზიურში" აშენდება დიდი მოედანი, სადაც უფროსი ასაკის მოსწავლეებთან ერთად პატარებიც ითამაშებენ, რადგან მომცრო მოედანზე ისინი ველარ ეტევიან. მით უმეტეს, ბავშვების რაოდენობა დღითიდღე იზრდება.

— ბავშვთა ფეხბურთის განვითარების პროგრამა დიდი ხანია, მოვამზადეთ — ამბობს ნიკუშა დოლიძე — და კონკრეტულად ვიცით, რა გზებით და როგორ ვუშველოთ მას. თავდაპირველად საჭირო იყო ბაზის შექმნა. ეს შევძელით. სიმართლე რომ გითხრათ, არავინ ელოდა, რომ ეს საქმე გამოგვივიდოდა. პირველ ეტაპზე 6-8 წლის ბავშვებისთვის ეს სავსებით საკმარისია, მომავალში კი თანხების მოზიდვის იმედი გვაქვს და უფრო დიდსაც ავაშენებთ. პროგრამაში კი სკოლების დამცავი მექანიზმებიც გვაქვს, რათა ფეხბურთში შემთხვევით მოსულმა პიროვნებებმა მათი ნაჯაფი ქარს არ გაატანონ.

ამის მაგალითები კი ჩვენს ფეხბურთში, სამწუხაროდ, არის. მოვა ვილაცა, იტყვის, მენეჯერი ვარო, მოკიდებს ბავშვს ხელს და გაყიდის. რა გამოდის — წლების განმავლობაში გაწეული სამუშაო ვილაცის გამო შეიძლება ერთ დღეში წყალში ჩაეყაროს სკოლას. ასეთი რამ დაუშვებელია. როგორია, მწვრთნელს, რომელმაც ათი წლის განმავლობაში ავარჯიშა ბავშვი, ესე იგი, ფაქტობრივად, გამოზარდა, უთხრა, შენ ამ ბავშვთან არაფერი გესაქმებაო.

მწვრთნელებად სკოლაში ყოფილი დინამოელები არიან მიწვეულნი — ზაზა ბაკურაძე, მამუკა ფანცულაია, დიმა კუდინოვი. დამეთანხმებით, მათ ხელში ბავშვები ბევრს ისწავლიან. ასე რომ, ფეხბურთში შემთხვევით მოხვედრილი პიროვნებები არ არიან, მწვრთნელთა კვალიფიკაცია კი ეჭვს ნამდვილად არ უნდა იწვევდეს. სასწავლო პროცესის მხრივაც ბევრად გამოსწორდა მდგომარ... ბა. სკოლის აღმზრდელთა კოლექტ... აზრით, კარგი სწავლა ვარჯიშის ერ... ერთი შემადგენელი ნაწილია. არ არ... ისე, რომ ბავშვი კარგად ვარჯიშობ... და ცუდად სწავლობდეს.

დღევანდელ ცხოვრებაში ფეხბურ... ლებს ადრეული ასაკიდან უხდებათ ... ნტრაქტებთან და ფინანსებთან ურთი... რთობა. და კიდევ, ფეხბურთელი პრე... სთან ურთიერთობასაც კარგად უნდა ... თმევდეს თავს, რათა ამან მის ავტორ... ტეტზე უარყოფითად არ იმოქმედოს.

არცთუ დიდი ხნის წინ საზოგად... ბაში გავრცელებული იყო აზრი, რო... სპორტს მისდევს ის, ვინც სხვა საქ... ში არ გამოდგება. დღესდღეობით ... ზოგადოებრიობის დამოკიდებულება სპ... რტსმენების მიმართ მკვეთრად შეიცვ... ლა. ამის დასტურად ერთ-ერთი მშ... ბლის სიტყვებიც გამოდგება: „პირად... მე, მამისაგან განსხვავებით, წინააღმდე... გი ვიყავი ბავშვის ფეხბურთზე მიყვან... სა, რადგან მეგონა, რომ სწავლას ვე... მოასწრებდა, განსაკუთრებით მაშინ, რო... ცა გაიზრდებოდა, პირიქით კი მოხ... — უფრო კარგად დაიწყო სწავლა. ვფ... ქრობ, თუ ბავშვს ნორმალური განა... ლება არ ექნა, იგი არც ერთ საქმ... არ გამოდგება."

და მოდით, ისევ სკოლას დავუბრ... ნდეთ. ვარჯიში აქ ჯერჯერობით უფ... სოა. მართალია, მომავალში ფასიანი ... ნება, მაგრამ, ფონდის ხელმძღვანელ... თქმით, გადასახადი სიმბოლური იქნ... გარდა ამისა, გამოიყოფა საათები ღტ... ლვილი ბავშვებისთვის, რომელთაც ... გილობრივებთან შედარებით შეღავათ... ბი ექნებათ.

ჩვენი მხრივ კი ერთსაც დავამატებ... უდავოდ მისასალმებელი წამოწყება ... მას ყველანაირად უნდა შევუწყოთ ხ... ლი. ბევრი გაიძახის, ბავშვთა ფეხბუ... რთი უნდა განვითარდესო, მაგრ... ზოგიერთების გარდა ამ საქმისათვ... არავის არაფერი გაუკეთებია. მარტო ს... ტყვით კი... ეს არ უნდა იყოს პირვე... და უკანასკნელი სიახლე და მას ხე... უნდა შევაშველოთ, რათა ტრადიცია... იქცეს.

**ბაატა თოთა...**



ვაკეში ნორჩები ფეხბურთს თამაშობენ

# „ზა ნამი მოსკვა“ არ არის

## ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. IV ჯგუფი

## რუსეთი — საფრანგეთი

ანატოლი ბიშოვეცმა მწვრთნელის რანგში სამამულო ფეხბურთისთვის ახალი რეკორდი, უფრო სწორად კი ანტირეკორდი დაამყარა. არც საბჭოთა კავშირს და არც მის სამართალმემკვიდრე რუსეთის ნაკრებს ზედიზედ სამი მატჩი არასდროს წაუგია. ეს პირველად წლეულს მოხდა, როდესაც რუსეთის ეროვნული გუნდი ჯერ შვედებთან დამარცხდა, მერე უკრაინელებთან და ბოლოს ვერც ესპანეთში იმარჯვა, მიუხედავად იმისა რომკარგა ხნის განმავლობაში რიცხვნაკლულ მოწინააღმდეგესთან უწია ჭიდილმა. შვედებთან და ესპანელებთან წაგებული შეხვედრები ამხანაგური იყო, მოსამზადებელთა კატეგორიას განეკუთვნებოდა, უკრაინელებთან მატჩი კი ოფიციალური, მეტად საპასუხისმგებლო გახლდათ. ამას რომ მოგახსენებთ, განა ბიშოვეცის უნიათობას ვუსვამ ხაზს, ან მის დაბალ კვალიფიკაციაზე მიგითითებთ. სრულებითაც არა. ეს არც მიფიქრია და იქნებ საქმე პირიქითაც იყოს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და მის უარყოფას ყველაზე თამამი ოპტიმისტებიც კი ვერ გაბედავენ. სხვა საქმეა, თუ რით არის გამოწვეული წარსულში ცნობილი ფეხბურთელის და შემდეგ საკმაოდ ავტორიტეტული მწვრთნელის წარუმატებელი დებიუტი ნაკრების მწვრთნელის პოსტზე. ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ, ჯერჯერობით კი კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ 10 ოქტომბერს ანატოლი ბიშოვეცსა და რუსეთის ნაკრებს კიდევ ერთი უმძიმესი გამოცდა ელით. იქნებ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანიც, როგორც მწვრთნელის, ისევე ფეხბურთელთა კარიერაში. მოსკოვს ნებისმიერ დროს ძლიერ გუნდად აღიარებული, ამჟამად კი მსოფლიოს მეშვიდე ჩემპიონის რანგამდე აღზევებული საფრანგეთის ნაკრები ეწვევა.

საერთოდ, ძალიან საინტერესო შეხვედრებს, განსაკუთრებით ნაკრებთა დონეზე, გულშემატკივრები ხშირად თამაშის წინ ან მის შემდეგ სახელებს შეარქმევენ-ხოლმე და მერე ეს მატჩები ისტორიაში ამავე სახელწოდებით შედის. არ გეტყვით, ასევე იქნება თუ არა ამ შემთხვევაშიც, მაგრამ შაბათის შეხვედრას რუსმა ფეხბურთის მოყვარულებმა „ბოროდინოს ბრძოლად“ მონათლეს. გასაგებია, რომ ეს ბრძოლა და 1812 წელს მოსკოვთან განვითარებული მოვლენები რუსებში უფრო სასიამოვნო მოგონებებს აღძრავს, ვიდრე ფრანგებში, მაგრამ არც ის იწვევს ეჭვს, რომ 10 ოქტომბერს სტუმრები მასპინძლებს ბრძოლაში არ ჩამორჩებიან და არც მათზე ნაკლებ ეცდებიან შესარჩევი ციკლის პირველ მატჩში მოულოდნელად დაკარგული ქულების კომპენსაციას.

შაბათისთვის ორივე გუნდი გაძლიერებულად ემზადება, რადგან დამხვდურთაც და ჩამომხვდურთ მშვენივრად ესმით ამ მატჩის მნიშვნელობა. ცხადა, რუსებიც და ფრანგებიც თავისას ეცდებიან, ერთნიც და მეორენიც არ ივიწყებენ ერთმანეთთან პაექრობისთვის არსებულ პლუსებსა და მინუსებს, თითქოს ოპტიმიზმიც არ აკლიათ, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ორივე გუნდს თავზესაყრელად აქვს პრობლემები. იქნებ არც ღირდეს იმაზე თავის მტვრევა, ვის უფრო მეტი აქვს და ვის ნაკლები, მაგრამ ამის გარკვევა თუ მაინც გაინტერესებთ, დაე, ასე იყოს. რამდენადაც შევძლებ, მოგახსენებთ ამ სირთულეების შესახებ, დასკვნა კი საბოლოოდ თავად გააკეთეთ. მასპინძლებით დავიწყებ.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთები ამას უარყოფენ, მაინც ნათელია — რუსეთის ნაკრები გარკვეულ კრიზისს თუ ჩავარდნას განიცდის. ჯერ ნაადრევია იმის თქმა, ეს რამდენად სერიოზულია და თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, იქნებ ამას ათში წერტილიც დაესვას, მაგრამ ბოლოდროინდელი წარუმატებლობების შემყურე საქმეში ასე თუ ისე ჩახედულმა კაცმა არ შეიძლება, საგანგაშო ფაქტორები არ შენიშნოს. რით არის გამოწვეული ეს? ერთ-ერთი მიზეზი, რომელზე საუბარიც რატომღაც ერთობ მიუღებლად ითვლება, ირიბი ხასიათისაა და ის რუსეთის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტის, ვიაჩესლავ კოლოსკოვის და ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ანატოლი ბიშოვეცის ურთიერთობებს მოიცავს. არ შეიძლება ითქვას, რომ კოლოსკოვსა და ბიშოვეცს შორის აშკარა კონფრონტაციაა თანაც, ამას ორივენი უარყოფენ, მაგრამ მათი ურთიერთობა მეტი სითბოთი რომ იყოს გამსჭვალული, საერთო საქმისთვის ურიგო არ იქნებოდა.

თავდაპირველად კოლოსკოვის გულისწყრომა ბორის იგნატიევის წასვლამ და მის მაგივრად ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ანატოლი ბიშოვეცის დანიშვნამ გამოიწვია. შეგახსენებთ, რომ თავად კოლოსკოვს მიხეილ გერშკოვიჩის კანდიდატურის გატანა უნდოდა, მაგრამ მთავრობის უმაღლესი ეშელონების მითითების თანახმად, რუსეთის საფეხბურთო კავშირის აღმასკომს ანატოლი ბიშოვეცის კანდიდატურის განხილვა მოუხდა, გერშკოვიჩმა კი ამ თანამდებობაზე თავისი ნებით განაცხადა უარი. თავად კოლოსკოვის განცხადებით, არც მისთვის და არც აღმასკომისთვის ბიშოვეცის კანდიდატურა თავს არავის მოუხვევია, მაგრამ ისიც კარგად ჩანს, რომ საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ორჭოფული განცხადებებით შეუმჩნევლად, მაგრამ საკმაოდ ხშირად ისვრის კენჭებს ბიშოვეცის ბოსტანში.

თავის მხრივ ბიშოვეციც ერიდება სიტუაციის აშკარად გამწვავებას, მაგრამ უკმაყოფილების მიზეზი მასაც გააჩნია. ცნობილია, რომ კოლოსკოვს ერთი სისუსტე გააჩნია: გადამწყვეტი თუ ნაკლებად გადამწვეტი მატჩების წინ უყვარს შემადგენლობის მისეული ვარიანტის ჩამოყალიბება და თუ იგი მწვრთნელისას არ დაემთხვა, ამი საკითხზე პოლემიკასაც არ ერიდება. ხანდახან ამას ტაქტიკური სქემის და სტრატეგიის ვარგისიანობაზე საუბარიც ერთვის, ეს კი არავის სიამოვნებს, ჰოდა, აბა რა გასაკვირია, საკმაოდ ემოციური ანატოლი ბიშოვეციც არ გამოხატავს აღფრთოვანებას. გარეგნულად თითქოს ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ ეს სიტუაცია მაინც უარყოფით გავლენას ახდენს ნაკრების მორალურ-ფსიქოლოგიურ განწყობაზე. თანაც, რაც დღეს ფარულია, ხვალ შეიძლება გაცხადდეს, ეს კი კიდევ უფრო დაძაბავს მდგომარეობას.

მეორე პრობლემა უფრო განსხვავებული ხასიათისაა და იმაში მდგომარეობს, რომ ანატოლი ბოშოვეცმა ძალიან გვიან ჩაიბარა რუსეთის ნაკრები და მისი ჯეროვნად მომზადების დრო ნამდვილად არ ჰქონდია, რასაც მისი აშკარა მოწინააღმდეგენიც კი ვერ უარყოფენ. თანაც ბიშოვეცი კარგა ხნის განმავლობაში ნაკრებთან ერთად „ზენიტსაც“ ხელმძღვანელობდა და ეს დროის კიდევ უფრო დიდ დეფიციტს უქმნიდა. ბიშოვეცი მხოლოდ ორიოდე კვირის წინ წავიდა „ზენიტიდან“. ასეა თუ ისე, რუსეთის მთავარი გუნდი ჯერჯერობით ცუდად არის შეთამაშებული და ვერავინ დადებს თავს, რომ შაბათისთვის ის ამ პრობლემას გადაჭრის.

საკმაო შეშფოთებას იწვევს ნაკრების ფეხბურთელთა ურთიერთდამოკიდებულებაც. ის მცირე დაჯგუფებები, რომლებიც უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ყალიბდებოდა და ახლა საბოლოო სახე მიიღო,ოდნავადაც არ უწყობს ხელს „გუნდური სულის“ განვითარებას, რომელიც სერიოზული წარმატების მიღწევის აუცილებელი წინაპირობაა. რუსეთის ნაკრების ნებისმიერ საწვრთნელ შეკრებაზე ნახავს კაცი, რომ სასადილოში, საბილიარდოში თუ სხვაგან ლეგიონერები ცალკე დადიან, რუსეთში მოთამაშე ფეხბურთელები — ცალკე, რუსეთის თითქმის უცვლელი ჩემპიონის, მოსკოვის სპარტაკის მოთამაშეებსაც ხომ თავისი გზა აქვთ. არადა, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან სხვადასხვა ეროვნების ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ ნაკრებებში უმეტეს შემთხვევაში სხვაგვარი, უფრო მეგობრული ატმოსფერო სუფევდა.

შეიძლება ვინმე შემედავოს ყოველივე ზემოჩამოთვლილი ხომ მაინც წვრილმანებიაო, მაგრამ წარმატების მიღწევა თუ ვერმიღწევა განა ასეთი უმნიშვნელო დეტალების ერთობლიობით არ არის განპრობებული? ათიოდე ნაკლებმნიშვნელოვან წვრილმანს კარგი შედეგის მოტანა შეუძლია და პირქით. მაგრამ ხალხი გულშემატკივრები ყოველივეს კარგად გრძნობენ და ხვდება. ამიტომაც ნაკლები იმედი აქვთ, ბევრად ნაკლები ვიდრე თუნდაც იგივე უკრაინელებთან შეხვედრამდე. დაახლოებით იგივე განწყობა შეინიშნებოდა სამშაბათამდე ჟურნალისტებშიც, შემდეგ კი ეს გრძნობა კიდევ უფრო გამყარდა. ამის მიზეზი 6 ოქტომბერს ნოვოგორსკში, რუსეთი ნაკრების ბაზაზე გამართული საგანგებო წინასამატჩო პრესკონფერენცია გახდა, რომელშიც ანატოლი ბიშოვეცთან ერთად ფეხბურთელები — ალექსანდრ მოსტოვოი და სტანისლავ ჩერჩესოვი მონაწილეობდნენ.

— რა თქმა უნდა, ჩვენ ყველას ძალიან გვსურს დადებითი შედეგის მიღწევა, მაგრამ ასევე კარგად გვესმის, რომ მსოფლიოს ჩემპიონებთან შეხვედრაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს: მე გუნდს 2002 წლის პერსპექტივით ვამზადებ — ეს სიტყვები ვინმემ კი არა, რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ანატოლი ბოშივეცმა წარმოთქვა. იგრძენით თავის დაზღვევის სურვილი? ალბათ კი.



როჟე ლემერს უმნიშვნელოვანეს მატჩში ლილიან ტურამის და მისებრ მსოფლიოს ჩემპიონთა უფრო ეიმედება, ვიდრე ახალი თაობის

იმის ნაცლვად, რომ მწვრთნელმა ფეხბურთელებში საბრძოლო სული ჩანერგოს, ის პირდაპირ ამბობს, თუ წავაგეთ, არა უშავს, 2002 წელს აუცილებლად მივაღწევთ წარმატებასო. მგონი, დამეთანხმებით, საპასუხისმგებლო თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე მსგავსის მოსმენა დიდი ვერაფერი სიამოვნებაა, მით უმეტეს, გუნდის მთავარი მწვრთნელისგან.

პრესკონფერენციაზე ბიშოვეცი კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან პრობლემას, მოთამაშეთა მოძალებულ ტრავმებსაც შეეხო:

— ახლა, როდესაც ვალდებულნი ვართ, შემტევი ფეხბურთი ვითამაშოთ, ჩვენ სამი ისეთი ფეხბურთელი გამოგვაკლდა, რომლებიც გუნდის წინა ხაზს აყალიბებენ: კანჩელსკისი, კოლივანოვი და კირიაკოვი. ამას ციმბალარიც დაუმატეთ და თავად ნახავთ, რაოდენ მძიმე დღეში ჩავცვივდით.

გაცნობებთ, რომ შეკრებაზე გამოძახებული ინგლისური „ჩელსის“ მეკარე, დიმიტრი ხარინი მოულოდნელად ავად გახდა და მის ნაცვლად სასწრაფოდ უხმეს ალექსანდრ ფილიმონოვს, იური ნიკიფოროვი კი ჰოლანდიიდან მცირე ტრავმით ჩამოვიდა და ვერც ის არის საუკეთესო ფორმაში. ერთი სიტყვით, ავადმყოფები საკმარისზე მეტია.

შედარებით სიტყვაძუნწი, მაგრამ მრავლისმეტყველი იყო ალექსანდრ მოსტოვოი:

— ფრანგების გუნდში სუსტ წერტილებს ვერ ვხედავ. სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი, როგორ უნდა დავამარცხოთ. ამაზე სერიოზული დაფიქრება გვმართებს. არა მგონია, მინდორზე შემდეგი ლოზუნგით გასვლა მიზანშეწონილი იყოს: „ზა ნამი მოსკვა“, მაგრამ წაგებაც არ შეიძლება, რადგან მაშინ, ევროპის ჩემპიონატის საგზური დაახლოებით 70 პროცენტით ჩვენს მეტოქეებს შეხვდებათ და არა ჩვენ.

როგორ შემაშფოთებლადაც ჟღერდეს ეს რუსეთის ნაკრების გულშემატკივართათვის, ფაქტი სახეზეა. ჯერჯერობით ერთადერთი დადებითი მომენტი კი ის გახლავთ, რომ ნაკრებს რუსეთის მთავრობისაგან არც მორალური დახმარება აკლია, არც მატერიალური, თანაც ეროვნული გუნდის ახალი სპონსორები, „კოკა-კოლა“ და „ფოლკსვაგენი“ ასეთივე სერიოზულ მხარდაჭერას აპირებენ, რაც მოღრუბლულ ცაზე თითქმის ერთადერთ ნათელ სხივს წარმოადგენს.

და რა ხდება ამ დროს მეტოქის ბანაკში? უნდა ითქვას, რომ მცირედი ღელვა იქაც შეინიშნება, რადგან პრობლემები ფრანგებსაც მოეძალათ. ბოლო დღეებში ხშირად ვუკავშირდებოდი პარიზში მომუშავე ჩემს ძველ ნაცნობსა და მეგობარს, მიხეილ კალმიკოვს, რომელიც მართალია სპორტულ ჟურნალისტთა რიცხვს არ განეკუთვნება, მაგრამ მაინც ჩინებულად ერკვევა ფეხბურთში და მუდამ საქმის კურსში მაყენებს.

ფრანგებს, ისევე როგორც რუსეთის ნაკრებს, როგორც იტყვიან, უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვთ. მსოფლიოს ჩემპიონებმა შესარჩევი ციკლის პირველ მატჩში რეიკიავიკში ვერ შეძლეს მასპინძელთა, ისლანდიელთა დამარცხება. ეს ყველასთვის, მათ შორის თვითონ ფრანგებისთვისაც, მოულოდნელი შედეგი იყო. ფრემ ისლანდიელებთან ისინი საკმაოდ რთულ სიტუაციაში ჩააგდო და მოსკოვში გამარჯვება მათთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. იმ შემთხვევაში, თუ ფრანგები გამარჯვებას ვერ მიაღწევენ, ისინი (ისევე როგორც რუსები) მეტად გაირთულებენ საქმეს ევრო 2000-ის საგზურისთვის ბრძოლაში. თანაც მსოფლიოს ჩემპიონის რანგში თამაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ახლავს თან. მსოფლიოს უპირველეს გუნდს ყველა აკვირდება, ყველა უკირკიტებს და მისგან ყველა მეტს მოელის. ეს ყოველივე მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს ფრანგებს, რომელთაც წმინდა ფსიქოლოგიურის გარდა, სხვა პრობლემებიც არ აკლიათ.

სამშაბათს საფრანგეთის ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე, დაბა კლერფონტენში, მსოფლიოს ჩემპიონთა სათადარიგო მეკარე, ლიონელ შარბონიე გამოცხადდა, რომელიც მოულოდნელად ტრავმირებული ძირითადი გოლკიპერის, ფაბიენ ბარტეზის ნაცვლად გამოიძახეს. თუმცა შარბონიემ კლერფონტენში მხოლოდ რამდენიმე წუთი თუ დაჰყო. მეკარის განცხადებით, მას ნაკრებში ნამდვილი კონკურენციის იმედი ჰქონდა და არა ბინძური თამაშებისა. ბარტეზის სათადარიგოობას შარბონიე კიდევ ეგუებოდა, მაგრამ ლამას ჩრდილში ყოფნა მისთვის ყოვლად მიუღებელი აღმოჩნდა, რადგან, მისივე თქმით, იგი ამჟამად საშინლად თამაშობს. „თუ ეს ფეხბურთია, მაშინ მიმიფურთხებია ყველაფრისათვის“ — პირდაპირ განაცხადა მეკარემ და კარი ხმამაღლა გაიჯახუნა.

მეორე ფსიქოლოგური დარტყმა მოთამაშეთა გაუთავებელი ტესტირებაა დოპინგზე. მას უკლებლივ ყველა გადის. ნაკრების ლიდერმა, იუვენტუსში მოთამაშე ზინედინ ზიდანმა განაცხადა: „ცხადია, გამომძიებლებს უნდა მიეცეთ თავიანთი საქმის კეთების საშუალება, მაგრამ პრესასა და ტელევიზიაში ჩვენი მისამართით გამოთქმული ზოგიერთი ბრალდება აშკარად გულს გვტკენს.“

საფრანგეთის ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელების სია პრინციპში ეწინააღმდეგება ახალი მწვრთნელის, როჟე ლემერის ლოგიკას. მოსკოვში მას 17 მსოფლიოს ჩემპიონი მოჰყავს და თავდასხმის გასაძლიერებლად ნაკრებში ნიკოლა ანელკას და ტონი ვერელსაც იწვევს. ამრიგად, იგი ამართლებს ისლანდიასთან მატჩამდე წარმოთქმულ სიტყვებს:

— ჩვენი კარი ღიაა ტალანტებისთვის, მაგრამ თუ მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონები დაადასტურებენ, ან, მთლად უკეთესი, გადააჭარბებენ თავიანთ დონეს, მაშინ ახალგაზრდებს გაუჭირდებათ ნაკრებში ადგილის დამკვიდრება.

მოსკოვში გამომგზავრებამდე ლემერმა განაცხადა, რომ მას მართლაც სურდა გუნდში „ახალი სისხლის“ შერევა, მაგრამ კარგა ხნის ფიქრის შემდეგ მაინც თავი შეიკავა.

— რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი მშვენიერ ფორმაშია, მაგრამ გავითვალისწინე მოსკოვური კომპანიის უდიდესი მნიშვნელობა და მაინც გადავწყვიტე, რუსეთში ძირითადად საჩემპიონო შემადგენლობა წამომეყვანა — აღნიშნა როჟე ლემერმა.

ასე რომ, რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს, რომელთაც უკვე ამ შემოდგომაზე ჰქონდათ ნაკრებში მოხვედრის იმედი, მცირე ხანს მოცდა მოუწევთ. სამაგიეროდ, მსოფლიოს ჩემპიონთა მწვრთნელი დიდ იმედს ამყარებს ინგლისურ „არსენალში“ მოთამაშე ნიკოლა ანელკაზე. ლემერი თვლის, რომ რეიკიავიკში მის გუნდს სწორედ ასეთი სწრაფი და „გამრღვევი“ ფორვარდი აკლდა.

— ისლანდიაში მეტოქემ ჩვენს წინაშე ნამდვილი გაუვალი კედელი აღმართა. იმედი მაქვს, რუსების დაცვა ნაკლებად საიმედოდ იმოქმედებს — აცხადებს ემე ჟაკეს ყოფილი თანაშემწე.

ლემერის აზრით, მოსკოვში დამარცხება დამღუპველი არა, მაგრამ ძალიან დამაღონებელი კი ნამდვილად იქნება. თუმცა მის მიერ ამ აზრის გამოთქმა და კრიტიკოსთა ყბაში ჩავარდნა ერთი იყო, რადგან ფრანგებს შეხვედრის სხვა შედეგით დასრულება ვერ წარმოუდგენიათ და თუ ეს მაინც მოხდა, მაშინ ლემერის მომავალი კარიერის წინასწარ განჭვრეტას ალბათ ვერავინ შეძლებს.

დასაწყისში მოგახსენეთ, რომ როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდის ფეხბურთელებს ერთმანეთთან პაექრობაში სხვადასხვა პლუსები გააჩნიათ-მეთქი. ვფიქრობ, რუსეთის ნაკრებს სამ ასპექტში ექნება უპირატესობა მეტოქეზე.

პირველი — ფრანგებს ტრადიციულად უჭირთ რუსებთან თამაში. მართალია, ადრე სსრკ — საფრანგეთის შეხვედრები იმართებოდა, მაგრამ ამით ბევრი არაფერი იცვლება, რადგან უხერხული მეტოქის იარლიყი რუსეთის ნაკრებს მიკერებული აქვს და გარკვეული კომპლექსისგან გათავისუფლება, მიუხედავად უდავო პროფესიონალიზმისა, მსოფლიოს ჩემპიონთათვის ალბათ არც ისე ადვილი იქნება.

მეორე — მოსკოვური შემოდგომა ანუ სიცივე, წვიმები და აქედან გამომდინარე, მოედნის არცთუ სახარბიელო საფარი, რომელზე თამაშსაც საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელები არ არიან მიჩვეულნი. ეს გარკვეულწილად რუსეთის ნაკრებსაც შეუშლის ხელს, მაგრამ გავრისკავ და ვიტყვი, რომ ტექნიკურ ფრანგებს ამის გამო უფრო ბევრი პრობლემა ექნებათ.

და მესამე — რუსმა ქომაგებმა კარგად იციან ყვირილი. საკუთარი მინდვრისა და გულშემატკივრის ფაქტორს ვგულისხმობ, რომელსაც უეჭველად მოსკოველი ფანები ანუ „ულტრასები“ ჩაუდგებიან სათავეში.

ფრანგთა სასარგებლოდ მეტყველ ფაქტორებს გაცილებით მოკლედ გადმოგცემთ, მაგრამ ისინი რუსებისას არ ჩამოუვარდება. სტუმრებს ხომ თავის შემადგენლობაში 17 მსოფლიოს ჩემპიონი ეყოლებათ ლეგენდარული მიშელ პლატინის მემკვიდრის, ზინედინ ზიდანის მეთაურობით და ამით ალბათ უკვე ყველაფერია ნათქვამი.

სხვა მხრივ, თითქოს ყველაფრი წესრიგშია. საორგანიზაციო საკითხები უკვე გადაჭრილია. ერთადერთი, რაც მატჩის ორგანიზატორებს აღელვებთ, ის გახლავთ, რომ სასურველია, შეხვედრაზე დასასწრები ბილეთები უფრო სწრაფად იყიდებოდეს, რადგან მსოფლიოს ჩემპიონები არც მოსკოვში და არც სადმე სხვაგან ყოველდღე არ ჩადიან და მასპინძლებისთვის ტრიბუნების მხარდაჭერა უბრალოდ ფასდაუდებელი სამსახური იქნება. ფრანგებსაც და რუსებსაც შაბათის მატჩში ნაკლებად დააინტერესებთ თამაშის ხარისხი და განსაკუთრებით მისი გარეგნული მხარე, რადგან ორივესთვის გადამწყვეტი მხოლოდ გამარჯვებაა.

**იური ციბანიოვი** მოსკოვიდან
საინფორმაციო-ანალიტიკური
ბიურო „ბეა“
საგანგებოდ „სარბიელისთვის“

# არავითარი პლეი ოფი

დღეს დიდი ფეხბურთის დღეა, ევროპული ფეხბურთის. ჰოლანდია — ბელგიაში წასვლის მსურველები კვლავ დაეჭიდებიან ერთმანეთს და თავიანთ ბედს ნაწილობრივ გაარკვევენ კიდეც. ჩვენი, ქართველების ყურადღება, რა თქმა უნდა, ლატვიის დედაქალაქ რიგისკენ იქნება მიმართული, მაგრამ „ბებერ კონტინენტზე" კიდევ ბევრი სხვა საინტერესო პაექრობა გაიმართება.

ინგლისის ნაკრები, რომელმაც სტოკჰოლმში პირველი წრის მატჩი დათმო შვედეთის ეროვნულ გუნდთან 1:2 და მეტად გაირთულა საქმეები, შინ „უემბლიზე" ბულგარელებს უმასპინძლებს, რომლებმაც თავის მხრივ სამარცხვინოდ წააგეს საკუთარ მოედანზე არცთუ ძლიერ პოლონელებთან 0:3.

ბუნებრივია, ჰოდლი დღეს მხოლოდ გამარჯვებას გეგმავს, ვინაიდან სხვა შემთხვევაში, სავსებით რეალურია, რომ ინგლისელები ჯგუფიდან ვერ გავიდნენ. უეჭველია, ჰოდლის მთავარი იმედი შეტევის ხაზი იქნება, მას ხომ უძლიერესი ფორვარდები ჰყავს გამოცდილი შირერის და ახალგაზრდა ოუენის მეთაურობით. სწორედ მათზე გაამახვილა ყურადღება ბრიტანელთა თავკაცმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

— ბევრი მეუბნება, რომ შირერი და ოუენი ერთად ვერ თამაშობენ მაღალ დონეზე და ამის დასამტკიცებლად 5 სექტემბრის მაგალითიც მოჰყავთ. იმასაც მირჩევენ, ახალგაზრდა, ჯერ კიდევ გამოუცდელი ოუენის ნაცვლად ძირითადში შერინგემი დავაყენო, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. კი, ვერ ითამაშეს მათ შვედების წინააღმდეგ ისე, როგორც მსურდა, თუმცა ამის გამო თავში ხელების წაშენა ნაადრევია. უბრალოდ, დროა საჭირო, რომ მათ ერთმანეთს იდეალურად გაუგონ და შეთამაშდნენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ შირერსა და ოუენს ყოველთვის თვალდახუჭული ვათამაშებ ან შერინგემია ცუდი თავდამსხმელი. უბრალოდ, მჯერა — ეს დუეტი სიკეთეს მოგვიტანს.

თითქმის იგივე გაიმეორა თავად ოუენმა, ვინც პრემიერლიგაში შესანიშნავი სტარტის შემდეგ გოლების გატანას შედარებით უკლო.

— ურთიერთგაგებას მოედანზე ძალიან დიდი დრო და პრაქტიკა სჭირდება, თანაც მე და შირერი სხვადასხვა კლუბებში ვთამაშობთ. სხვა საქმეა რობი ფაულერი, მას ყველანაირად ვუგებ. საუბრები, თითქოსდა მე და ალანი საქმეს ვერ გავაკეთებთ, აბსურდულია. ვიმეორებ — დროა საჭირო.

რაც შეეხება მეტოქეს, ბულგარეთის ნაკრებს, ჰოდლმა ამის თაობაზე აღნიშნა — მართალია, პირველ წრეში შინ წააგო, მაგრამ მოდუნების უფლება არ გვაქვსო.

— მას მერე, რაც ბულგარელებმა პოლონეთთან წააგეს, საკმაო დრო გავიდა, ალბათ, გააანალიზეს მომხდარი, უწვრთნელიც შეცვალეს და „უემბლიზეც" სრულიად განსხვავებული ხასიათის და დონის გუნდს გვაახლებენ. ამიტომ მთელი ცოდნა და ენერგია უნდა გამოვიყენოთ და აუცილებლად მოვიგოთ, სხვა შემთხვევაში დავიღუპებით — დაამატა ჰოდლმა.

დღეს ინგლისელების მთავარი პრობლემა ნახევარდაცვა იქნება. ისინი პოლ ინსსა და დევიდ ბექემს მოისაკლისებენ. მათი არყოფნა ნაწილობრივ იმას ნიშნავს, რომ ძირითადში ლივერპულელ ჯეიმი რედნაპს ვიხილავთ. შეიძლება, სასტარტო შემადგენლობაში ტრავმამომუშებული თემურ ქეცბაიას თანაგუნდელი დევიდ ბეტიც გამოჩნდეს.

ახლა იტალიელებზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. მათ ევრო 2000-ის შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩში, რომელიც ახალდანიშნული თავკაცის დინო ძოფისთვის სადებიუტო გამოდგა, გასვლაზე უელსელები დატოვეს უშანსოდ 2:0, დღეს კი შვეიცარიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებენ.


ჰოდლი, შირერი და ბეტი ბულგარელებს ფრჩხილების კვნეტით ელიან

კვლავ დგას დღის წესრიგში ალესანდრო დელ პიეროს პრობლემა. არა, მას არც ტრავმა აქვს და არც დისკვალიფიკაცია, უბრალოდ, ძალიან დიდი ხანია, მისი დარტყმული მეტოქის კარის ბადეს არ შეხებია.

— ვერ ვიტყვი, რომ ალექსი აუცილებლად მოხვდება ძირითადში, მაგრამ მოედანზე რომ გამოჩნდება, უეჭველია. მართალია, იგი მსოფლიოს ჩემპიონატზე და მას შემდეგ სათანადოდ ველარ ირჯებოდა, მაგრამ ნელ-ნელა უმატებს და უელსთან მისმა თამაშმა სავსებით დამაკმაყოფილა — ეს სიტყვები ძოფს ეკუთვნის.

თავად „იუვენტუსის" ფორვარდი საკუთარი თამაშით უკმაყოფილო ყოფილა — ხალხი ჩემგან ძალიან ბევრს მოითხოვს. მათ სურთ, რომ 10 შესაძლებლობიდან 8 მაინც გამოვიყენო, მაგრამ დღესდღეობით ასე არ არის, იმ 10 შანსიდან ორს თუ გამოვიყენებ. ეს ჩემპიონთა ლიგაზე „რუსენბორგთან" მატჩშიც ნათლად გამოჩნდა, როდესაც ასპროცენტიანი შანსი ხელიდან გავუშვი. არადა, წინა დღეს, ვარჯიშზე, ზუსტად იგივე მდგომარეობიდან ულამაზესი გოლი გამომივიდა.

თუ მოხდა და დელ პიერო დღეს მოედანზე ძირითადში გამოჩნდა, მას, ალბათ, ფილიპო ინძაგი შეუწყვილდება. სერია A-ს ბოლო ტურებში „ბებერი ქალბატონი" სწორედ მისი კინკილა გოლებით მიიწევს წინ. სავსებით რეალურია ნიკოლა ვენტოლას და ფრანჩესკო ტოტის თამაშიც.

ნახევარდაცვაში ძოფი დი ბაჯოს, ფუზერის და დინო ბაჯოს დაყენებას აპირებს, ხოლო დაცვაში კვლავ ვიხილავთ პაოლო მალდინის, რომელსაც ჯაჩინტო ფაკეტის მსგავსად „სკუადრა აძურაში" 94 მატჩი აქვს გამართული და ერთადერთია, ვისაც რეალურად შეუძლია რეკორდი, 112 მატჩი, დაამხოს. სხვათა შორის, ეს რეკორდი მის ამჟამინდელ თავკაც დინო ძოფს ეკუთვნის. იტალიის ნაკრების კარს კი დღეს ტრავმირებული ანჯელო პერუცის ნაცვლად ჯანლუიჯი ბუფონი დაიცავს.

მძიმე დღეშია პირველი ჯგუფის ბინადარი, პირველ წრეში იტალიელთა მეტოქე უელსის ნაკრები. დღეს მის მწვრთნელს ბობი გოულდს ორი წამყვანი მოთამაშე — რაიან გიგზი და ჯონ ჰართსონი არ ეყოლება. ორივეს კოჭის ტრავმა აწუხებს. თანაც ბრიტანელები დანიის ძლიერ გუნდს სტუმრობენ, რაც მათ შანსებს კიდევ უფრო ამცირებს.

მეტად რთული შეხვედრა ელით მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ გერმანელებს. ისინი თურქებს ხვდებიან სტუმრად და თანაც უამრავი ტრავმირებული ფეხბურთელი ჰყავთ. საეჭვოა ნაკრების კაპიტან ოლივერ ბირჰოფის, ულფ კირსტენისა და კარსტენ იანკერის თამაში. ეს მხოლოდ თავდასხმაში. სამივეს მცირე ტრავმები აწუხებთ და შეიძლება ლოთარ მათეუსის, მარიო ბასლერის, ოლაფ მარშალისა და ტომას შტრუნცის მსგავსად მატჩს ტრიბუნებიდან ანაც ტელევიზორში უცქირონ.

როგორც ხედავთ, ერიხ რიბეკს სადებიუტო მატჩში დიდი პრობლემები ექნება. თანაც, არც ბოლო დროს პროგრესირებული და ამბიციამომატებული თურქები უნდა დავივიწყოთ, რომელთაც თავიანთი გიჟმაჟი ქომაგებიც ჩვეული აქტიურობით დაუჭერენ მხარს.

— ახლა იმაზე საუბარი, თუ რა მძიმე სიტუაციაში ვართ, ზედმეტად მიმაჩნია. არც იმაზე ღირს ყურადღების გამახვილება, რომ ნაკრების ძირითადი ბირთვია დაშავებული, ვინაიდან ჯანმრთელნი იფიქრებენ, ჩვენ მეორეხარისხოვანი ხალხი ვართო. ეს ასე არ არის. ოცდაორივე ფეხბურთელი, ვინც თურქებთან საბრძოლველად გამოვიძახე, ჩემთვის ერთი დონისაა — აღნიშნა მხცოვანმა რიბეკმა.

სავარაუდოდ, დორტმუნდის „ბორუსიასთან" შეხვედრისას დაშავებულ ვეტერან ლიბეროს, ლოთარ მათეუსს ლევერკუზენელი იენს ნოვოტნი შეცვლის. აგრეთვე მოსალოდნელია დაცვაში მარკუს ბაბელის გამოჩენაც. შეტევაში კი, სახელოვანი თანაგუნდელების ადგილის დაკავებას ახალგაზრდა დორტმუნდელ ლარს რიკენს უწინასწარმეტყველებენ.

მოკლედ, რიბეკს ძალიან ბევრი თავსატეხი აქვს და თურქებთან წარმატების მიღწევას ახალბედა ფეხბურთელებით უნდა შეეცადოს. მიუხედავად ამისა, იგი იმედს არ კარგავს, რაზეც მისი შემდეგი სიტყვებიც მეტყველებს: „ჩვენ ჯგუფში აუცილებლად პირველ ადგილზე უნდა გავიდეთ და ყოველგვარ პლეი ოფს თავი უნდა ავარიდოთ. ეს ჩემი მთავარი მიზანია და მას აუცილებლად განვახორციელებ".

**ნოდარ ქასრაძე**


ერიხ რიბეკი ყველას ერთი თვალით უყურებს

# უკეთესი მოტივაცია

გუშინ უეფამ ასეთი ინფორმაცია გაავრცელა:

„ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური მდგომარეობის გამო, რომელსაც, არაა გამორიცხული, ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვეს, ასევე უსაფრთხოების გარანტიების უქონლობის გამო, უეფამ გადაწყვიტა, იუგოსლავიურ კლუბებს და ქვეყნის ნაკრებ გუნდს ამ ორგანიზაციის ეგიდით გასამართი მატჩების მასპინძლობა დროებით აუკრძალოს. ევროთასებზე მოასპარეზე იუგოსლავიურ კლუბებს, აგრეთვე ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრებს, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობს, მოეთხოვებათ, შინ გასამართი მატჩები ნეიტრალურ ქვეყანაში გადაიტანონ".


„ცრვენა ზვეზდას" მწვრთნელი მილორად კოსანოვიჩი უეფას გადაწყვეტილებამ შეაფიქრიანა, თუმცა გუნდს მაინც გამარჯვებისკენ მოუწოდა

მაშ ასე, პოლიტიკა სპორტშიც გაერია. გნებავთ, პირიქით. იუგოსლავიის პრეზიდენტ სლობოდან მილოშევიჩის პოლიტიკური მოსაზრებანი კოსოვოსთან დაკავშირებით ნატოს არ მოეწონა. იუგებს საჰაერო თავდასხმითაც დაემუქრა, ყველაფერმა ამან კი უეფას უსაფრთხოებაზე აფიქრებინა და იუგოსლაველებს არცთუ სასურველი განაჩენი გამოუტანა. შეიძლება კოსოვოს კონფლიქტი ბელგრადს არაფრით ემუქრება, მაგრამ მაინც, აუტკივარ თავს არავინ აიტკიებს, უეფამაც გართულების თავიდან აცილების მიზნით უსაფრთხოებაზე ⋆ქედანვე იზრუნა.

რას ნიშნავს უეფას გადაწყვეტილება? ეს იმას ნიშნავს, რომ უეფას თასის პირველ შესარჩევ ეტაპზე ფოთის „კოლხეთი 1913"-ის გამანადგურებელი ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა" მეთექვსმეტედფინალის პირველ შეხვედრას ფრანგული „ლიონის" წინააღმდეგ 20 ოქტომბერს სხვა ქვეყანაში გაართავს. ასევე იუგოსლავიის ფარგლებს გარეთ მოუწევს რომის „ლაციოს" წინააღმდეგ თამაში თასების თასისთვის მებრძოლ, ასევე ბელგრადის „პარტიზანს", რომელმაც თავის მხრივ შესარჩევ ეტაპზე საქართველოს კიდევ ერთი გუნდი „ბათუმი" დაამარცხა. „პარტიზანს" მშობლიური სტადიონიდან სხვაგან გადაბარგება ნოემბრის ხუთში მოუწევს, საპასუხო მატჩისას.

სხვა საქმეა იუგოსლავიის ნაკრები. კოსოვოში შექმნილი მდგომარეობის და ქვეყნის ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის გამო ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ გააუქმა ამხანაგური მატჩი, რომელიც ნოემბერში „უემბლიზე" უნდა გამართულიყო. ამას უეფას სანქციაც მოჰყვა — ქვეყნის პირველი გუნდს, რომელსაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ირლანდიისთვის უნდა ემასპინძლა, კუნძულელი მეტოქის დახვედრა სხვაგან მოუწევს.

უეფასავე დადგენილებით, კლუ
სა და ნაკრების ხელმძღვანელებმა
როპული ფეხბურთის მმართველ ო
განიზაციას ორშაბათამდე უნდა აც
ბონ ის ადგილები, სადაც ითამაშე
— აკი ამბობდნენ, სპორტი და პ
ლიტიკა არაფერ შუაშიაო. უეფას
დაწყვეტილება
კარად არაობი
ტურია. ამით მ
ლოდ ერთი მხა
იუგოსლავია ზა
ლდება. ასეთი უ
სუხისმგებლობა
დაუშვებელია. მ
ხედავად ამის
„ცრვენა ზვეზ
თავისას ითამაშ
ჩვენი გუნდისთ
ამაზე უკეთესი მ
ტივაცია „ლიონ
ბრძოლის წინ ა
შეიძლებოდა ყო
ლიყო. „ცრვენა ზ
ზდა" ყველგან და
მტკიცებს, რომ ფ
ხბურთის თამა
ძალუძს! — ასე შ
აფასა ბულგარ
ლთა მწვრთნე
მილორად კოსა
ვიჩმა უეფას გა
წყვეტილება.
— ევროპამ უ
შეიგნოს, რომ ი
გოსლავია ბებე
კონტინენტის გა
ყოფელი ნაწილ
ძალიან სამწუ
როა უეფას გად
ყვეტილება. იგი
ქტობრივად ჩვ
გვწირავს, მაგრ
ყველაფრის მიუ
დავად, „პარტიზანი" პროფესიონალ
ხბურთელთა გუნდად რჩება და ბრძ
ლას არც სხვა ქვეყანაში ითაკილე
არა, უეფას ჩვენს მიმართ ასეთი უ
ნურება არ უნდა გამოეჩინა. ეს ძალ
სამწუხაროა — „პარტიზანის" ტექ
კური დირექტორი პრედრაგ მილოშ
ვიჩი ყველა იუგოსლაველის დარად ა
შფოთებული გახლდათ.
უეფას გადაწყვეტილება იუგოსლ
ველთათვის მოწმენდილ ცაზე მეხ
გავარდნას ჰგავდა. რამდენად მიზან
წონილია უეფას ნაბიჯი, ამას ჩვენ ვ
განვსჯით. თუმცა ამით იუგებს საგრ
ნობი ზარალი რომ მიადგათ, ფაქტი
ახლა მთავარი ის არის, სად ითამ
შებენ კლუბები და ნაკრები. კანდიდ
ტებად იუგოსლავიის ფეხბურთის ფ
დერაციამ უნგრეთი, იტალია, გერმან
და მაკედონია დაასახელა. ეს რაც შ
ეხება ნაკრებს. „ცრვენა ზვეზდას"
მაკედონიაში თამაში გადაუწყვეტია.
— უეფას სანქცია სასაცილოა. ვ
ყობა, იქ დაბრმავდნენ და კოსოვოს
ბელგრადს შორის მანძილი რამდენ
ვერ დაინახეს. ბელგრადს ის კონფლ
ქტი არაფრით ემუქრება. ქალაქში ხ
ლხი ჩვეულებრივად ცხოვრობს.
დროს კი ასეთი ავტორიტეტული ორ
განიზაცია ამგვარ სულელურ გადაწ
ვეტილებებს იღებს. მანახეთ თუნდ
ერთი სპორტსმენი, რომელსაც ბელ
რადში რაიმე პრობლემა შექმნია. მამ
ხმას აღარ ამოვიღებ. საქმეში ჩაუხ
დავი ხალხის ზედიპლომატიური გად
წყვეტილების მიუხედავად, „ცრვენა ზვ
ზდა" მერვედფინალში გასვლისთვის მ
ინც იბრძოლებს. ბევრს აინტერესებ
თუ სად ითამაშებს ჩვენი კლუბი. ოფ
ციალურად ჯერ არაფერი გადაგვიწყ
ვეტია. მხოლოდ რამდენიმე ქალაქს შ
ვეხმიანეთ. სავარაუდოდ კი ლიონელ
ალბათ მაკედონიაში, კერძოდ კი ქალ
სკოპიეში ვუმასპინძლებთ. მიუხედავ
იუგოსლავიიდან გამოყოფისა, მაკედ
ნიას მაინც ჩემს სამშობლოდ ვთვლ
იქ ხომ საერთოდ არ იგრძნობა ჩვენ
მიმართ მტრობა. „ლიონს" ალბათ, სწ
რედ იქ ვუმასპინძლებთ — „ცრვენა ზვ
ზდას" პრეზიდენტი ვლადიმირ ცვე
კოვიჩი ემოციებს ვერ ფარავდა.
ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, უ
ფას სანქციამ იუგოსლაველები ერთ
დაამწუხრა, თუმცა ისინი უეჭველად ბ
ლომდე იბრძოლებენ.

**ირაკლი ილაშვილ**

# ქირესმა სუფთა ჰაერი ჩაისუნთქა

## ჟორჟე კი პარიზში აღმოჩნდა

დასრულდა ალან ჟირერის ხანმოკლე ერა „პარი სენ ჟერმენში“. დასრულდა ყველასათვის მოულოდნელად, ვინაიდან ხალხი პარიზელთა სათავეში დიდი ფაბიო კაპელოს მისვლას ელოდა. მაგრამ ასე არ მოხდა. ამიერიდან ფრანგულ კლუბს პორტუგალიელი სპეციალისტი არტურ ჟორჟე გაწვრთნის.

საუბრები ჟირესის წასვლის შესახებ ამ ცოტა ხნის წინ დაიწყო, როდესაც პსჟ-ს უხეირო სტარტი არა და არ დასრულდა. ამას თასების თასის გათამაშების პირველ ეტაპზე განცდილი ფიასკოც დაემატა — ფრანგები მეთექვსმეტედფინალში უსახელო ჰაიფას „მაკაბისთან“ დამარცხდნენ. ჟირესის პარიზში დარჩენასაც აქ დაესვა წერტილი. კლუბის ხელმძღვანელობამ გაფაციცებით დაიწყო მისი შემცვლელის ძებნა. საბოლოოდ ორი კანდიდატი გამოჩნდა — „მილანისა“ და მადრიდის „რეალის“ ყოფილი თავკაცი, მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მწვრთნელად აღიარებული იტალიელი ფაბიო კაპელო და პსჟ-ს ყოფილი თავდამსხმელი, ამჟამად თურქული „ისტანბულსფორის“ დამრიგებელი საფეტ სუსიჩი.

ბუნებრივია, ამ ორი კანდიდატიდან უპირატესობა პირველს ენიჭებოდა. სხვა თუ არაფერი, მისი წარმატებების გახსენებაც საკმარისია. კაპელო ეწვია კიდეც საფრანგეთის დედაქალაქს და კლუბის უფროსობაც მოინახულა, რის შემდეგაც ისეთი თავდაჯერებული ტონით გაესაუბრა ჟურნალისტებს, კაცი იფიქრებდა, უკვე ხელი აქვს კონტრაქტზე მოწერილი, უბრალოდ, არ ამხელსო.

მიუხედავად იმისა, რომ კაპელოს ყველაზე მეტი მომხრე ჰყავდა და მისი თანამდებობაზე დანიშვნაც თითქოს გარდაუვალი ჩანდა, კლუბის რამდენიმე ფეხბურთელი, მათ შორის კაპიტანი მარკო სიმონე ჟირესს ამოუდგა მხარში. კაპელოს ყოფილი შეგირდის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინდელ „სარბიელში“ უკვე გაგაცანით. ჟირესის გადაყენების შემდეგ კი მან განაცხადა: „მეტად სამწუხაროა, რომ მოვლენები ამგვარად განვითარდა, მით უმეტეს, ჩემს თავს დამნაშავედ მას მერე ვგრძნობ, რაც „ლანსთან“ შეხვედრაში პენალტი გავაფუჭე და დავმარცხდით 0:1. მაშინ გოლი რომ გამეტანა და ქულა აგვეღო, შეიძლება დღეს პსჟ-ს მწვრთნელი კვლავ ალანი ყოფილიყო“.

აქვე პარიზელთა უკვე ექსთავკაცის მწუხარებით გაზავებულ სიტყვებსაც გაგაცნობთ: „დღესაც ვფიქრობ, რომ ჩემი ტაქტიკური სქემები და მეთოდები კლუბისთვის საუკეთესო იყო. თუმცა ახლა ამაზე საუბარი გვიანაა. მომხდარის შემდეგ პსჟ-ს თითქმის ყველა ფეხბურთელი მოვიდა ჩემთან, მითანაგრძნო და თბილი სიტყვებიც არ დაიშურა. ეს სუფთა, ჯანსაღი ჰაერის ჩასუნთქვას ჰგავდა“.

ასეა თუ ისე, ჟირესი უმუშევარი დარჩა. მის საქმეს ამიერიდან არტურ ჟორჟე გააგრძელებს, კაცი, რომლისთვისაც პარიზულ კლუბში მოღვაწეობა უცხო ხილი ნამდვილად არ არის — იგი პსჟ-ს ადრეც, 1991-დან 1994 წლამდე წვრთნიდა. ამ პერიოდში მან გარკვეულ წარმატებებს კი მიაღწია (ქვეყნის ჩემპიონიც გახდა), მაგრამ გულშემატკივართა გულისწყრომა დაიმსახურა — დაცვით ფეხბურთს ანიჭებდა უპირატესობას. ალბათ, ამიტომაც, ოთხი წლის წინ ჟორჟე გამოეთხოვა დედაქალაქს, სადაც ადრეც, 80-იან წლებშიც მოღვაწეობდა „მატრა რასინგში“. მოკლედ, პორტუგალიელისა და „პარი სენ ჟერმენის“ გზები გაიყარა.

ამის შემდეგ პარიზელებს სამი სხვადასხვა პიროვნება ედგათ სათავეში — ლუის ფერნანდესი, ბრაზილიელი რიკარდო და ალან ჟირესი. ჟორჟემ კი თავიდან მშობლიურ „პორტუს“ მიაშურა. მცირე ხნის შემდეგ სანაკრებო მუშაობას შეუდგა — შვეიცარიის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი გახდა და 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც გაიყვანა. ამას მოჰყვა პორტუგალიის ნაკრები, თუმცა იქ ჟორჟემ წარმატებას ვერ მიაღწია, დატოვა ის პოსტი, ხანმოკლე პერიოდი ესპანურ „ტენერიფეს“ ედგა სათავეში და საბოლოოდ თავი ჰოლანდიაში, არნჰემის „ვიტესში“ ამოჰყო. აქ მისი მუშაობა სახარბიელოდ შეიძლება ჩაითვალოს — მიმდინარე სეზონში კლუბი „ფეიენოორდის“ მთავარ კონკურენტად ითვლება. შემდეგ კი...

— პსჟ-ს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ არადამაკმაყოფილებელი შედეგებისთვის თანამდებობიდან გაათავისუფლოს ალან ჟირესი. ორშაბათიდან მას ჰოლანდიური „ვიტესის“ პორტუგალიელი თავკაცი არტურ ჟორჟე გაწვრთნის — ეს სიტყვები „პარი სენ ჟერმენის“ პრეზიდენტმა შარლ ბიეტრიმ გუშინწინ, საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე წარმოთქვა.

მაშ ასე, ჟირესი ჟორჟემ შეცვალა. უშველის თუ არა ეს კრიზისში მყოფ პარიზელებს, ძნელი სათქმელია. ისე, პორტუგალიელი საფეხბურთო წრეებში თავისი ინტელექტით არის ცნობილი, მას სამეცნიერო წოდებაც კი აქვს, რაც ტაქტიკური მონახაზებისა და სქემების ცოდნაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია.



არტურ ჟორჟე

**დავით ძოვზირიძე**

# ნაცარში ჩავარდნილი კოვზი

„მალიორკამ“ შინ ფრედ 1:1 ითამაშა შოტლანდიურ „ჰართსთან“ და შემდეგ ეტაპზე გავიდა. წინ თასების თასის გათამაშების მერვედფინალია...

ეს ახლა აქვთ განაღდებული ესპანელებს შემდეგ ეტაპზე თამაში, თორემ რამდენიმე დღის წინ, არ იყო გამორიცხული, უეფას ისინი დაესაჯა — შოტლანდიელებმა ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას აცნობეს, მალიორკაში რომ ვითამაშეთ, კარების ძელები სათანადოზე დაბალი იყოო.

— შეხვედრის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ესპანური სტადიონის კარის ძელები დაბალი მოგვეჩვენა. უმალ მატჩის კომისარს ვაცნობეთ, მაგრამ მან თავდაპირველად განცხადება მოითხოვა, კარის ძელების დათვალიერებისთვის კი მხოლოდ თამაშის შემდეგ მოიცალა. გვერწმუნეთ, როცა ძელები შევამოწმეთ, აღმოჩნდა, რომ ისინი მართლაც სათანადოზე დაბალი იყო. ახლა, როცა უეფას საგანგებო სხდომაზე ჩვენი საჩივარი განიხილეს, სრულიად უსამართლოდ მოგვექცნენ, მეტიც, ერთ-ერთმა ჩინოსანმა ისიც გვითხრა, ეგებ თქვენი ნათქვამი სიმართლესაც შეეფერებოდეს, მაგრამ თამაშემდე ამის თაობაზე ოფიციალურად უნდა განგეცხადებინათ, კომისარისთვის განცხადება წერილობით უნდა გადაგეცათო. გეკითხებით, განა შეიძლება ორი წუთით ადრე ადამიანმა განცხადების დაწერა და მისთვის ოფიციალური სახის მიცემა მოასწროს? — დასჯილი ედინბურგული კლუბის წარმომადგენელი დუგლას დალგლიში უეფას საგანგებო სხდომის საბოლოო დადგენილებით აღშფოთებული გახლდათ.

მალიორკული თამაშის შედეგი — ფრე 1:1 ძალაში დარჩა. უეფამ შოტლანდიელთა საჩივარი არ დააკმაყოფილა, მეტიც, მას უსაფუძვლო უწოდა და შესაბამისად „ჰართსიც“ თასების თასის გათამაშების მიღმა დატოვა. პირველი შეხვედრა ედინბურგში მალიორკელებმა მოიგეს 1:0, შინ მიღწეული საყაიმო ანგარიშის წყალობით კი ესპანეთის თასის ფინალში ძლეული და ამავდროულად ქვეყნის სუპერთასის მომგები „მალიორკა“ ორი მატჩის ჯამში გამარჯვებული დარჩა — 2:1.

უეფას გადაწყვეტილებას შოტლანდიური მასმედია ძალიან კრიტიკულად გამოეხმაურა. მას არაობიექტური და მცდარი უწოდა, რამდენიმე ჩინოსანი კი საკმაოდ უკმეხადაც მოიხსენია.

„ლუის სიტიხარის“ (მალიორკას სარბიელია) სტადიონის ძელები ეგებ პატარაც იყო, მაგრამ ამჯერად შოტლანდიელების ცდამ შედეგი არ გამოიღო. შეგახსენებთ, რომ ამდაგვარი პრეცედენტი გასულ სეზონშიც მოხდა უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში მოსკოვის „სპარტაკსა“ და შვეიცარიულ „სიონს“ შორის. მაშინ შვეიცარიელები ძელების სიმაღლემ დააეჭვა და უეფას ოფიციალური განცხადებითაც მიმართეს. ის შეხვედრა, „სპარტაკმა“ 2:1 რომ მოიგო, გადათამაშდა. რუსებმა 5:1 იმარჯვეს. ახლა კი...



დუგლას დალგლიში გაბრაზებულია

## ფეხბურთის რუკასთან



**რუმინეთის** შინაგან საქმეთა მინისტრმა გავრილ დეჯეუმ ბრძანება გასცა ბუქარესტის „დინამოს“ პრეზიდენტის პეტრე ბუდურუს საქმიანობის გამოსაძიებლად. ამბობენ, რომ ბუდურუ ქვეყანაში თამბაქოს კონტრაბანდის გზით შემომტანებთან იყო დაკავშირებული. საინტერესოა, რომ „დინამოს“ პრეზიდენტად დანიშვნამდე, რაც 1995 წელს მოხდა, ბუდურუ პოლიციის პოლკოვნიკი გახლდათ. ეჭვის თანახმად, სიგარეტის დიდ პარტიებს, რომელიც ბუქარესტის „ოტოპენის“ აეროპორტში ჩადიოდა, საბაჟოზე ბუდურუ ატარებდა „შეუმჩნევლად“. ცხადია, ნაპოლკოვნიკარი ბრალდებებს უარყოფს და ამბობს, რომ ეს კამპანია „დინამოსა“ და ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს დისკრედიტაციისთვისაა მოგონილი. რუმინულ სიგარეტსკანდალში უშიშროებისა და არმიის ჩინოსნებიც არიან გარეული.

**ფრანგი ჟანდარმი, 43 წლის დანიელ ნიველი, რომელსაც ივნისის მიწურულს, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში გერმანელმა ხულიგნებმა ცემით ლამის სული ამოხადეს, ოთხთვიანი მკურნალობის შემდეგ შინ დაბრუნდა. ნიველის ცემასთან დაკავშირებით ექვსი კაცია დაპატიმრებული.**

**ჰოლანდიის** ჩემპიონატის ლიდერი, როტერდამის „ფეიენოორდი“ დეკემბრის შუა რიცხვებამდე თავდამსხმელის, ჰენკ ვოსის გარეშე განაგრძობს ტიტულისთვის ბრძოლას. ვოსმა 30 აგვისტოს ტრავმა მიიღო და ეგონა თავს თერაპიით გაიტანდა, მაგრამ ქირურგიულ მაგიდას ვერ აცდა.

**ესპანეთის გუნდი „დეპორტივო ლა კორუნია“ დროებით ცნობილი მოთამაშის, მსოფლიოს ჩემპიონატზე თავგამოჩენილი მუსტაფა ჰაჯის გარეშე დარჩა. ჰაჯიმ ცხვირი გაიტეხა და საოპერაციო გახდა. მაროკოელი გამთამაშებელი ერთ თვეს მოუნდება გამოჯანმრთელებას. ჰაჯის ტრავმა ესპანეთის პირველობის შეხვედრაში არ მიუღია, იგი მაროკოსა და სიერა ლეონეს ეროვნული გუნდების თამაშის დროს დაშავდა. აღსანიშნავია, რომ „დეპორტივოში“ კონტრაქტის თანახმად ჰაჯი ზაფხულამდე უნდა დარჩეს.**

**ჰოლანდიელი** ფეხბურთელი ედვინ გორტერი ამერიკულ „მეიჯორ ლიგ სოკერში“, კერძოდ კი „ნიუ ინგლანდ რევოლუშენში“ თამაშობს, მაგრამ სახელი გაიტეხა. მან, ვარჯიშის დროს რასისტული შეურაცხყოფა მიაყენა თანაგუნდელს დევიდ ნაკიდს. ეს ამბავი ხუთშაბათს მოხდა, როდესაც ტრინიდადელმა ორი ნაკიდმა გორტერს ჰკითხა, ტელეფონით რომ ილაპარაკე რა გაიგე, ჩვენს თამაშს რომელი მსაჯი გაუძღვებაო. ამაზე ჰოლანდიელმა ორი ფეხბურთელის თანდასწრებით ისეთი პასუხი გასცა, რომ საქმე მუშტამდე მივიდა და რომ არა ის ორი, წაკიდებულები ერთმანეთს ცხვირ-პირს დაანგრევდნენ. ასეთი საქციელისთვის „მეიჯორ ლიგ სოკერის“ ხელმძღვანელობამ ედვინ გორტერს 20 ათასი დოლარის გადახდა და საჯარო ბოდიშის მოხდა დააკისრა. საჯარო ბოდიში საგანგებოდ მოითხოვა გალანძღულმა ტრინიდადელმა, რომელმაც თქვა, პირადი ბოდიში არ მჭირდებაო. 20 ათასი დოლარი, რომელსაც ჰოლანდიელი გადაიხდის, მლს-ს 12 გუნდის სემინარებს მოხმარდება.

**გერმანიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, იურგენ კლინსმანი მოარულ ხმათა თანახმად, არაა გამორიცხული, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაბარგდეს და იქაურ „მეიჯორ ლიგ სოკერში“ დაიწყოს თამაში. ამ საკითხზე ფორვარდს ჟურნალი „კიკერი“ ესაუბრა. კლინსმანი ამბობს: ერთ მშვენიერ დღეს მართლა ჩავალ ამერიკაში და იქაურ ფეხბურთის ფედერაციას მოველაპარაკები 1999 წლიდან მათ ლიგაში თამაშის შესახებ“. კლინსმანი 34 წლისაა.**

**ჩრდილოირლანდიელმა** გარემარბმა კით გილესპიმ თქვა, „ნიუკასლ იუნაიტედის“ ახალი მწვრთნელი რუუდ გულიტი ძირითად შემადგენლობაში აღარ მათამაშებს და თუ ასე გაგრძელდა, გუნდიდან წავალო. აქვს კიდეც გილესპის წასასვლელი ადგილი და ამიტომაა დიდ გულზე. ბოლო ხანს მას რამდენიმეჯერ დაუკავშირდა ყოფილი გუნდი „მანჩესტერ იუნაიტედი“. მანჩესტერელებმა მას დაბრუნება სთხოვეს. ახლა, გილესპის შეუძლია ბოსმანის რევოლუციური წესის თანახმად ისე მიატოვოს ნიუკასლი, რომ ჯორდებმა მისი გამოსყიდვის კაპიკიც ვერ მიიღონ. „დიახ, ჩემი კონტრაქტი წლის ბოლოს იწურება, ასე რომ, არაა გამორიცხული, სხვა გუნდი მოვნახო. შეიძლება უცხოეთშიც გადავიდე, მაგრამ პრემიერლიგა მსოფლიოში საუკეთესოა და ამიტომ აქ დარჩენა მირჩევნია“ — უთხრა ჟურნალისტებს 23 წლის მოთამაშემ. გილესპი „ნიუკასლში“ 1995 წელს მოხვდა, როდესაც ჯორდთა კლუბმა „მანჩესტერ იუნაიტედისგან“ 7 მილიონ გირვანქად იყიდა ენდი კოული და ზედ ერთ მილიონად ღირებული გილესპიც დააწონა. სხვათა შორის, ჩრდილოირლანდიელს ჯერ მუხლი ბოლომდე არ მოუშუშებია.

**ბრაზილიელი რატინიო „კაიზერსლაუტერნს“ სამი კვირის განმავლობაში ვეღარ დაეხმარება, რადგან მარცხენა მუხლზე მყესები დაუშავდა. რატინიო 22 წლის გახლავთ. თავდაპირველად მან 22 სექტემბერს, „ბოხუმთან“ სათასო შეხვედრის დროს იტკინა ფეხი, მერე კი მდგომარეობა გაურთულდა.**

**იაპონიის** ქალაქებს შორის დიდი ბრძოლა იყო გამართული. დედაქალაქი ტოკიო და დიდი ქალაქი ჰიროსიმა ერთმანეთს 1999 წლის დეკემბერში დანიშნულ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის კენჭისყრის მასპინძლობას ეცილებოდნენ. საორგანიზაციო კომიტეტის იაპონურმა ნაწილმა (ჩემპიონატს ხომ იაპონიასთან ერთად კორეაც მასპინძლობს) საბოლოოდ უპირატესობა ტოკიოს მიანიჭა, რადგან მას აეროპორტი უფრო ახლოს აქვს. რაც შეეხება მეორე კენჭისყრას, რომელიც 2001 წლის დეკემბერში შესარჩევ ტურნირებში გამარჯვებულ 32 გუნდს ჯგუფებში გაანაწილებს, ის კორეაშია დაგეგმილი. საორგანიზაციო კომიტეტის მთავარმა მდივანმა ჰიროში უშიჯიმამ თქვა: „ჰიროსიმაში რომ მოგვეწყო კენჭისყრა, ძალიან ძვირი დაგვიჯდებოდა. წარმოიდგინეთ, ჩვენთან დაახლოებით 2 ათასი კაცი ჩამოვა მსოფლიოს ყველა კუთხიდან, მათი საერთაშორისო აეროპორტიდან შორს გადაყვანა კი ფულთან არის დაკავშირებული“.

**ინგლისის ნაკრების ნახევარმცველმა დევიდ ბეტიმ აღიარა, რომ შეცდა, როდესაც მსაჯს, დევიდ ილერის ხელი ჰკრა. მან ისიც აღიარა, რომ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია ასეთი დანაშაულისთვის ძალიან მსუბუქი სასჯელია და თვლის, რომ იოლად გამოვიდა.**

**ესპანური** „ატლეტიკოს“ ფეხბურთელი კარლოს აგილერა სამი კვირით ჩამოცილდა მოედანს. მან საკონტროლო შეხვედრაში ძალიან დაიჭიმა კუნთი. იმ დღეს მადრიდელები მეოთხე დივიზიონის „ამოროსს“ ეთამაშებოდნენ.


### ისწავლეთ ინგლისური ინგლისში!

რუსთაველის №17. ტ: 98 37 10

① ნებისმიერი დონის სწავლება დაწყებული ელემენტარულიდან დამთავრებული პროფესიონალურით

② ცხოვრება ინგლისურ ოჯახებში ან სტუდენტურ სასტუმროებში

③ მრავალფეროვანი კულტურული პროგრამა

④ მისაღები ფასები

დღეს გთავაზობთ „ოქროს ბურთის“ სამგზის მფლობელის, იოჰან კრუიფის წერილთა სერიის მესამე ნაწილს, რომელიც ფრანგული სპორტული გაზეთის, „ეკიპის“ ყოველკვირეულ დამატებაში 11 ივლისს ანუ მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალის წინა დღეს დაიბეჭდა

# მეფე მოკვდა, ვაითუ სამუდამოდ

დიდი ხანი არაა, რაც ერთ-ერთ არგენტინულ გაზეთში „CLARIN“ წავიკითხე სტატია, სადაც ლაპარაკი იყო იმ ფეხბურთელებზე, ვინც ყველაზე დიდი კვალი დატოვა ფეხბურთის ისტორიაში სტატიის ავტორის აზრით, ეპოქათა სხვაობის გამო შეუძლებელია სხვადასხვა დროს მოთამაშე ფეხბურთელთა შედარება, ამიტომაც ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი არ არსებობს. თუმცა ყოველ ათწლეულში შეიძლება ასეთი მოიძებნოს. არგენტინელი ჟურნალისტი წერდა, რომ 50-იანი წლები ალფრედო დი სტეფანოსი იყო, 60-იანები — პელესი, 70-იანები — კრუიფის, 80-იანები კი მარადონასი. მიუხედავად იმისა დავთანხმდებით თუ არა ამ დაყოფას, ერთი რამ, ნათელია 90-იან წლებს მეფე არ ეყოლება. ვერავინ შეძლებს ტახტის დაკავებას. დღეს ფეხბურთი მარტო სპორტი აღარაა, ის კომერციად გადაიქცა, ამ ცვლილებამ კი ის მოიტანა, რომ თამაშმა ბუნებრიობა დაკარგა. ბავშვები პატარაობიდანვე ისეთ სისტემაში ხვდებიან, სადაც საკუთარი ტალანტის გამოვლენის და განვითარების თითქმის არანაირი შანსი არაა.

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა იმ სიაში არგენტინულმა გაზეთმა რომ შემოგვთავაზა, რატომ სჭარბობენ სამხრეთამერიკელები?

ჩემი აზრით, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მეტად იოლია. ბებერ კონტინენტზე დიდი გენიოსები რომ არ იზრდებიან კომფორტული ცხოვრების ბრალია. მაგალითისთვის მიქაელ ლაუდრუპი ავიღოთ. ის რომ ბრაზილიის ან არგენტინის რომელიმე ქალაქის ღარიბ გარეუბანში დაბადებულიყო, სადაც ცხოვრებაში წინსვლის ერთადერთი გზა ფეხბურთია, დარწმუნებული ვარ, თავისი უჩვეულო ტექნიკით, და თამაშის წარმართვის უნარით, ის მსოფლიოში საუკეთესო იქნებოდა.

რა დააკლდა დანიელს? სულ უბრალო რამ, იქ სადაც მიქაელ ლაუდრუპი გაიზარდა, „გადარჩენის“ ინსტიქტის გამომუშავება არ იყო აუცილებელი. ამიტომაც ლაუდრუპი დარჩა მხოლოდ და მხოლოდ დიდ ფეხბურთელად და მსოფლიოს პირველი ნომერი კი ვერ გახდა.

ფეხბურთს აქვს რაღაც, რაც ქუჩაში უნდა ისწავლო, რაც ქუჩაში უნდა გაიმეორო და ქუჩაშივე დახვეწო. ევროპაში კი ქუჩაში აღარავინ თამაშობს, ბავშვები ექვსი-შვიდი წლის ასაკიდან უკვე საფეხბურთო სკოლებში დადიან. იქ კი მათ იმპროვიზაციის უნარს უკლავენ. ყოველდღე ჩასჩიჩინებენ, რომ საჭიროა გუნდური თამაში და შედეგად ყველა პატარა ერთმანეთს ემსგავსება. ხოლო თუ რომელიმე მათგანი არაორდინალურად ათამაშდება, მაშინვე დაიწყება ლაპარაკი „ვიღაც ატიპიურ ფეხბურთელზე“, არადა ეს მართალი არაა. მაგალითად, უკანასკნელი წლების განმავლობაში ესპანეთში ბევრს საუბრობენ რაულისა და დელ ლა პენიას გენიალურობაზე. სინამდვილეში კი საერთო დონეა მეტად დაბალი და ეს ფეხბურთელები იმიტომ ჩანან ძალიან ძლიერებად.

იგივეს თქმა შეიძლება დელ პიეროზე, სალასზე და ოუენზეც. ისინი საკმაოდ კარგი მოთამაშეები არიან, თუმცა პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელები ვერასოდეს გახდებიან. მე თუ მკითხავთ, ამ ათწლეულში მეფე არავინ ყოფილა. ერთადერთ კაცს შეეძლო გვირგვინი დაედგა — რომარიოს. ის ნაღდად ექსტრაორდინალურია, ნამდვილი ნომერი პირველი, მაგრამ ამ როლის შესრულება სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ მოახერხა. უპირველესად იმიტომ, რომ ძალიან დიდი ხანი გამოდიოდა ჰოლანდიის ჩემპიონატში. შემდეგ, იმიტომ, რომ ძალიან უყვარს ცხოვრებისგან სიამოვნების მიღება. როცა „ბარსელონაში“ გადმოვიყვანე, ერთ სეზონში შეძლო იმაზე



იოჰან კრუიფი

მეტის მიღწევა, რაც მთელი თავისი კარიერის მანძილზე. ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, მასთან ერთად მოვიგეთ ესპანეთის ჩემპიონატი, ვითამაშეთ ჩემპიონთა ლიგის ფინალში. შემდეგ იყო ამერიკის მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც ის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს და თან მსოფლიო ჩემპიონად აქცია ბრაზილია. დიახ, ეს სწორედ რომარიოს დამსახურებაა, ვინაიდან მის გარეშე ოქროს ნაღდად სხვა ნაკრები დაეპატრონებოდა. რომარიო მკვეთრად განსხვავდებოდა სხვათაგან, მაგრამ მან მხოლოდ ერთი წელი ითამაშა ევროპული გრანდის შემადგენლობაში და ამასთანვე, რაც ყველაზე მთავარია, მას არასოდეს უცდია მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელობა.

ფეხბურთის ისტორიაში ბევრია ისეთი, ვისაც მე ნამდვილად საუკეთესოდ ვთვლი. ფრანც ბეკენბაუერი იმდენად განსაკუთრებული იყო, სიახლეც კი დანერგა — ლიბერომ არა მარტო თავისი გუნდის დაცვით სისტემას უნდა უხელმძღვანელოს, არამედ შეტევათა საწყის ფაზაშიც უნდა დაიდოს წვლილი. ბეკენბაუერმა „ბაიერნთან“ ერთად სამჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი, გერმანიის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა და „ოქროს ბურთიც“ მოიპოვა. თუმცა ფეხბურთის ისტორიაში, რომელსაც ვინ წერს ვერ გეტყვით, მას მხოლოდ და მხოლოდ უდიდეს ფეხბურთელთა ჯგუფში მიუჩინეს ადგილი და არა მეფეთა შორის. იგივე შეიძლება ვთქვათ მიშელ პლატინიზეც, რომელიც ყველაფერი იყო ფეხბურთში და უეჭველად მთელი ეპოქაც შექმნა. რა მოხდა? მოხდა ის, რომ პლატინის დროს მარადონაც თამაშობდა, ერთი ტახტი კი ორ მეფეს ვერასოდეს დაიტევს. პლატინის უდავოდ ეკუთვნის ადგილი უძლიერესთა შორის, ისევე როგორც მარკო ვან ბასტენს. მარკოს სულ რამოდენიმე სეზონი დააკლდა, თორემ შეიძლება მეფეთა შორისაც მოხვედრილიყო. თან ტრავმებმაც გასტანჯეს...

რაც უფრო ჩავუღრმავდებით ისტორიას, მით უფრო მეტ დიდ ფეხბურთელს აღმოვაჩენთ წარსულში. მაგალითად, დღეს ოვერმარსს მსოფლიოში ერთ-ერთ, თუ არა ერთადერთ, საუკეთესო გარემარბად თვლიან. მაგრამ რა ადგილს დაიკავებდა ის გარინჩას, ხენტოს, ბესტის, რიველინოს და ჟაირზინიოს ფონზე? ამჟამად ფეხბურთის ხარისხი იმდენად დაეცა, რომ როცა რომელიმე ფეხბურთელი სხვებზე ცოტათი უფრო მეტს გააკეთებს, მაშინვე გვგონია, რომ ის განსაკუთრებულად ნიჭიერია, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ჩვენ დღეს საბრალო ფეხბურთის ერაში ვიმყოფებით, კონცეფციების, იდეების, გენიოსების სიმწირეს განვიცდით. ველით როდის დაამთავრებს რონალდო თავის ევოლუციას, რათა გავიგოთ, შევძლებთ თუ არა მის 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულის მეფედ კურთხევას. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ იგი ბევრ საფეხბურთო კომპონენტში საკმაოდ ძლიერია, მე მაინც ვთვლი, რომ მას ბევრი უკლია დი სტეფანოს, პელეს, მარადონას და პლატინის დონემდე. რონალდოს თამაში ძირითადად დაფუძნებულია ფიზიკურ სიძლიერეზე და თუ იგი ტექნიკურად კიდევ საკმაოდ არ გაიზრდება, რაც მეტად ძნელია, უძლიერესთა შორის ადგილის დამკვიდრება მისთვის ძალიან გართულდება.

ცოტა მეტადაც თუ დავუკვირდებით, ვნახავთ რომ ფენომენალურ მოთამაშეებსა და უძლიერეს ფეხბურთელებს შორის დიდი განსხვავებაა. ფენომენალურს იმის გაკეთება შეუძლია, რასაც უმეტესობა ვერ გააკეთებს. მას აქვს სისწრაფე, დარტყმა, თამაშის ხედვა, თავით თამაშის უნარი, დრიბლინგი, მაგრამ ყველაფერი ეს მაინც არაა საკმარისი. ფენომენალური ფეხბურთელი რომ იყო, ყველა ეს თვისება უნდა გქონდეს და თან საკუთარი გუნდის გამარჯვებებში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულო, ლიდერი უნდა იყო მინდორზეც და მის გარეთაც. როცა ბურთს მიიღებ, ყველა ლუნდა ელოდოს რაიმე განსაკუთრებულს, ისეთს, რისი გაკეთებაც, სხვებს უბრალოდ აზრადაც არ მოუვათ. გარდა ამისა უბურთოდაც უნდა ითამაშო, მოკლედ მოედანზე დიდი სტრატეგოსი უნდა იყო.

მსოფლიო ჩემპიონატზე ბევრი მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავად მიჩნეული მოთამაშე ვნახეთ. მოთამაშეები, რომლებშიც მილიონებს იხდიან და რომლებიც მილიონებს ითხოვენ. ეს ფული კი ისინი ნაღდად არ ღირან, ეს რაღაც კოლექტიური სიგიჟის მაგვარია. სინამდვილეში დღეს „გვალვის“ პერიოდია, როცა დიდძალი ფული ტრიალებს ფეხბურთში, მაგრამ ტალანტები არ ჩანან. როცა ზუსტ ღირებულებაზე ათჯერ მეტი უჯდება გუნდს თავისი ფეხბურთელები. აღარ ვიცით სად შეიძლება გენიოსი დაიბადოს, ბრაზილიაში, არგენტინაში თუ სამხრეთ ამერიკის რომელიმე სხვა სახელმწიფოში, თუმცა სადაც არ უნდა დაიბადოს, საბოლოოდ მისი ტალანტი ევროპის რომელიმე დიდ ლიგაში მაინც გაისრისება, სადაც დაცვითი სისტემების ტრიუმფია. დღევანდელი ევროპა ყველას ერთნაირს შობს, აფრიკა და აზია კი ისე უკან არიან, რომ ამ დროისთვის მათი სათვალავში მიღება არ შეიძლება. 90-იანი წლები მეფის გარეშე დარჩნენ. მაგრამ ვაი, თუ არასდროს ეყოლოს ფეხბურთს მეფე?

თარგმნა
გაგი გურულმა

გაგრძელება მომდევნო შაბათის „სარბიელში“

# სუპერმარიოს იმედგაცრუება

*მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველი მარიო ბასლერი ერთ-ერთი იმათგანია, ვისზეც გერმანიის ეროვნული ნაკრების ახალი მწვრთნელი ერიხ რიბეკი დიდ იმედებს ამყარებს. დღეს გერმანელები ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სტამბულში თურქებს ხვდებიან. ამ თამაშისთვის რიბეკმა ბასლერსაც უხმო, მაგრამ 29 წლის ფეხბურთელი ბოლო მომენტში გამოაკლდა ეროვნულ გუნდს. მიზეზი კი ტრავმაა, რომელიც ერთი წელია, მუდამ თან სდევს „სუპერმარიოს“. სწორედ ტრავმის გამო გამოტოვა ბასლერმა საფრანგეთში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი. მართალია, იგი იმდროისათვის უკვე გამოჯანმრთელებული გახლდათ, მაგრამ ფოგთსმა სამსოფლიოსჩემპიონატო განაცხადში მაინც არ შეიყვანა. ფეხბურთელს იმედები გაუცრუვდა. რას ფიქრობს ამის შესახებ თავად ბასლერი, ამას იმ ინტერვიუდან შევიტყობთ, რომელიც მას პოპულარულმა გერმანელმა ჟურნალმა „შპორტ-ბილდმა“ ჩამოართვა.*

**— ისე გამოიყურებით, გატყობთ, ფოგთსის ნაკრებიდან წასვლით უკმაყოფილო არ უნდა იყოთ...**

— რა ვიცი, როგორ გითხრათ, ბერტიმ იმ დროს მკრა ხელი, როცა ამას ყველაზე ნაკლებად ველოდი. მერე კი, როდესაც ნაკრებში ძირეული ცვლილებების გაკეთება მოსთხოვეს, მალტაზე კვლავ მიხმო. მართალია, გამგზავრების წინ გულახდილად ვისაუბრეთ, მაგრამ მისგან ასეთ მოქცევას არ ველოდი.

**— თუ საიდუმლო არ არის, რაზე ესაუბრეთ ბერტის?**

— მე მას პირდაპირ ვუთხარი, რომ სათადარიგოთა სკამზე არ დავჯდებოდი. ახლა ისეთ ასაკში ვარ, აღარ მინდა, ჩემს ამპლუაში მესამე და მეოთხე კაცის როლი შევასრულო. არ მინდა, ეს ანდრეას მიოლერმა ცუდად გამიგოს. ანდი ბოლო შეხვედრებში ძირითად შემადგენლობაში ველარ მოხვდა. მან ბოძებული შანსი ვერ გამოიყენა. მე კი ასეთი შესაძლებლობა დიდი ხანია, არ მომცემია. იმას, რაც ფოგთსს ვუთხარი, რიბეკსაც აუცილებლად ვეტყვი. სათადარიგოობას ნამდვილად ვერ შევეგუები.

**— როგორც ჩანს, სამსოფლიოსჩემპიონატო განაცხადში ვერმოხვედრამ ძლიერ დაგამწუხრათ.**

— როდესაც განაცხადში ვერ მოვხვდი, წარმოუდგენელი გრძნობა დამეუფლა. ასეთი იმედგაცრუება არასდროს განმიცდია. ერთი კვირა ხმის ამოღება არ მინდოდა, ტელეფონიც კი გამოვრთე.

**— თუ აგიხსნა ფოგთსმა მიზეზი?**

— დიახ, განაცხადის გამოქვეყნებისთანავე თავად დამირეკა, ჩემი ფორმაში არყოფნა მოიმიზეზა. მართალია, გარკვეული დროის განმავლობაში ტრავმა მაწუხებდა, მაგრამ ბუნდესლიგის ჩემპიონატის ბოლო ოთხი-ხუთი მატჩი ვითამაშე და ფორმაც აღვიდგინე. ამიტომ ეს მიზეზი ცოტა აბსურდულად მეჩვენება, მით უმეტეს, ჩემზე უარეს მდგომარეობაში სხვა ფეხბურთელები იყვნენ. მაგალითად, შტეფან ფროინდი რვა-ცხრა თვე ტრავმირებული გახლდათ. კუნთი აწუხებდა შტეფან როიტერსაც, ნახევარი წელი გაუცდა კრისტიან ციგესაც. სამივემ, ჩემს მსგავსად, ბოლო მატჩებში მიიღო მონაწილეობა, თუმცა ამას ფოგთსისთვის ხელი არ შეუშლია, ისინი საფრანგეთში წაეყვანა.

**— ბერტი ფოგთსი ჟურნალისტებს გამოგვიტყდა, რომ დიდი შეცდომა დაუშვა, როცა მსოფლიოს ჩემპიონატზე არ მიგიწვიათ.**

— იგი ახლა ვეღარაფერს შეცვლის. ისე, ეგ ჩემთანაც აღიარა. გახურებული ჩემპიონატის დროს დამირეკა და მითხრა, ჩემს თავზე ძალიან ვბრაზობ საფრანგეთში რომ არ გიახლეო, მაგრამ უკვე გვიან იყო.

**— როგორც ჩვენთვის ცნობილია, ფოგთსმა „ბაიერნის“ ხელმძღვანელობა დაადანაშაულა იმაში, რომ ფორმაში არ იყავით...**

— მათი დადანაშაულება არ შეიძლება. თხუთმეტი დღე ფეხი თაბაშირში მქონდა, შემდეგ სამი კვირა უქმად ვიყავი, ამის შემდეგღა დამრთეს ექიმებმა თხუთმეტი წუთი სირბილის ნება. მეც ექიმების რჩევებს დავუჯერე. არც ვნანობ. მაგალითად, მეჰმეთ შოლმა იჩქარა, ტრავმა მოშუშებული არ ჰქონდა და თამაში დაიწყო, რათა მსოფლიოს ჩემპიონატზე წასულიყო, შედეგს კი ახლა იმკის. მინიმუმ ორი თვე მოედანზე ვერ გავა.

**— „ბაიერნში“ ჰიტცფელდი თომას შტრუნცთან ერთად მარჯვენა ფრთას გაბარებთ. ნაკრებში რა ფუნქცია დაგევალათ მალტაზე?**

— ნაკრებშიც იგივე მევალებოდა, რაც „ბაიერნში“. თუმცა შეტევებზე უფრო მეტად უნდა მეფიქრა, რადგან ჰაინრიხი და რემერი მაზღვევდნენ.

**— სადაცაა 30 წელს მიუკაკუნებთ.**

— მართალია, ახლა ისეთ ასაკში ვარ, როცა ფეხბურთელი კარიერის პიკს აღწევს. მეც ვცდილობ, მატჩებს საუკეთესო ფორმაში შევხვდე. ჩემს ასაკში მყოფი კაცი სათადარიგოთა სკამზე ჯდომას ვერ შეეგუება, გინდა კლუბი იყოს ეს და გინდა ნაკრები. გარდა ამისა, ფულზეც ვფიქრობ. ერთი-ორი კაპიკის გულისთვის აღარავინ თამაშობს, მით უმეტეს, ჩემი დონის და ჩემი ასაკის ფეხბურთელები.

**— მას შემდეგ, რაც ფინანსურად მოღონიერდით, ძლიერ შეიცვალა თქვენი ცხოვრება?**

— არა. მე ისევ იმ პიცას მივირთმევ და იმ თეთრ ლუდს ვსვამ, რასაც ადრე. ფული, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად ცვლის ადამიანის ცხოვრების ნირს, მაგრამ ყველაფერი მაინც თავად პიროვნებაზეა დამოკიდებული.

**— რა არის თქვენი ყველაზე დიდი სურვილი?**

— ჩემი ყველაზე დიდი სურვილი და შეიძლება ოცნებაც ქვეყნის სახელით რომელიმე დიდ ტურნირში მონაწილეობაა. ბედნიერი ვიქნები, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის უფლება თუ მომეცემა.

თარგმნა
ვანო ოქროპირიძემ

**მარიო ბასლერი**

დაიბადა: 1968 წლის 18 დეკემბერს ქალაქ ნოიშტადტში.

ოჯახი: ჰყავს მეგობარი ირის შელენბერგი და სამი შვილი. 8 წლის მარსელი და 4 წლის ალისა პირველი ქორწინებიდან, 1 წლის მაურიციო ირისისგან.

განათლება: სწავლობდა სამხატვრო აკადემიაში, მაგრამ ფეხბურთელის კარიერის გამო სწავლა ვერ დაასრულა.

საფეხბურთო კარიერა: 1973-84 — ნოიშტადტი, 1984-89 კაიზერსლაუტერნი, 1989-91 როტ-ვაისი, 1991-93 ჰერტა, 1993-96 ვერდერი, 1996 წლიდან ბაიერნშია.

წარმატებები: 1996 წლის ევროპის ჩემპიონი, 1997 წლის გერმანიის ჩემპიონი, 1994 და 98 წლების გერმანიის თასის მფლობელი. 1993 წელს ქვეყნის სუპერთასის მფლობელი.

ჰობი: ჩოგბურთი, ძილი



## ოქროს ბურთის ლაურეატები

France Football

1967

## ფლორიან ალბერტი

# უცნობი, რომელიც მალე გაიცნეს

ლაშა გოდუაძე



**ფლორიან ალბერტი**

დაიბადა 1941 წლის 15 სექტემბერს უნგრეთის ქალაქ ერმეგ შენტოშში
თავდამსხმელი
სიმაღლე: 1,81 სმ
წონა: 77 კგ
კლუბი: „ფერენცვაროში“ (უნგრეთი, 1957-74)
ტიტულები: უნგრეთის ჩემპიონი — 1963, 64, 67, 68; უნგრეთის თასი — 1958, 72, 74; უეფას თასი — 1965; ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი — 1960; ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი — 1964; მსოფლიოს ჩემპიონატის ბომბარდირი — 1962 (4 გოლი)
ნაკრებში 75 მატჩში 31 გოლი (1959-74)

ბუდაპეშტში, ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის, „ფერენცვაროშის“ საკლუბო მუზეუმში, გამორჩეულ ადგილას დღესაც ინახება ამონაჭერი ძველი უნგრული გაზეთიდან „ბუდაპეშტ ჩერნიდან“, რომელიც კლუბის ქომაგებს შემდეგ ამბავს ამცნობს:

„ახალი სეზონი ახლოვდება. გუნდებიც მომავალი ჩემპიონატისთვის ემზადებიან. სხვების რა გითხრათ და „ფერენცვაროში“ ძველ ჩვეულებას არ ღალატობს — კვლავ უნგრელ მობურთლეებზე აკეთებს აქცენტს. ახლაც ყველასათვის უცნობი ფლორიან ალბერტი გამოძებნა. საინტერესოა, როდემდე გაგრძელდება ასე? მხოლოდ თანამემამულეებზე დაყრდნობა არ შეიძლება, მით უმეტეს ისეთ ბიჭებზე, ნამდვილი ფეხბურთი რომ არ დაუჭაშნიკებიათ“.

...1957 წლის შემოდგომა იწურებოდა. ნოემბრის სუსხი ძვალ-რბილში ატანდა. ფეხბურთელებმა მორიგი ვარჯიში ჩაათავეს და თბილი აბაზანის მისაღებად გაეშურნენ. „ფერენცვაროშის“ მაშინდელ მწვრთნელ ლაიოშ ზეფეშერს 16 წლის ფლორიან ალბერტი სწორედ მაშინ წარუდგინეს:

— რამდენი წლის ხარ?

— თექვსმეტის. ახლახან, სექტემბერში გავხდი.

— გინდა, დიდი ფეხბურთი ითამაშო?

— დიახ, ძალიან მინდა.

— მაშ კარგი. ჩვენთან დარჩი. ისე კი, გეტყვი — ძალიან მძიმე და დამღლელ გზას დაადექი. თუ არ გადაუხვიე, საწადელს მიაღწევ — მწვრთნელმა ყმაწვილს თითი დაუქნია და გუნდს შეუერთდა.

ფლორიანი მათთან დარჩა.

ალბერტი არ იყო რიგითი ფეხბურთელი. ის ყველასგან გამორჩეული გახლდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შეძლებდა იმას, რაც მოახერხა — ერთ წელიწადში კლუბის სათადარიგო მოთამაშეთა შემცვლელი პირველი გუნდის ლიდერთაგანი გახდა. 17 წლის ფლორიანს უნგრეთში ყველა იცნობდა და პატივს სცემდა.

იმ ხანებში უნგრული ფეხბურთი საკმაოდ მაღალი დონის გახლდათ — შანდორ კოშიჩი, პერენც პუშკაში, დიულა გროშიჩი, იგივე ტოტი ანაც ჰიდეგკუტი. ერთი სიტყვით, ბრანკო ზებეცის ბრწყინვალე ნაკრებმა უნგრულ ფეხბურთს უდიდესი აღიარება მოუტანა, პატარა ფლორიანი კი წინამორბედების სახელოვანი გზის გამგრძელებელი უნდა გამხდარიყო. გახდა კიდეც. ხანგრძლივი კარიერის მანძილზე არასდროს შეუბღალია უნგრული ფეხბურთის პრესტიჟი, არ გადაუხვევია თავიდან არჩეულ გზას, მიაღწია საწადელს და მომავალ თაობებს არანაკლები სავალი გაუკვალა, ვიდრე მას დაახვედრეს.

ალბერტის გამორჩეულობას ისიც ხაზს უსვამს, რომ დღემდე ერთადერთი უნგრელი მოთამაშეა, რომელიც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. თუ უნგრული ფეხბურთის დღევანდელ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, არაა გამორიცხული, ალბერტი „ოქროს ბურთის“ ერთადერთ უნგრელ ლაურეატად კიდევ დიდხანს დარჩეს.

ფლორიან ალბერტის დებიუტი „ფერენცვაროშის“ შემადგენლობაში 1958 წლის გაზაფხულზე შედგა. ბუდაპეშტელები ერთ-ერთ სუსტ მეტოქეს ეთამაშებოდნენ. იმ ხანებში არც „ფერენცვაროში“ წყვეტდა ციდან ვარსკვლავებს, თუმცა გამარჯვება არ გასჭირვებია 5:2. ორი ბურთი შეცვლაზე შესულმა ალბერტმა გაიტანა. მუხლჩაუხრელ შრომას და ვარჯიშს თავისი მოეტანა — ჭაბუკი ფიზიკურადაც მომძლავრებულიყო და ნამდვილ თავდამსხმელად ქცეულიყო.

რატომ უჭირდათ მცველებს ალბერტის წინააღმდეგ თამაში? ალბათ იმიტომ, რომ იგი ფიზიკურად მეტად ძლიერი გახლდათ, ამასთანავე სხარტი იყო. მართალია ტექნიკაში ცოტა არ იყოს მოიკოჭლებდა, სამაგიეროდ ბურთს ფლობდა უნაკლოდ, ტანით მას ისე ფარავდა, მცველთათვის მიუწვდომელს ხდიდა. და კიდევ — ალბერტის დარად იმ ხანებში თავით ბევრი ვერ თამაშობდა. ფაქტობრივად ამ კომპონენტში შეუდარებელიც გახლდათ.

1964-65 წლების სეზონში „ფერენცვაროშმა“ ყველაზე სახელოვანი გამარჯვება მოიპოვა — ბაზრობათა (ახლანდელი უეფას) თასის გათამაშება მოიგო, თან ფინალში ტურინის „იუვენტუსი“ დაამარცხა. ფინალში ალბერტს რაიმე სასწაული არ ჩაუდენია, თანაგუნდელთა დარად კარგად ითამაშა, მაგრამ ის, რაც მან ნახევარფინალში მეტ ბასბის „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ მოიმოქმედა, საოცრება გახლდათ.

ინგლისელთა და უნგრელთა ორმა დაპირისპირებამ გამარჯვებული ვერ გაარკვია — პირველი მატჩი ოლდტრეფორდელებს მოეგოთ 3:2, მეორეში კი „ფერენცვაროშს“ ემარჯვა 1:0. ვინაიდან სტუმრად შეგდებული ბურთების წესი მაშინ არ მოქმედებდა, მესამე მატჩი დაინიშნა. ამჯერად უნგრელებმა იმარჯვეს 2:1. ალბერტი კი შეუდარებელი და შეუჩერებელი გახლდათ.

ბასბის მოგონებებიდან: „მახსოვს, როგორ არა. მაშინ ალბერტი ვერ შევაჩერეთ. ამას რომ ვამბობ, გული მეთანაღრება, მაგრამ უნდა ვთქვა — იმ თამაშში ჩემმა ბიჭებმა მას ვერაფერი დააკლეს. მეტიც, მაისურზე ექაჩებოდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. არის ხოლმე თამაშები, როცა შეუდარებელი ხარ. ბურთი შენს ყველა სურვილს ასრულებს. როგორც ეტყობა, ის დღე სწორედ ალბერტისა იყო. სხვა ახსნა მის იმდღევანდელ თამაშს ვერ მოვუძებნე“.

მანჩესტერელთა შემდეგ პირველი ევროთასის ძიებაში მყოფი „იუვენტუსი“ იყო. ფავორიტებად იტალიელები ითვლებოდნენ. გარდა იმისა, რომ მატჩი ტურინის „სტადიო კომუნალეზე“ შედგა, ხმები დაირხა, იტალიელებმა შვეიცარიელი არბიტრი დინსტი მოქრთამესო. ახლა ძნელია, ილაპარაკო, ვინ ვინ მოისყიდა. იმ შეხვედრაში ალბერტმა და კომპანიამ თავისი გაიტანეს — იტალიელთა ყველა მინდვრისგარეთა უპირატესობების მიუხედავად, „ფერენცვაროშმა“ იმარჯვა. მიზეზი მარტივია — ბუდაპეშტელები იმ ხანებში ტურინელებთან შედარებით უკეთეს ფეხბურთს თამაშობდნენ.

1963 წელს ერთი უბედური შემთხვევის გამო ალბერტის კარიერა შესაძლოა სამუდამოდ შეწყდარიყო, თუმცა ფეხბურთი კი არა, თავდამსხმელს იქნებ სული უფლისთვის მიებარებინა.

იმ ზაფხულს, როცა საფეხბურთო შესვენება იყო, ფლორიანი დას ესტუმრა ქალაქ დოჟაში. იმ ხანებში ფეხბურთის წყალობით „ფერენცვაროშის“ თავდამსხმელის არ უჭირდა, ფულიც საკმაო ჰქონდა და ახალთახალ „ფორდსაც“ დააქროლებდა. სწორედ ეს ავტომანქანა გამოდგა საბედისწერო — დისშვილმა, 14 წლის ბიჭმა, მანქანის გატარება სთხოვა, ფლორიანმა ავტომობილი მარტოს არ ანდო და ყოველი შემთხვევისთვის გვერდით მიუჯდა. ორსაათიანი ხეტიალის შემდეგ შინ რომ ბრუნდებოდნენ, ბიჭმა მატარებლის გადასწრება მოინდომა მაგრამ... უნგრელთათვის სათაყვანებელმა ფეხბურთელმა საავადმყოფოში ორთვენახევარი დაჰყო. მანქანა ტრაგედიის შემდეგ არაფრად ვარგოდა. თუმცა მთავარი მაინც პატარა დისშვილის გარდაცვალება გახლდათ. ავტოკატასტროფის შემდეგ ალბერტი საკმაო ხანს იყო დეპრესიაში.

დრომ ტკივილი მოაშუშა. ალბერტიც ათამაშდა და კარიერის საუკეთესო წლები სწორედ იმ ავადსახსენებელი შემთხვევის შემდეგ განვლო. მას შემდგომ მოიგო უეფას თასი, გახდა ევროპის პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი და, რაც მთავარია, კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელის სახელი დაიგდო.

...1967 წელს, „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვაში, ფლორიან ალბერტმა მხოლოდ 12 ქულით გაასწრო დიდებულ ბობი ჩარლტონს, „ოქროს ბურთის“ 1966 წლის მფლობელს. ჯილდოს მოპოვება ინგლისელს, ცხადია, არ ეწყინებოდა, მაგრამ მარცხიც აღიარა — წლეულს „ოქროს ბურთი“ ალბერტს ეკუთვნოდა, ეჭვი არ მეპარებოდაო.

მას შემდეგ აგერ უკვე სამ ათეულ წელიწადზე მეტი გამოხდა. უნგრელი ფეხბურთელი კი არათუ „ოქროს ბურთის“ მფლობელი, ლაურეატთა ხუთეულშიც კი ველარ ხვდება. თუმცა ახლა უნგრელი ფეხბურთელები სადღა არიან. მათი შემხედვარე ადამიანს უნებურად ეჭვი შეგეპარება და გაიფიქრებ, თამაშობდნენ კი ესენი ოდესმე ფეხბურთსო?

თამაშობდნენ, და თან მერე როგორ!

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

10 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| იტალია — შვეიცარია | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,6 | 2,9 | 4,0 |
| დანია — უელსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ლატვია — საქართველო | ანგარიში — 5,0 | | |
| სლოვენია — ნორვეგია | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| თურქეთი — გერმანია | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ჩრდ. ირლანდია — ფინეთი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ანდორა — უკრაინა | 20,0 | 10,0 | 1,01 |
| 2:0 | 4,0 | 4,2 | 1,35 |
| რუსეთი — საფრანგეთი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სომხეთი — ისლანდია | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| პოლონეთი — ლუქსემბურგი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| 0:2 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| ინგლისი — ბულგარეთი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| კვიპროსი — ავსტრია | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სან მარინო — ისრაელი | 14,0 | 8,0 | 1,05 |
| 1:0 | 5,0 | 4,0 | 1,3 |
| პორტუგალია — რუმინეთი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ლიხტენშტაინი — სლოვაკეთი | 12,0 | 6,0 | 1,1 |
| 1:0 | 4,0 | 4,2 | 1,35 |
| აზერბაიჯანი — უნგრეთი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| მალტა— ხორვატია | 12,0 | 6,0 | 1,1 |
| 1:0 | 4,0 | 4,2 | 1,35 |
| ბოსნია — ჩეხეთი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| შოტლანდია — ესტონეთი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,35 | 4,2 | 4,0 |
| ლიტვა — ფარერები | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,3 | 5,0 | 4,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი.

XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 ოქტომბერი | | | |
| ბრისტოლი — პორტსმუთი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ოქსფორდი — ტრანმერი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| უოტფორდი — ბირმინგემი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 11 ოქტომბერი | | | |
| ბარნსლი — პორტ ვეილი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B

VI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 ოქტომბერი | | | |
| ჯენოა — პესკარა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 11 ოქტომბერი | | | |
| ატალანტა — რავენა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ბრეშა — კოზენცა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| ჩეზენა — ნაპოლი | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| ფ. ანდრია — ლუკეზე | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| რეჯანა — ლეჩე | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ტერნანა — მონცა | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| ტორინო — კიევო | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| ტრევიზო — კრემონეზე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ვერონა — რეჯინა | 1,8 | 3,1 | 3,8 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი.

VII ტური

10-11 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მერიდა — ლეგანესი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| რეკრეატივო — ბადახოსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ორენსე — ოსასუნა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| სევილია — ერკულესი | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| კომპოსტელა — ბარსელონა B | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| ნუმანსია — ალბასეტე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ლეიდა — ტოლედო | 2,2 | 2,8 | 2,9 |
| ლოგრონიესი — ეიბარი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| რაიო ვალეკანო — სპორტინგი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| ატლეტიკო B — ლას პალმასი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| მალაგა — მალიორკა B | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### ბელგიის ჩემპიონატი.

X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 ოქტომბერი | | | |
| ანდერლეხტი — ჰარელბეკი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბევერენი — კორტრაიკი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ეკერენი — ოსტენდე | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ვესტერლო — გენტი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ლომელი — ლოკერენი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| მუსკრონი — გენკი | 4,2 | 3,2 | 1,7 |
| სენტ ტრუიდენი — ლიერსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| შარლერუა — აალსტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 11 ოქტომბერი | | | |
| ბრიუგე — სტანდარდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

## საქართველოს ჩემპიონატი 3 ტური

## ანონსი

11 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 13 საათი

### მაკაბი — შევარდენი

მეორე ტურში „შევარდენს“ ბედმა გაუღიმა — ჩემპიონთან უბრძოლველად ორი ქულა მიითვალა და სატურნირო ცხრილშიც გაიუმჯობესა მდგომარეობა. გუნდს სიხარული, ალბათ, ჯერაც არ განელებია და „მაკაბის“ ძლევაც ამოუჭრია გულში.

თავის მხრივ, „მაკაბი“ არცთუ ძლიერ მეტოქესთან ჭიდილში წინა ორი დამარცხების დავიწყებას შეეცდება და ნავსის გატეხვაზე იფიქრებს. ეს კი იმის მომასწავებელია, რომ მატჩი ერთობ საინტერესო და ამავე დროს დაძაბული იქნება.

ძნელია წინასწარ ივარაუდო, ვინ იმარჯვებს, თუმცა მცირედი უპირატესობა „მაკაბის“ მხარეზეა. თუ თსუ-სთან შეხვედრაში მას იღბალმა ზურგი აქცია, მეორე ტურის მატჩში „აზოტთან“ მისგან გასაოცარს არაფერს ველოდით. და აკი დამარცხდა კიდეც. ორი წაგება, უეჭველია, გუნდს თავის კვალს დაამჩნევს, მაგრამ „მაკაბი“ ის კლუბი არ გახლავთ, აჯერად გამარჯვების შანსი ქარს ადვილად გაატანოს. ამ მატჩში მას ტალაბაძისა და ფერიაშვილის იმედი აქვს. თუ თანაკლუბელებს ანდღულაძემაც აუბა მხარი და ჩვეულად ათამაშდა, ამ სამეულის შეჩერება „შევარდენისთვის“ ერთობ ძნელი იქნება. „მაკაბის“ მაღალი კლასის შემსრულებლებს შევარდენელთა მხრიდან კაზანჯიანი და მაჭავარიანი დაუპირისპირდებიან. ამ უკანასკნელთ ზუსტი საქულიანებიც ეხერხებათ და ამით თავისიანები უთუოდ უნდა ახეირონ.

რაც შეეხება ცენტრთა ჭიდილს, ამაში „შევარდენი“ მოიკოჭლებს. ჭარმაგი ლვინეფაძე და გამოუცდელი ნუცუბიძე ძნელად თუ რამეს გახდებიან ნაცად ფერიაშვილთან და ტანმაღალ ფიცხელაურთან. თუმცა „შევარდენს“ იქნებ კვლავაც გაუღიმოს ბედმა... ამ შემთხვევაში იღბლიანობის მიზეზი მეტოქის არმოგუცხადებლობა არ იქნება. შევარდენელებს „მაკაბის“ ძლევა მობილიზებითა და გააზრებული თამაშით შეუძლიათ. ეს კი მეტად ძნელი საქმეა. გავიხსენოთ პირველ ტურში „დინამოსთან“ მატჩი, სადაც „შევარდენმა“ ვერაფრით დაგვამახსოვრა თავი.

ახლა საქმე სხვაგვარადაა, გუნდი ფრთაშესხმულია და „მაკაბის“ ადვილად არ დაეჩაგვრინება. ერთი სიტყვით, მატჩი გამოავლენს, ვის რისი ძალა შესწევს. ერთი კია, შეხვედრა ძალიან დაძაბული იქნება და მსაჯებს დიდი ჯაფა დაადგებათ.

11 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 15 საათი

### სდასუ — ვითა

ეროვნულ ჩემპიონატში თამაშს „ვითა“ უხასიათოდ იწყებს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ წინა ტურში საასპარეზოდ გუნდს თურქეთიდან ჩამოსვლა დაუგვიანდა. ძვირად დაუჯდა მას ერთობ სუსტ „შევარდენთან“ არგამოცხადება — ორი ქულაც დაკარგა და ჯარიმის, 2000 ლარის, გადახდაც დაეკისრა. აბა, „ვითას“ ადგილზე რომელი ჭკუათმყოფელი იქნებოდა კარგ გუნებაზე?

ისე, არც მის ამჟამინდელ მეტოქეს ულხინს. წლეულს სდასუ შარშანდელი პრიზიორის აჩრდილიღაა. სტუდენტური გუნდი ლამის ჩემპიონატის დაწყებისას შეიკრიბა და სათანადო მომზადება აკლია. განცდილი წინა ორი მარცხიც სწორედ ამის ბრალია.

ასე რომ, ქულების დაკარგვით დანაღვლიანებული „სდასუ“-ც და „ვითაც“ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებმება ერთმანეთს, არც თავს დაზოგავენ და არც ერთმანეთს, თუმცა უპირატესობა მაინც შარშანდელი ჩემპიონის მხარეზეა. „ვითამ“ სრულფასოვანი საწვრთნელი მზადებაც გაიარა და ამას თურქეთში გამართული ამხანაგური მატჩებიც ზედ მიაყოლა. ჯერჯერობით ექვსგზის ჩემპიონი საქმეში არ გვინახავს... თუმცა „ვითა“ მაინც „ვითაა“. მას ყველა უნდა უფრთხოდეს.

ჩემპიონს მოთამაშეებიც შთამბეჭდავი ჰყავს, გამოცდილება და კლასი არც ერთს აკლია. შევსებაც ნორმალური მიიღეს — ახალკაცი, მუშკუდიანი, დადიანი (ეს უკანასკნელი „ვითაში“ კარგა ხანია, არ გვინახავს და ახალწვეულადაც მიტომ მოვნათლეთ). ასე რომ, სათადარიგო სკამის სიგრძეც ერთობ თვალშისაცემია.

გუნდში გამორჩეულ რგოლად უკანახაზელები უნდა მივიჩნიოთ. აბრამიძე-ტურაშვილის ტანდემი შარშანდელ სეზონში საუკეთესოდ იქნა მიჩნეული და ისინი ყველა გუნდისთვის სასურველნი არიან. არც ვეტერანი ცენტრის, კორძაძის დავიწყება შეიძლება, რომელიც გრძელვადიანი, იძულებითი შესვენების შემდეგ „ვითას“ გაჭირვების ჟამს შეეშველა და არცთუ ურიგოდ. თუ მათ „დამკვრელ გვარდიასაც“ (ჩუბინიძე, ორმოცაძე, დავითულიანი, კოკოლიშვილი) მივათვლით, ადვილად ვირწმუნებთ, რომ „ვითა“ ნებისმიერი მეტოქისთვის ძველებურად საშიშია.

ზემოთნათქვამით თუ განვსჯით, სდასუ-ს მოწინააღმდეგის „ლაღობის“ აღკვეთა ნაკლებად ხელეწიფება, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ სტუდენტებსაც ჰყავთ გამოცდილი და მაღალი კლასის მოთამაშენი. მათ არც სიმაღლე აკლიათ და არც სნაიპერების სიმცირეს განიცდიან. საბრძოლო ჟინიც ნაღდად აქვთ, მაგრამ თავი და თავი მაინც შეუთამაშებლობაა... ასე რომ, გუნდთან ორწლიანი განშორების შემდეგ დაბრუნებულ მწვრთნელ კანდელაკს დიდი საფიქრალი გასჩენია. შეძლებს კი სდასუ, ექვსგზის ჩემპიონებს ბრინჯაოს მფლობელის შესაფერისი მეტოქეობა გაუწიოს?!

12 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 15 საათი

### დინამო — კოლხა

„დინამო“ — „კოლხას“ დაპირისპირებისას პირველი, რაც მაყურებელს თვალში ეცემა, ეს ამ გუნდების საშუალო ასაკია. ჩემპიონატში მონაწილე სხვა დანარჩენი კლუბებისაგან განსხვავებით ამ წყვილის შემადგენლობები გაცილებით ახალგაზრდულად გამოიყურება და თუ ეს ბიჭები არცთუ დიდი ხნის წინ ერთმანეთს მხოლოდ ბავშვთა ლიგის შეხვედრებში ეპაექრებოდნენ, ახლა უკვე უმაღლესი ლიგის მატჩებში მოუწევთ თავიანთი სიძლიერის დამტკიცება.

თანაც ამ მატჩში მონაწილე კალათბურთელთა უმრავლესობა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ასაკის ნაკრებში გამოდის, ზოგიც რეალური პრეტენდენტია და მათ მწვრთნელებსაც (გურასპაული, მხეიძე, ჭეიშვილი) საშუალება ეძლევათ, ახალგაზრდები სწორედ ერთმანეთთან ურთიერთშეხვედრებისას გამოსცადონ.

სასიხარულოა, რომ ასაკის მატებასთან ერთად წლეულს ამ ბიჭების სათამაშო კლასშიც ერთიორად ამაღლებულა, მაგრამ მარტო ეს რომ არ კმარა და უფრო მეტი მუშაობაა საჭირო, ეს წინა თაობების მაგალითმაც თვალნათლივ დაგვანახა.

ახლა კი თავად მატჩზე, რომელიც ზემოთნახსენები და არცთუ უსაფუძვლო გარემოებების გათვალისწინებით ბევრ საინტერესოს გვპირდება. მიუხედავად ამ გუნდების მეტ-ნაკლებად თანაბარი სიძლიერისა, უპირატესობა ალბათ მაინც „დინამოს“ უნდა მიენიჭოს, რაც უფრო იმით აიხსნება, რომ შესაძლებელია, პირველად წლევანდელ პირველობაზე, მათ შემადგენლობაში ტრავმამოშუშებული ირაკლი მაისურაძეც ვიხილოთ. უეჭველია, პირტიტველა დინამოელებს ირაკლის გამოცდილება დიდად წაადგებათ და ექსაზოტელ წიკლაურთან და ნიკოლაძესთან ერთად სწორედ ეს სამეული გაუჩენს კოლხებს უმთავრეს თავსატეხს.

თავის მხრივ „კოლხა“-ს უგრეხელიძის და აბულაძის ეიმედება. ეს დუეტი ნებისმიერ მოწინააღმდეგეს ფარზე დიდ პრობლემებს უქმნის და თუ ამას მათი უკანახაზელების, არველაძისა და ბერიშვილის გააზრებული თამაშიც დაერთო, საეჭვოა, ეს ბარიერი დინამოელთათვის ადვილად დასაძლევი გამოდგეს.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: „დინამო“-მ პირველ ტურში „შევარდენს“ საწყის ათ წუთში მოუმთავრა საქმე, რაც კოლხელებთან ძნელად თუ გამოუვა, რადგან ეს უკანასკნელნი ტაიმნახევარს ლიდერებთანაც ღირსეულად ატარებენ და ალბათ გამოუცდელობითაა, გადამწყვეტ მომენტებში რომ მარცხდებიან.

## ვითამ, ანგარიში გაგვიწიეთო

სად არის „ვითა“? რატომ არ გამოცხადდა თამაშზე? რა გადაწყვეტილებას მიიღებს ფედერაცია? — ეს კითხვები უტრიალებდათ თავში 6 ოქტომბერს ვერის ბაღში შეკრებილ გულშემატკივრებს.

ფედერაციამ კი არც აცია, არც აცხელა და „შევარდენთან“ გამოუცხადებლობისთვის ექვსგზის ჩემპიონს მკაცრი განაჩენი გამოუტანა: 0 ქულა, 0:20 წაგება და 2000 ლარი ჯარიმა.

ყოველივე ეს ქართული კალათბურთის მმართველმა ორგანომ დებულების თანახმად მოიმოქმედა, მაგრამ მოსალოდნელი იყო, რომ ეს ასე არ დასრულდებოდა და აკი გუშინ, თურქეთიდან დაგვიანებით ჩამოსულმა „ვითა“-მ ფედერაციას თხოვნის წერილიც აახლა: წამოსვლის დღეს კოკოლიშვილმა თავი გაიტეხა და სასწრაფო ქირურგიული ჩარევა დასჭირდა. ამად იყო, წამოსვლა რომ ვერ მოვახერხეთ და მეორე დღესღა ჩამოვედითო.

თუმცა, როგორც ფედერაციელებმა გვითხრეს, „ვითა“-ს კონკრეტული მოთხოვნები არ წამოუყენებია, მხოლოდ უთხოვია, რაკი ასეთი რამ შეგვემთხვა, ანგარიში გაგვიწიეთო.

რა იგულისხმება ანგარიშის გაწევაში, ძნელი მისახვედრი სულაც არ გახლავთ. რამდენად დააკმაყოფილებს ფედერაცია ვითელთა თხოვნას, ამას ფედერაციის აღმასკომის უახლოესი სხდომა გაარკვევს, რომლის გამართვის თარიღი ჯერ არ დაუდგენიათ.

12 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 17 საათი

### თსუ — სტუ

– და მაინც, სტუდენტური მატჩები თავისებურ ხიბლს ჰმატებს საქართველოს პირველობას. აკი მერვე ეროვნულშიც ყველაზე საინტერესოდ და დაძაბულად ასეთი გუნდების ურთიერთშეხვედრები წარიმართა. თსუ-სტუ რიგით მესამე სტუდენტური ორთაბრძოლაა, რასაც ზედ პატარა ინტრიგაც დაერთო. აქამდე უდანაკარგოდ მხოლოდ სამი კლუბი მოვიდა, აქედან ორი (თსუ, სტუ) მესამე ტურში ერთმანეთის პირისპირ წარდგება და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ ტურში „აზოტი“ ისვენებს, ცხრილის სათავეში მოხვედრის რეალური პერსპექტივა, ვფიქრობთ, გუნდებმა დამატებით სტიმულად უნდა იქციონ.

ერთიცაა — ბოლო წლებისგან განსხვავებით ამ გუნდების თანაბარძალოვნობაც ერთობ თვალშისაცემია. თუ შარშან თსუ უფრო ყოჩაღობდა, მერე სტუ იმარჯვებდა უპრობლემოდ და წლეულს, როცა შემდაგენლობების მოძლიერების გამო ამ გუნდების ამბიციურობამაც იმატა, მატჩის ბედის წინასწარ განსაზღვრა, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა.

ცენტრად ორივე გუნდს გამოცდილი მოთამაშეები ჰყავს. ხელაშვილი — ოთიურიძის დუელზე ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული. ამ ბიჭებმა ერთმანეთის შესაძლებლობები კარგად უწყიან და, ალბათ, ყველაფერს კონკრეტულ მომენტში უკეთ მზადყოფნა გადაწყვეტს. არ უნდა დაგვავიწყდეს თსუელი ცქიტიშვილი, რომელიც სდასუ-სთან მატჩში ორივე ფარის სრულ ბატონ-პატრონად მოგვევლინა და თავისი გუნდის გამარჯვებაში ლომის წილიც დაიდო. მას სავარაუდოდ ბექა ნოზაძე დაუპირისპირდება.

აი, უკანახაზელებს რომ გადავხედოთ, ამ მხრივ სტუ უფრო სოლიდურად გამოიყურება. ნიკო ჩერქეზიშვილი, ასაკის მიუხედავად, კვლავაც ძველებურად ბურთაობს და თავისი ძალა „კოლხა“-სთან შეხვედრაშიც თვალნათლივ წარმოაჩინა. მიქაძე, ტუღუში და მოისწრაფიშვილიც ეგრეთ წოდებული პირველი ნომრები არიან და ქლენტის გარეშე დარჩენილი თსუ, ალბათ, „დინამოდან“ გადმობირებული ვეფხვაძით შეეცდება დანაკარგის კომპენსაციას. მართალია, გათამაშებლობა მგალობლიშვილსაც ეხერხება, მაგრამ წინა ტურის მატჩებში მისი ამ ამპლუაში გამოყენება საჭირო არ იყო და ლევანსაც სწორედ ახლა მოუწევს შესაძლებლობების სრულად წარმოჩენა.

ამ შეხვედრაზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ სჯობს, თავად მატჩს დაველოდოთ, რომელიც იმედია, ჩვენს მოლოდინს ბოლომდე გაამართლებს.

## ევროლიგა. I ჯგუფური ეტაპი. III ტური. 7-8 ოქტომბერი

### A ჯგუფი

**პო ორტეზი 73 : 48 ფენერბაჰჩე**

პო ორტეზი: აიშა (10), ფატუ (9), ფუარე (11), ტ. გადუ (7), დ. გადუ (11), გრანტი (12), ლორთრიჯი (7), მონკადი, სხოლტენი (2), სმიტი (4)

ფენერბაჰჩე: აბდულ-რაუფი (11), აფაიდინი (10), ენდენი, კალამიზა, ქუთლუაი (2), მაკრეი (14), მილიჩი, ტაბაკი (8), თოფსკალი (3)

**ვარეზე 86 : 78 ტაუგრესი**

ვარეზე: დე პოლი (7), გალანდა (9), ჯადინი, მენეგინი (26), მრშიჩი (17), პოცეკო (14), სანტიაგო (9), ვესკოვი (2), ზანუს-ფორტი (2)

ტაუგრესი: ანგულო (11), ბენეტი (18), ბერიჩი (13), ესპილი (5), გარბახოსა (16), გერკე, მახოვსკი (10), მილერა (3), ვინტერსი (2), ცვიკერი

**ავტოდორი 87 : 82 ჟალგირისი**

ავტოდორი: ეინიკისი (28), ფეტისოვი (9), ხრიაპა (8), მილოსერდოვი, ნვოსუ (11), ზ. პაშუტინი (18), ე. პაშუტინი (2), ჩიკალკინი (11)

ჟალგირისი: ადომაიტისი (13), ბოუი (28), ედნი (9), მასიულისი (6), მასკოლიუნასი, შტომბერგასი (2), ზიდეკი (8), ე. ჟუკაუსკასი (11), მ. ჟუკაუსკასი (5)

### B ჯგუფი

**ციბონა 61 : 69 პანათინაიკოსი**

ციბონა: ატკინსი (14), გირიჩეკი (11), გრეი (9), გრგატი (10), კრსტიჩი (6), მარცელიჩი (2), პრკაჩინი (6), სარლია, ვრანკოვიჩი (3)

პანათინაიკოსი: ალვერტისი (16), ბოდიროგა (14), ბუდურისი, ბურკი (10), ეკონომუ, ჯენტილე (5), კოხი (3), რაჯა (21)

**ეფესი 73 : 60 ცრვენა ზვეზდა**

ეფესი: აიდინი (4), ბესოქი (2), დალი (4), დრობნიაკი (27), ევლიაოღლუ, ნაუმოსკი (19), სარიქა (10), თურქოღლუ (7)

ცრვენა ზვეზდა: ბოლიჩი (7), იესტრატიევიჩი (14), პავიჩევიჩი (2), პეკოვიჩი (3), პოპოვიჩი (7), რადმანოვიჩი (3), სტანოევიჩი (11), ტოპიჩი (13), ვიდაჩიჩი

**ტდკ 72 : 65 მაკაბი**

ტდკ: კაპდევილა (13), კრეუსი (16), გონსალესი (15), მილი (9), მოტი (6), მოია (3), სინგლა (5), ვასკესი (5)

მაკაბი: ალექსანდერი (10), ანდერსონი (13), გუდესი (9), ჰენფელდი (10), ლონჩარი (10), პოპა (2), შარფი, შეფერი (7), შელეფი (4)

### C ჯგუფი

**ზადარი 82 : 79 ცსკა**

ზადარი: ერიავეცი (12), კოვაჩიჩი (19), ლუისი, მალოჩა (5), მუიაჯიჩი (12), ნაგლიჩი (20), პესტიჩი, მ. რუჟიჩი (10), ი. რუჟიჩი (4), ზორზი

ცსკა: დიანეკო (10), გუტოროვი (2), კარასიოვი (20) კისურინი (5), კუდელინი (17), ნოსოვი (2), პანოვი (4), ტიხონენკო (7), ვეტრა (2), ვაითი (10)

**კინდერი 78 : 52 ალბა**

კინდერი: აბიო (9), ბინელი (6), კრიპა (6), დანილოვიჩი (16), ფროსინი, მაკრისი (11), ოსალივანი, პასპალი (6), რიგოდო (16), სკონოჩინი (8)

ალბა: ალექსისი (11), ბოგოევიჩი (5), ფემერლინგი (5), გარისი (12), ჰამინკი (2), ლუტკე, მარასი (1), ნაკიჩი (10), პეშიჩი (6), შულცე

**ოლიმპიაკოსი 58 : 72 ულქერი**

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა, ფასულასი, გოლდვაიერი (21), კომაზეცი (4), ობერტო (1), პაპანიკოლაუ (1), როჯერსი (16), სულისი (2), ტარლაკი (11), ცალიკისი (2)

ულქერი: ალიჰოჯიჩი, ანდერსონი (10), ერდენაი (25), ფირინჯიოღლუ (11), კოტუროვიჩი (12), რანკინი (10), ილდირიმი (4)

### D ჯგუფი

**პაოკ 76 : 68 ოლიმპია**

პაოკ: ბალოიანისი (10), ბერი (19), კოლდებელა, დესპოსი, იანულისი (11), კინგი (11), მასლარინოსი (7), მორალესი (10), ნიკოლაიდისი (8), პერალი

ოლიმპია: დანეუ (2), დუშჩაკი (11), იურკოვიჩი (7), კოტნიკი (9), კრალევიჩი (6), მაკდონალდო (6), პრაისი, სტეფანია (5), ტეილორი (7), ზდოვცი (15)

**ვილერბანი 71 : 66 ტიმსისტემი**

ვილერბანი: ადამსი (2), ბილბა (3), ბლომი (10), დიგბო (13), ჰენრი (12), პალმერი (6), პერსევო, რადი (6), სამი, სონკო (19)

ტიმსისტემი: ბეტსი, ჩაკიგი (9), დილგლაი (2), ფუჩკა (9), გაი (2), კარნიშოვასი (5), ლაცისი (2), მორეტი, მულაომეროვიჩი (17), მაიერსი (20)

**რეალი 101 : 72 სამარა**

რეალი: ანგულო (19), ბერდი (16), ბუენო (4), ერეროსი (9), იტურბე (11), ლასა (9), ლიუკი (11), მარტინი (12), სანტოსი (3), სტრიულენსი (7)

სამარა: ანციფეროვი (4), დოლოპჩი, ევანსი (21), გარშინი, გრაჩოვი (9), ჰიუსტონი (13), კისელიოვი (2), მალცევი (10), მელეშჩენკო (6), პეტენევი (7)

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პო ორტეზი | | 73:48 | 74:71 | 17.12 | 10.12 | 5.11 | 2 | 1 | 231:207 | 5 |
| 2 | ფენერბაჰჩე | 19.11 | | 15.10 | 99:84 | 22.10 | 96:75 | 2 | 1 | 243:232 | 5 |
| 3 | ავტოდორი | 12.11 | 10.12 | | 87:82 | 73:70 | 22.10 | 2 | 1 | 231:226 | 5 |
| 4 | ჟალგირისი | 22.10 | 5.11 | 19.11 | | 97:81 | 10.12 | 1 | 2 | 263:267 | 4 |
| 5 | ვარეზე | 15.10 | 17.12 | 5.11 | 12.11 | | 86:78 | 1 | 2 | 237:248 | 4 |
| 6 | ტაუგრესი | 88:84 | 12.11 | 17.12 | 15.10 | 19.11 | | 1 | 2 | 241:266 | 4 |

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | | 22.10 | 14.10 | 18.11 | 77:71 | 5.11 | 3 | 0 | 230:194 | 6 |
| 2 | ეფესი | 16.12 | | 5.11 | 14.10 | 73:60 | 12.11 | 3 | 0 | 209:193 | 6 |
| 3 | ტდკ | 10.12 | 67:68 | | 12.11 | 22.10 | 72:65 | 2 | 1 | 200:187 | 5 |
| 4 | ციბონა | 61:69 | 9.12 | 54:61 | | 5.11 | 17.12 | 1 | 2 | 184:196 | 4 |
| 5 | ცრვენა ზვეზდა | 11.11 | 19.11 | 17.12 | 66:69 | | 15.10 | 0 | 3 | 197:219 | 3 |
| 6 | მაკაბი | 62:84 | 66:68 | 19.11 | 22.10 | 10.12 | | 0 | 3 | 193:224 | 3 |

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კინდერი | | 22.10 | 9.12 | 67:72 | 12.11 | 78:52 | 2 | 1 | 210:179 | 5 |
| 2 | ულქერი | 17.12 | | 12.11 | 19.11 | 62:55 | 15.10 | 2 | 1 | 210:195 | 5 |
| 3 | ცსკა | 15.10 | 82:76 | | 22.10 | 19.11 | 5.11 | 2 | 1 | 231:221 | 5 |
| 4 | ოლიმპიაკოსი | 5.11 | 58:72 | 17.12 | | 15.10 | 12.11 | 2 | 1 | 215:222 | 5 |
| 5 | ზადარი | 55:65 | 4.11 | 82:79 | 10.12 | | 16.12 | 1 | 2 | 192:206 | 4 |
| 6 | ალბა | 18.11 | 10.12 | 63:70 | 83:85 | 22.10 | | 0 | 3 | 198:233 | 3 |

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვილერბანი | | 9.12 | 80:66 | 71:66 | 17.12 | 4.11 | 3 | 0 | 229:206 | 6 |
| 2 | რეალი | 15.10 | | 5.11 | 17.12 | 12.11 | 101:72 | 2 | 1 | 260:235 | 5 |
| 3 | პაოკ | 11.11 | 87:75 | | 9.12 | 76:68 | 22.10 | 2 | 1 | 229:223 | 5 |
| 4 | ტიმსისტემი | 18.11 | 21.10 | 14.10 | | 5.11 | 77:58 | 1 | 2 | 188:186 | 4 |
| 5 | ოლიმპია | 22.10 | 76:84 | 19.11 | 57:45 | | 10.12 | 1 | 2 | 201:205 | 4 |
| 6 | სამარა | 74:78 | 19.11 | 17.12 | 11.11 | 14.10 | | 0 | 3 | 204:256 | 3 |





პრედრაგ დრობნიაკმა თვისტომებს ჩაუტენა

ევროლიგა. პაოკ — ოლიმპია

# სტეფანია ღვიძლმა შეაწუხა

გუშინ ლიუბლიანაში ვლადიმერ სტეფანიას დავუკავშირდით და პაოკ — „ოლიმპიას" მატჩის კომენტარი ვთხოვეთ:

— თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე ოდნავ ამტკივდა ღვიძლი. არ შევიმჩნიე და ვარჯიში ჩვეულებრივ გავაგრძელე. მატჩი ხუთეულში დავიწყე, მაგრამ ღვიძლი ისე ამტკივდა, რომ ვეღარ გავძელი და შეცვლა მოვითხოვე. ექიმებმა ორი დღით ვარჯიში საერთოდ ამიკრძალეს, მერე კი დამაკვირდებიან და პასუხსაც მეტყვიან.

პაოკ-თან მატჩში ჩვენი გუნდი მთლად მოშვებული იყო, თავიდან კი თანაბრად ვეთამაშეთ, მაგრამ მერე სათანადო წინააღმდეგობა ვეღარ გავუწიეთ და ბერძნებმაც მოიგეს.

პაოკ-ს, საერთოდ ყველაზე გადარეული გულშემატკივრები ჰყავს. ჩვენ არ შევუწუხებივართ, რადგან მატჩი ადრე, 6 საათზე დაიწყო და დარბაზში სულ 2 ათასი კაცი იჯდა.

# ...ამათ დალახვრეს სამშობლო

...ობოლო, ვის გაიმეტებო? ვის და ...გამზრდელსაო... იქნებ დინო რაჯა, ...პრედრაგ დრობნიაკი და გინტარას ...ეინიკისი სულაც არ არიან ობლე...ბი, მაგრამ გამზრდელი ქვეყნების ...კლუბები გაიმეტებს კი არა, მთლად ...აოხრეს.

...რაჯას „პანათინაიკოსი" ხორვა...ტიაში „ციბონასთან" ჩავიდა და უკან ...გამობრუნებულს სატურნირო ცხრი...ლის წაგებათა გრაფაში კვლავ ნუ...ლი შერჩა. რაჯამ დიდი წვლილი ...დაიდო თვისტომთა დამარცხებაში: ...34 წუთის განმავლობაში ფარს ზე...მეტად არავინ გააკარა, თავად ყვე...ლაზე მეტი, 21 ქულა ჩააგდო. უც...ნობია, სინდისი თუ ქენჯნიდა რა...ჯას, მაგრამ მისი იუგოსლაველი ...თანაგუნდელი დეიან ბოდიროგა ხო...რვატებს რომ სიამოვნებით მუსრა...ვდა, ამაში დაეჭვებაც კი არ შეი...ძლება. ბოდიროგა 14 ქულით შეეშ...ველა თავისიანებს და ამას 8 მო...ხსნაც დააყოლა. ცოტა ქულები იტა...ლიელმა ჯენტილემ გააკეთა, ცოტა ...— გერმანელმა კოხმა, ცოტა — ...ამერიკელმა ბურკმა და სასაცილო ...ისაა, რომ ამ ინტერნაციონალმა ბე...რძნულ გუნდს მოაგებინა.

...„ეფესის" დრობნიაკი სტამბოლში ...უმოწყალოდ გაუსწორდა სტუმრად ...ჩამოსულ იუგოსლავიურ „ცრვენა ...ზვეზდას". ამ კაცმა 37 წუთში 27 ...ქულა გააკეთა, 11 ბურთი მოხსნა და ...2 ჩაჭრაც მიითვალა. იუგოსლავიე...ლები მოთამაშეს მოთამაშეზე ცვ...ლიდნენ, მაგრამ გამძვინვარებულ თა...ნამემამულეს ვერაფერი მოუხერხეს. ...ყოფილ თანამოძმეებს არც მაკედო...ნელმა პეტარ ნაუმოსკიმ დააკლო ...ხელი, ოღონდ მისი 19 ქულა და 7 ...პასი (ამ დროს მთელმა „ცრვენა ზვე...ზდამ" სულ 8 პასი გააკეთა) დრო-ბნიაკის მონაგართან რა მოსატანია.

...ერის მოღალატის თუ არა, კრემლის აგენტის იარლიყი ნაღდად არ აცდება გინტარას ეინიკისს. ლიტვაში, აბა ვის მოეწონებოდა, რომ ლიტველმა კაცმა რუსული გუნდის (თანაც პროვინციული „ავტოდორის") შემადგენლობაში ყველაზე უფრო მონდომა ბალტიელთა ეროვნული სიამაყის „ჟალგირისის" დამარცხება. არადა, ეინიკისს გარჯას ნაღდად ვერ დაუწუნებ — 28 ქულა ხომ თავისთავად, დამატებით კი 8 მოხსნა და 4 ჩაჭრა.

აი, ჩვენებურ ვლადიმერ სტეფანიას ქართველების დამწუხრების საფრთხე ნამდვილად არ ემუქრება. ევროლიგაში ქართული გუნდი არ თამაშობს და, ალბათ, არც ითამაშებს, სანამ ვოვა მოქმედი სპორტსმენია. მისი „ოლიმპია" სალონიკში იქაური გადარეული ფანების წინაშე პაოკ-ს ეთამაშა. ერთადერთი, რაშიც სლოვენიელებმა აჯობეს მეტოქეს, მოხსნები იყო — 38:27. აქედან სტეფანიამ 10 მიითვალა. სხვაფრივ ჩვენებურმა დიდად ვერ გამოიჩინა თავი: 18 წუთში 9-ჯერ ისროლა და მხოლოდ ორჯერ ჩააგდო. სამქულიანი მანძილიდან ერთხელ შეუტია და ისიც უშედეგოდ. სამი საჯარიმოდან ერთხელ იყო ზუსტი და ჯამში 5 ქულას დასჯერდა.

ევროლიგის შარშანდელმა გამარჯვებულმა ბოლონიის „კინდერმა", გეხსომებათ, წლევანდელი გათამაშება „ოლიმპიაკოსთან" მარცხით დაიწყო. მას შემდეგ იტალიელებს თითო ტურში თითო ტრავმირებული ლიდერი უბრუნდებათ: წინა ტურში — სკონოჩინი, ახლა — დანილოვიჩი. მაჩანჩალა „ალბას" წინააღმდეგ დანილოვიჩთან ერთად ყველაზე შედეგიანი ფრანგი რიგოდო იყო. მაგრამ გაბერძნებულმა სლოვენმა რადოსლავ მაკრისმა (ადრე ნესტეროვიჩმა) 15 მოხსნა გააკეთა, რითაც გერმანელებს აგრძნობინა, ფარზე მუშაობა თქვენი საქმე არააო. მართლაც, „ალბამ" ჯამში სულ 19 მოხსნა მიითვალა. შემადგენლობის შევსებამ კი „კინდერს" ცხრილის ფსკერიდან სათავეში ამოაყვინთინა.

„პანათინაიკოსის" და „ეფესის" გარდა, ერთი „ვილერბანილა" მიდის დაუმარცხებელი. იტალიურ „ტიმსისტემთან" ფრანგებს დიდი ჯაფა დაადგათ. მართალია, მე-9 წუთზე 17:4 იგებდნენ, ხოლო ტაიმს 32:23, მაგრამ კარლტონ მაიერსმა იქამდე არ მოისვენა, სანამ ძირითადი დრო 60:60 არ დაამთავრა. დამატებით დროში ფრანგმა ზანგმა მუსტაფა სონკომ სამქულიანი ჩააგდო, რასაც იტალიელთა გაცუდებული არაერთი საჯარიმო მოყვა და „ვილერბანმაც" მოიგო.

თურქულმა „ულქერმა" ეროვნული გმირობა ჩაიდინა და საბერძნეთში მოუგო „ოლიმპიაკოსს". სამაგიეროდ, შერცხვა ზაზა ენდენის (ენდელაძის) „ფენერბაჰჩე" — ფრანგულმა „პო ორტეზმა" ოდენ 48 ქულა ჩააგდებინა. თავად ენდენმა 12 წუთში თითო ორქულიანი და სამქულიანი ისროლა, მაგრამ უშედეგოდ.

მესამე ტურში ნავსი გატყდა, ანუ წლევანდელ გათამაშებაში გუნდმა პირველად დააგროვა 100 ქულაზე მეტი. ეს მოახერხა „რეალმა", რომლის თანაბარმა შემადგენლობამ თითქმის უბრძოლველად მიანგრია რუსული „სამარა". რუსების ფლაგმანი ცსკა-ც დამარცხდა, ოღონდ ღირსეულად: სალდათებმა 46:38 მოუგეს ტაიმი ხორვატულ „ზადარს". მერე კი არამის ნაგლიჩი გადაირია და კარგად გარჯილ კარასიოვსა და კუდელინს (5 სამქულიანი ჩააგდო) შრომა წყალში ჩაუყარა.





REUTERS ზაგრებიდან

დინო რაჯა თანამემამულე სარლის გაიქცა

# კვლავ არაფერი... სამშაბათამდე

არის NBA-ს ახალი სეზონის დროულად დაწყების რაიმე იმედი? — კითხულობენ NBA-ში ჩახედული ადამიანები. უბრალო ხალხმა რა უნდა თქვას, როცა თვით მოდავე მხარეები, ანუ მოთამაშეები და კლუბების ხელმძღვანელები, პესიმისტურად არიან განწყობილი. კალათბურთის ეროვნულ ასოციაციას 51 სეზონის განმავლობაში 35 001 თამაში ისე გაუმართავს, ერთი მატჩიც კი არ გამოუტოვებია და რა გახდა ეს ლოკაუტი, აგერ უკვე მესამე თვეა, ლიგაში ყველაფერი რომ შეაჩერაო, ჩივიან მავანნი. ნუთუ ამდენი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო შეხვედრების შემდეგაც ვერ გამონახეს მოქიშპეებმა საერთო ენა? არადა, არაერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს მოთამაშეები, კლუბების მფლობელები თუ ლიგის ხელმძღვანელები. აგერ ხუთშაბათს, 8 ოქტომბერს, NBA-ში ლოკაუტის გამოცხადებიდან მე-100 დღეს შეიკრიბნენ. გულშემატკივრებს ნიუ იორკის გულში — მანჰეტენში შემდგარმა შეხვედრამ მის მონაწილეთა მორიგების მცირე იმედი ჩაუსახა. ხუთსაათიანმა საუბარმა ის შედეგი გამოიღო, რომ მომავალ სამშაბათს კიდევ ერთი თავყრილობა დაიგეგმა. „ჩვენ რაიმე პროგრესისთვის არ მიგვიღწევია, შესაძლოა — მოთამაშეებს ჩვენი პოზიციის არსი შევაგნებინეთ" — თქვა ლიგის კომისარის დევიდ შტერნის მოადგილემ რას გვრანიკმა, რომელიც ამ მოლაპარაკებათა სერიალში ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურაა. NBA-ს პოზიციის ძირითადი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ მოთამაშეთა საერთო ხელფასები ლიგის შემოსავლის 57 პროცენტიდან ადრევე განსაზღვრულ 51,8 პროცენტამდე უნდა დაქვეითდეს, რაც მოთამაშეების გულისწყრომას იწვევს.



REUTERS ნიუ იორკიდან

კომისარ შტერნს იმედი გაუჩნდა

6 აგვისტოს შემდეგ გამართული პირველი უმაღლესი დონის შეხვედრის უმთარესი თემა, რა თქმა უნდა, ახალი სეზონის დროულად, ანუ 3 ნოემბერს, დაწყება იყო. ალბათ, ყველაფერი ერთი კვირის შემდეგ გაირკვევა, თუმცა შესაძლოა, მხარეები ვერც მაშინ შეთანხმდნენ. საუბარში ისიც აღინიშნა, რომ რახან მოდავეები ვერ რიგდებიან, მოლაპარაკებებზე ფანები და მედიის წარმომადგენლებიც დაისწრონ. ხუთსაათიანი სჯაბაასის შემდეგ პატარა იმედი გაჩნდა: „ამ უქმეებზე მოთამაშეებს ნიუ იორკში ჩამოვიყვანთ და ერთად განვიხილავთ ლიგის შემოთავაზებულ წინადადებებს" — თქვა NBA-ს მოთამაშეთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ბილ ჰანტერმა. ამავე ასოციაციის პრეზიდენტმა პატრიკ იუინგმა კი, რომელიც მოქმედი კალათბურთელი, „ნიუ იორკ ნიქსის" ცენტრია და თავსი ამპლუაში ლიგაში ერთ-ერთ საუკეთესოდაც ითვლება, განაცხადა: „6 აგვისტოს შეკრებას დღევანდელს ვერც კი შევადარებ, მაგრამ ჩვენ იმავე ადგილას ვდგავართ. იმედი გვაქვს, სამშაბათს შეხვედრაზე ყველაფერი გადაწყდება. ეს ძალიან გვინდა, რადგან თამაში მოგვენატრა". უსაქმურობით გაბეზრებულ კალათბურთელებს თამაში კი მოწყურებიათ, მაგრამ ვერც ფულს შეელევიან იოლად. ვნახოთ, სამშაბათიც მალე მოვა.

ირაკლი ფირაშვილი

# ქართველები დაიფრინეს

დასაწყისი პირველ გვერდზე

**მერვედფინალი: მისკინა (რუსეთი) — კულიკოვსკაია (1, რუსეთი) 6:0, 6:3; ლუარსაბიშვილი (საქართველო) — იაგინიაკი (6, საფრანგეთი) 6:4, 6:1; გოლოვიზნინა (რუსეთი) — სტეტსი (ბელგია) 6:2, 6:1; სინელი (8, ავსტრალია) — როდიონოვა (რუსეთი) 6:2, 6:2; პოუჩეკი (ბელარუსი) — ლი (ჩინეთი) 6:1, 6:4; ბაზარიჩი (ბოსნია) — ანდრიანა ბარნა (გერმანია) 1:6, 7:6, 6:4; კორნიენკო (რუსეთი) — ბობოედოვა (რუსეთი) 7:6, 4:6, 4:0; ჰორმანსი (2, ჰოლანდია) — მილოჩეკი (ხორვატია) 6:0, 6:1.**

პირველი მოწოდება ლუარსაბიშვილისა კი იყო, მაგრამ პირველი ქულა იაგინიაკმა მოიგო, ოღონდ საქმეში მსაჯი ჩაერია და გადათამაშება დანიშნა, აქაოდა, გვერდით კორტიდან ბურთი ჩვენსაზე გადმოვარდაო. ბურთი მართლაც გადმოვარდა, თუმცა ამ მომენტისთვის ფრანგს ქულის მომტანი დარტყმა უკვე შესრულებული ჰქონდა. იაგინიაკმა ნერვებლი დაიოკა და მეტოქეს მოწოდება მაინც აართვა. ამის მერე კი მსაჯებმა ისეთი ცოდო-ბრალი დაატრიალეს, ისე მიკერძოებით იმსაჯეს მთელი პირველი სეტი, დანამდვილებით ვიტყვი, ამნაირი მსაჯობით ნებისმიერი საშუალო დონის ჩოგბურთელი დიდი სლემის ოთხივე ტურნირს იოლად მოიგებდა. ფრანგის მიერ დარტყმული რომ ხაზს დაეცემოდა, ამაზე აუტის დაძახება არ იკმარეს და ორჯერ აშკარად ჩვენიანის მოედანში ჩავარდნილი ბურთი არ ჩათვალეს. ამასთან, ერთი-ორჯერ ლუარსბიშვილის აუტზეც დახუჭეს თვალები. მეორე-მესამე გეიმი ნინომ მოიგო. მეოთხეში ანგარიში გათანაბრდა. 3:2 კვლავ ნინო დაწინაურდა, 4:3 უკვე იაგინიაკისაა და აქ იყო ის „მსუქანი შეცდომები", რომლებმაც პირველი სეტი ქართველს მოაგებინა.

აქ იაგინიაკი ძალიან გაცხარდა და მთავარი მსაჯის მოყვანა ითხოვა. ისიც კორტზე დადგა და ამის მერე შეცდომა ვეღარავინ გაბედა.

მეორე სეტში კი ლუარსაბიშვილმა ნამდვილად პირწმინდად დაჩაგრა ნერვებმოშლილი მეტოქე, რომელიც ძალიან ხშირად ცდებოდა — 6:1. ნინო მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მას პირველ ნომრად განთესილი კულიკოვსკაიას მძლეველი მისკინა ელოდა.

**მეოთხედფინალი: მისკინა — ლუარსაბიშვილი 6:1, 6:1; სინელი — გოლოვიზნინა 7:5, 7:6; პოუჩეკი — ბაზარიჩი 7:5, 1:0 — ტრავმა; ჰორმანსი — კორნიენკო 6:3, 6:3.**

მისკინა — ლუარსაბიშვილის მატჩს უკვე რუსი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი უძღვებოდა. არადა, შეხვედრის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე სწორედ მისი თანდასწრებით „წამოსცდა" ლუარსაბიშვილ — იაგინიაკის ხაზის მსაჯს: „თხუთმეტი სანტიმეტრით შიგნით იყო და მაინც „აუტი" ვიყვირეო". ამის გამგონე რუსმა ყურადღება გააათკეცა და ხშირად ხაზის მსაჯებს არც ენდობოდა. მატჩი მისკინას უპირატესობით წარიმართა — რუსი უკანა ხაზზე უშეცდომოდ მოქმედებდა, ბევრი თითქმის მკვდარი ბურთი მოიგერია, ბადესთან გასვლასაც არ აყოვნებდა და პირველი შესაძლებლობისთანავე უტევდა. ქართველმა ამას ვერაფერი დაუპირისპირა, შთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქოს ნინო შებორკილად თამაშობდა. პირველ სეტში ვერცერთი თავისი მოწოდება ვერ მოიგო და ერთადერთი ბრეიკიც ოდენ 0:5-ზე გაახერხა, თუმცა მისკინამ მეშვიდე გეიმი და სეტიც უცბადვე მოიგო. მეორე სეტში თავიდან 1:1 იყო და მაყურებელსაც იმედი მიეცა, ლუარსაბიშვილი მატჩის შემობრუნებას მოახერხებსო. თქვენც არ მომიკვდეთ, ნინომ ამის მერე ყველა გეიმი წააგო.

დღეს ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან: მისკინა—სინელი, პოუჩეკი—ჰორმანსი. ფინალი კი კვირას გაიმართება.

**გაიოზ თალაკვაძე**
**ბათუმიდან**



ლინდსი დევენპორტს ოცნება აუხდა

# დევენპორტი პირველი

ბაზელი. შვეიცარია.
დავიდოვის ღია პირველობა.
ტარდება დარბაზში ხალიჩაზე.
საპრიზო 1 მილიონი $.

სანამ ბაზელის ტურნირის მერვედფინალში მომხდარ მთავარ მოულოდნელობებზე გადავიდოდეთ, ორიოდ სიტყვით პირველი წრის გმირი — უეინ ფერერა გავიხსენოთ, ასპარეზობას მსოფლიოს პირველი ჩოგანი, პიტ სამპრასი რომ გამოთიშა. ჭორფლიანმა სამხრეთაფრიკელმა ტრადიციას არ უღალატა და როგორც სეზონის განმავლობაში სხვა ფავორიტების — პატრიკ რაფტერის, მარსელო რიოსის და კი ბისკეინში იმავე სამპრასის დამარცხების შემდეგ, ამჯერადაც მომდევნო წრეშივე დამარცხდა.

ორმაგ შეცდომებს და სამიზნემოშლილ ფორჰენდს, მეორე მხრივ, მასპინძელი მარკ როსეს უჩვეულოდ კარგი თამაში დაერთო და ფერერამ სამარცხვინოდ წააგო 4:6, 0:6, არადა, როსეს ზედიზედ სამი წელი მშობლიურ ტურნირზე მეორე წრეშიც კი ვერ გაეღწია.

სენსაციათა ნაკადი, რომელმაც პირველ წრეში სამპრასი, რაფტერი და კორდა შეიწირა, ისევ გაგრძელდა. მაგრამ თუ უჯიგრო და უნიათო ევგენი კაფელნიკოვის 6:3, 3:6, 5:7 მარცხი გამოცდილ შვედ მაგნუს გუსტაფსონთან ასე თუ ისე ძნელად ასახსნელი არ გახლდათ, ტურნირის შარშანდელი ჩემპიონის, გრეგ რუზეცკის წაგება კვალიფიკაციაგავლილ გერმანელ დევიდ პრინოშილთან, სხვა ჩოგბურთელებისგან მარტო ბუდისტობა რომ გამოარჩევს, მართლაც დიდი მოულოდნელობა იყო.

მსოფლიოში უსწრაფესად მომწოდებელი, გაინგლისელებული კანადელი მეტოქის ეისების რაოდენობაშიც ჩამორჩა (8:14), მოწოდებაც ვერც ერთხელ ვერ აართვა და საბოლოოდ 6:7 (4:7), 5:7 წააგო, თუმცა გული მაინცდამაინც არ გაუტეხავს: „აქ წაგებულთა სიას რომ გადახედოთ, შესანიშნავ კომპანიაში მოვხვდი — სამპრასი, რაფტერი. ეტყობა, ამ კვირაში განთესილი არ უნდა იყო."

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად მეოთხედფინალში მხოლოდ ორმა განთესილმა — ანდრე აგასიმ (4) და ტიმ ჰენმანმა (6) გააღწია. თავხოტორა ამერიკელს ამაში იმანაც შეუწყო ხელი, რომ პირველ-მეორე წრეში ტურნირზე „უაილდ-ქარდით" მოხვედრილ გამოუცდელ შვეიცარიელებს გადაეყარა. უიმბლდონის იუნიორთა ჩემპიონის როჯერ ფედერერის 55 წუთში დამარცხების შემდეგ ივო ჰოიბერგერის განადგურებას ანდრემ მხოლოდ 52 წუთი მოანდომა — 6:2, 6:2.

ტიმ ჰენმანს ნიჭიერი, მაგრამ თავნება მაროკოელის, ჰიშამ არაზის საჯობნად გაცილებით მეტი ოფლისღვრა მოუხდა. საყურე-კიკინა-ბენდენიანი მავრი ერთი შეხედვით წარმოუდგენელ ბურთებს უპრობლემოდ უბრუნებდა მეტოქეს, მაგრამ ამავე დროს ხშირად სრულიად უწყინარ სიტუაციებში ცდებოდა და 4:6, 6:7 (4:7)-იც წააგო.

მატჩის შემდეგ ჰენმანმა ბაზელში მომხდარი სენსაციების ახსნა სცადა: „ზოგი შეიძლება გაკვირვებული დარჩეს, მაგრამ ჩოგბურთელებმა ვიცით, რომ საუკეთესო 150-ეულის ნებისმიერ წარმომადგენელს ნებისმიერ დღეს მსოფლიოს პირველი ჩოგნის დამარცხებაც ძალუძს. ამ ტურნირზე ძალიან ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, ასე რომ, მოულოდნელობების სიმრავლე მოულოდნელი ჩვენთვის სულაც არ არის."

**მერვედფინალი: ნიკოლას კიფერი (გერმანია) — ჯეფ ტარანგო (აშშ) 4:6, 6:3, 6:2; ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — დანიელ ვაჩეკი (ჩეხეთი) 3:6, 6:3, 7:6 (7:5); ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) 6:7 (3:7), 6:4, 7:5.**

ფილტერშტადტი. გერმანია.
პორშეს გრან პრი.
ტარდება დარბაზში ხალიჩაზე.
საპრიზო 450 ათასი $

ფილდერშტატდში ახალთახალი სპორტული „პორშეს" მოსაპოვებლად მერვედფინალში ერთბაშად ორი უილიამსი იბრძოდა, თუმცა უფროსმა, ვინუსმა თავისზე გაცილებით სუსტ მეტოქესთან წააგო, უმცროსმა — სერენამ კი დიდი სლემის ტურნირის ჩემპიონი იმსხვერპლა.

სერენას უიმბლდონის მომგებ იანა ნოვოტნასთან შეხვედრის პირველ სეტში შანსი თითქმის არც ჰქონია, მაგრამ ჩეხს, სწრაფ ხალიჩის საფარზე თავს შესანიშნავად რომ გრძნობს, მერე ზურგი ასტკივდა და მოძრაობა გაუჭირდა. უმცროსმა უილიამსმა თამაში სწრაფად გაათანაბრა და დაწინაურდა კიდეც, როდესაც 3:5-სა და 15:40-ზე ნოვოტნამ სამედიცინო ტაიმაუტიც აიღო და კორტი დატოვა.

17 წლის ამერიკელს არ მოუწყენია, ჩანთიდან სახტუნელა ამოიღო და ასიოდჯერ შეკუნტრუშებისთვის მაყურებლებისგან ბლომად ტაშიც ერგო: „ვიცოდი, რომ კონცენტრაცია არ უნდა დამეკარგა, რადგან ერთხელ, როდესაც ჩემმა მეტოქემ ასეთი შესვენება აიღო (ჰინგისმა კი ბისკეინში), დავმარცხდი. თოკს კი ჩანთით ყოველთვის დავატარებ."

ნოვოტნამ დარბუნებისას ერთი სეტ-პოინტი გადაარჩინა, მეორე — ვერა, მაშინვე კიდევ ერთი შესვენება მოითხოვა, ერთი გეიმის შემდეგ მეორეც და როდესაც არაფერი ეშველა, მაყურებლისა და მეტ... ტანჯვას შეეშვა, ამ უკანასკნელს ... ჩამოართვა და კორტიდან საბოლოო... ვიდა — 2:6, 6:3, 2:0.

სამაგიეროდ, უფროსმა უილიამს... მაგალითო მარცხი იწვნია. ბელგიელმ... მინიკ ვან რუსტმა, ტურნირზე ბოლო... მენტში, „უაილდ ქარდით" რომ მო... ამერიკელს 6:1, 6:2 მოუგო. „მან ძა... კარგად ითამაშა, მაგრამ საკუთარ... ვით უკმაყოფილო დავრჩი. ბევრი შე... დავუშვი და ძალიან იმედგაცრუებ... ვარ" — განაცხადა მატჩის შემდეგ ... სმა.

საინტერესო კი ის არის, რომ ... დასაწყისში ერთ-ერთ უილიამსთან ... რცხების შემდეგ იმავე ვან რუსტმა ... ცხადა, ამათთან პაექრობას მე კი ... მარტინა ჰინგისიც ვერ მოახერხებს, ... ლიამსები მალე ქალთა ჩოგბურთის ... ტონ-პატრონები იქნებიანო.

**მერვედფინალი: არანჩა სანჩეს-... კარიო (4, ესპანეთი) — ამ... მორესმო (საფრანგეთი) 6:3, ... სანდრინ ტესტიუ (საფრანგე...) — ანკე ჰუბერი (გერმანია) ... 4:6, 6:2; ნატალი ტოზია (საფ... ნგეთი) — ნატაშა ზვერევა (... ლარუსი) 6:3, 6:3.**

წუხელ დომინიკ ვან რუ... მეოთხედფინალში მარტინა ჰინ... დაამარცხა და ის ასრულა, რასაც ... კიდევ წლის დასაწყისში ვერ... იფიქრებდა — შვეიცარელის 80 კვ... პირველობას ბოლო მოუღო. ორშაბა... მსოფლიოს პირველი ჩოგანი, რიგით ... აშშ-ის ღია პირველობის გამარჯვებ... ლინდსი დევენპორტია.

**ავთანდილ სვან...**



# კანდელაკს მეტოქე ეღირსა

— ბევრი ფიქრისა და განსჯის მერე, როგორც იქნა, გიორგი კანდელაკს მეტოქე გამოუძებნეს. მრავალ კანდიდატთაგან საბოლოოდ ბულგარელი სტეფან ტრენაფილოვი შეურჩევიათო — გვითხრა გუშინ სპორტის სასახლეში გამართულ პრესკონფერენციაზე გიორგის მენეჯერმა ნოდარ ექვთიმიშვილმა — ტრენაფილოვის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ სამოყვარულო კრივში გარკვეული წარმატებებისთვის მიუღწევია, იგი ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი ყოფილა. პროფესიულ რინგზე კი ოცდასამჯერ უკრივია.

პრესკონფერენციაზე არა მარტო კანდელაკის საკვირაო ჩხუბზე იყო საუბარი. როგორც იცით, 11 ოქტომბერს თბილისის სპორტის სასახლეში პროფესიონალ მოჭიდავეთა მსოფლიო ლიგა „რინგსის" ათლეტებიც შეერკინებიან ერთმანეთს, ამ საქმის თაოსანიც ნოდარ ექვთიმიშვილია და იქ შეკრებილ ჟურნალისტებსაც ბევრი საინტერესო ამბავიც გვიამბო:

— „რინგსის" მთავარი ოფისი ტოკიოშია, მე და ანზორ ქიბროწაშვილს იაპონელ მოჭიდავეებთან დიდი ხნის ნაცნობობა გვაკავშირებს და მათი მეშვეობით შვიდი წლის წინ პირველი ქართველი ფალავანიც წავიყვანეთ ამომავალი მზის ქვეყანაში. გზა გაკვალული იყო და მას მერე 25 ჩვენებურმა მოჭიდავემ, მოკრივემ თუ სხვამ იასპარეზა „რინგსის" რინგზე და ჩინებულადაც — ტარიელ ბიწაძე ორგზის მსოფლიოს ჩემპიონია, იგი და ზაზა ტყეშელაშვილი დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობენ „რინგსის" სამყაროში".

— ამ შვიდი წლის მანძილზე ვცდილობდი, იაპონელები როგორმე დამეყოლიებინა და „რინგსის" მებრძოლებისთვის თბილისსაც ემასპინძლა, აზიელთაგან დასტური მხოლოდ ახლახან, კერძოდ ორი თვის წინ მივიღეთ და მას მერე ამ ტურნირის ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას შევუდექი.

— თბილისში მსოფლიოს უძლიერესი მებრძოლები მოვიწვიეთ, ტარიელ ბიწაძეს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ევროპაში საუკეთესო, ლომად წოდებული



ნოდარ ექვთიმიშვილი: გამტანჯეს, კაცო, ამ პრომოუტერებმა

ფოტო გურამ დოლენჯაშვილის

ჰოლანდიელი ჰანს ნეიმანი შეეცილება, სხვებსაც არაერთი ტურნირი მოუგიათ და მათი ბრძოლების ხილვა ქართველ მაყურებელს სიამოვნებას მიანიჭებს. ამ სანახობის გვირგვინი კი გიორგი კანდელაკის კრივი იქნება.

— კანდელაკის მესამე სარეიტინგო ბრძოლის თბილისში გამართვა სირთულეებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ჩვენი სურვილი, გიორგის შინ ეკრივა, დიდი იყო და მრავალი წინააღმდეგობის გადალახვის მერე ამასაც მივაღწიეთ. არ ვაჭარბებ და, შეიძლება კანდელაკი ისე გახდეს პროფესიონალებში მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო, რომ მისი ჩხუბი ქართველებს ცოცხლად ნანახი არ ჰქონოდათ. კვირას კი მის გულშემატკივრებს ამის შესაძლებლობა ეძლევათ.

ცხადია, ნოდარ ექვთიმიშვილს გიორგი კანდელაკის მეტოქის შერჩევის გაჭიანურებულ ამბავზეც დავეკითხეთ.

— გიორგიმ პროფესიულ რინგზე კარიერა ჩინებულად დაიწყო, ორჯერ იჩხუბა და ორჯერვე ნოკაუტით იმარჯვა, მისმა რეიტინგმაც საგრძნობლად აიწია და პრომოუტერებიც ძლიერი მოკრივის შერჩევას ცდილობენ, ჯერ იყო, ვითომ ამერიკელს უნდა შეხვედროდა, მერე ინგლისელს, მერე კიდევ ბულგარელ სპასოვს, ახლა კი გვაცნობეს, მეტოქე სტეფან ტრენაფილოვი იქნებაო. ასე თუ გააგრძელეს, შეიძლება ხვალ სულ სხვა მოკრივე გამოძებნონ, ხომ იცით, მჯობნის მჯობნი არ დაილევა.

მოკლედ, ნოდარ ექვთიმიშვილი დიდ სანახაობას გვპირდება, ერთიც გვითხრა ჟურნალისტებს, პროფესიონალ მოჭიდავეთა ჩხუბი კეტჩში და სხვა დადგმულ, თეატრალურ ჩხუბებში არ აგერიოთ, რინგზე ნაღდი ბრძოლა იქნება, ოღონდ წესების სრული დაცვითო.


სარბიელ...

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბა... ხუთშაბათს, პარასკევს და შაბა...

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე:
ავთანდილ გურასაშვილ...
ინფორმაციის განყოფილების გამგე:
სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია.
ქართული ფეხბურთის განყოფილება:
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგ... ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინას... რიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატ... კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძ... ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკ... შვილი
კალათბურთის განყოფილებ...
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვ...
ინფორმაციის განყოფილებ...
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავ...
კორესპონდენტი ქუთაისშ...
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრ... კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიან...
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დ... ვაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახ... რაშვილი, დავით ნადირაშვილ... მარიკა ტაბიძე, ბელა ხატიაშვილ...
გამომშვები ზურაბ ინაშვილ...

რედაქციის მისამართი: თბილის... ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორ... პუსი, IV სართული. საფოსტო მის... მართი: თბილისი - 79, საფოსტ... ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29